ნაწილი I

თეორიული ეკონომიკური პოლიტიკა და ეკონომიკურ-პოლიტიკური რჩევა

1 ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკის თეორია 25

2 ეკონომიკურ-პოლიტიკური რჩევის ძირითადი პრობლემები 41

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკის თეორია

1

თავი

1.1 პრაქტიკული და თეორიული ეკონომიკური პოლიტიკა 26

1.2 მოთხოვნები ეკონომიკური თეორიების მიმართ..... 28

1.3 თეორიული ეკონომიკური პოლიტიკის ეკონომიკური საფუძვლები 30

1.4 თეორიული ეკონომიკური პოლიტიკის ემპირიული საფუძვლები..... 31

1.5 თეორიული ეკონომიკური პოლიტიკის კლასიფიკაცია 33

1.6 მაგალითი: ეკონომიკური, საფინანსო და სოციალური პოლიტიკა გერმანიაში..... 36

სწავლების მიზნები

- ეკონომიკური პოლიტიკა ეკონომიკურ-თეორიულ წარმოდგენებსა და პოლიტიკურ მიზანშეწონილობას შორის მუდმივი წინააღმდეგობის ასპარეზია.
- თეორიული ეკონომიკური პოლიტიკა ეფუძნება ეკონომიკურ თეორიებს, რომლებიც არა მხოლოდ ლოგიკურად თანმიმდევრულნი, არამედ აგრეთვე ემპირიულად ღრმა შინაარსის მატარებელნი არიან.
- ეკონომიკური პოლიტიკა ექვემდებარება სხვადასხვაგვარ სისტემატიზაციას. გარდა მიზნების მიხედვით დაჯგუფებისა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკური პოლიტიკის თვისობრივი და რაოდენობრივი ასპექტების მიხედვით დაყოფა, ასევე არსებითია იმ განსხვავების დანახვა, რაც არსებობს წესრიგის და პროცესის პოლიტიკას შორის.
- პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკა მუდმივი კონკურენციის პირობებში იმყოფება, ერთი მხრივ, საფინანსო პოლიტიკასთან, რომლის მთავარ ინტერესს სახელმწიფოს ფინანსური ქმედითუნარიანობა წარმოადგენს, ხოლო მეორე მხრივ, სოციალურ პოლიტიკასთან, რომლის მიზანია საზოგადოების განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში მყოფი ჯგუფების მდგომარეობის გაუმჯობესება.
- გერმანიის ეკონომიკურ ისტორიაზე თვალის გადავლება გვიჩვენებს, რომ ეკონომიკურ პოლიტიკას შესაძლებელია საფინანსო და სოციალურ პოლიტიკასთან დაკავშირებით ინსტიტუციურად სრულიად სხვა პოზიცია ჰქონდეს.

1.1 პრაქტიკული და თეორიული ეკონომიკური პოლიტიკა

ეკონომიკური პოლიტიკა გულისხმობს მიზანმიმართულ ჩარევებს ეკონომიკურ პროცესებში შესაბამისი სამართლებრივი უზრუნველყოფის საფუძველზე. ასეთი ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლები არიან სახელმწიფო ორგანოები ან საზოგადობრივი ინტერესების გამომხატველი ჯგუფები, რაც ეკონომიკურ პოლიტიკას ზოგადი სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად წარმოაჩენს.

პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკისაგან განასხვავებენ ეკონომიკური პოლიტიკის მეცნიერულ გაგებას, როგორც ეკონომიკური თეორიის შემადგენელ ნაწილს. ამგვარი თეორიული ეკონომიკური პოლიტიკის ან ეკონომიკური პოლიტიკის თეორიის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ეკონომიკური თეორიის გააზრების საფუძველზე მოხდეს იმ საჭირო მეთოდებისა და ინსტრუმენტების სრულყოფა, რომლებიც ხელს შეუწყობენ პრაქტიკულ ეკონომიკურ პოლიტიკაში როგორც ცხადი, ასევე ფარულად დასახული მიზნების მიღწევას.

ამგვარი სახით ეკონომიკური პოლიტიკა შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც კონკრეტული ეკონომიკური პრობლემების გადაჭრისთვის საჭირო გამოყენებითი ეკონომიკური თეორია. ის მოიცავს გადაცდომების საფუძვლიან ანალიზს და შესაბამისად ცდილობს, უპასუხოს კითხვებს იმის შესახებ, თუ რა უშლის ხელს განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

ეკონომიკური თეორიის დებულებებს აქვთ შემდეგი ზოგადი ფუნქციონალური ფორმა:

$$y = f(x, z) \tag{1.1}$$

სადაც, y გამოსახავს თეორიის დამოკიდებულ (ენდოგენურ), ხოლო x – დამოუკიდებელ (ეგზოგენურ) სიდიდეს. Z არის ეკონომიკური მოდელის სტრუქტურული პარამეტრი, რომელიც აერთიანებს ყველა დანარჩენი სიდიდის გავლენას y-ზე. სტრუქტურული პარამეტრის მნიშვნელობას განსაზღვრავს ის ძირითადი ინსტიტუციური გარემოებები, რომელთა პირობებშიც მიმდინარეობს ეკონომიკური პროცესები. გამომდინარე იქედან, რომ სტრუქტურული პარამატრები თავის მხრივ საკმაოდ ნელი ტემპებით იცვლებიან, z შეგვიძლია განვიხილოთ მუდმივ პარამეტრად. სტრუქტურული პარამეტრის – z მუდმივობის დაშვებით, თეორიული მოსაზრებების საფუძველზე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ x-სა და y-ს შორის კავშირი ნამდვილად არსებობს. მიკროეკონომიკური თეორიის თანახმად, პროდუქტზე ფასის ზრდა (დამოუკიდებელი ცვლადი) გავლენას ახდენს პროდუქტის წარმოებისა და მიწოდების რაოდენობის ზრდაზე (დამოკიდებული ცვლადი), მანამ, სანამ მიწოდების ყველა დანარჩენი დეტერმინანტი უცვლელი რჩება. ფულის რაოდენობრივი თეორიის თანახმად, სხვა სიდიდეების უცვლელობის პირობებში, ფულის რაოდენობის ზრდას (დამოუკიდებელი ცვლადი) მოჰყვება ფასების დონის ზრდა (დამოკიდებული ცვლადი).

ეკონომიკური თეორიის ფორმალურად გამოსახვას (ფუნქციები, სიდიდეებისა და ცვლადების ურთიერთდაკავშირება) სამი სახის დანიშნულება აქვთ:

- ისინი გამოიყენება როგორც პოზიტიური შეფასებები ეკონომიკური ურთიერთკავშირების ასახსნელად. ამგვარად, პროდუქტის მიწოდების რაოდენობის ზრდა მოცემულ პროდუქტზე ფასის ზრდის შედეგად შეიძლება აიხსნას, როგორც პოზიტიური შეფასება. ასევე ფულის რაოდენობის ზრდა, რომელიც ეკონომიკური ზრდის რეალურ ფარგლებს სცილდება, მიუთითებს ინფლაციის არსებობაზე.
- ისინი გამოიყენება სამომავლო ტენდენციების წინასწარი შეფასებისა და პროგნოზირებისათვის. პროდუქტის ფასის ზრდის შედეგად, მომდევნო დროის პერიოდში მოსალოდნელია მოცემული პროდუქტის წარმოების გაფართოება, ხოლო ფულის რაოდენობის მკვეთრმა ზრდამ უახლოეს პერიოდში შესაძლოა გამოიწვიოს საყოველთაო ფასის დონის ზრდა.
- და ბოლოს ისინი გამოიყენება, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებების კონცეფციის პრესკრიფციული შეფასებები. ეკონომიკური პოლიტიკის ჩარევის შედეგად ფასების ზრდამ შეიძლება გამოიწვიოს ამ უკანასკნელის მიწოდების ზრდა. ფულის რაოდენობრივ თეორიაზე დაყრდნობით შესაძლებელია ფასების დონის ზრდის თავიდან აცილება თუ ფულის რაოდენობის ზრდა შეესაბამება რეალური წარმოების მოცულობის ზრდას.

ამასთან, თეორიის განსაზღვრადი სიდიდეები ასახავენ ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებს მაშინ, როდესაც დამოუკიდებელი ცვლადები პირდაპირ ან ირიბად თავად იქცევიან ეკონომიკური პოლიტიკის ამოსავალ პოზიციად. იმ შემთხვევაში, თუ ეგზოგენური სიდიდე ეკონომიკური პოლიტიკის პასუხისმგებელ პირთა უშუალო კონტროლის ქვეშ იმყოფება, მას ასევე განიხილავენ, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტს.

1.2 მოთხოვნები ეკონომიკური თეორიების მიმართ

ეკონომიკური პროცესების ასახსნელად, პროგნოზირებისა და ეკონომიკურ-პოლიტიკური ფორმირებისათვის ყველა თეორია თანაბრად კარგი როდია. ამ ამოცანის შესასრულებლად თითოეული მათგანი შეძლებისდაგვარად საყოველთაოდ მისაღები და ემპირიული გადამოწმების გზით დადასტურებული უნდა იყოს. იმისათვის, რომ აღნიშნული თეორიები ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების საფუძვლად იქნას გამოყენებული, ასევე საჭიროა, რომ ეკონომიკური თეორიები მარტივად და გასაგებად იყოს ჩამოყალიბებული, რათა მოხდეს მომხმარებელის მიერ ეკონომიკურ-პოლიტიკურ პრაქტიკაში მათი დანერგვა.

ეკონომიკური თეორიები სხვადასხვა ფორმით გვხვდება. არსებობს ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ურთიერთკავშირების შესახებ არსებული ჰიპოთეზების გრაფიკული, ფორმალური და ვერბალური გამოსახვა. მსგავსი თეორიები, როგორც ლოგიკური მოდელები, უპირველეს ყოვლისა, ცდილობენ, ჩამოაყალიბონ შეძლებისდაგვარად საყოველთაოდ მიღებული მოსაზრებები. ეკონომიკური თეორიების უნივერსალურობამ არ უნდა გვაფიქრებინოს, რომ ამით ცალკეული ეკონომიკური სუბიექტის ქმედება ზედმიწევნით ზუსტად იქნება აღწერილი. ანალიზი უკეთდება როგორც წესი, „წარმომადგენლობითი“ ინდივიდების ქმედებებს, რომლებიც შესაბამისად, სოლიდურ ჯგუფებს ქმნიან ეკონომიკურ ცხოვრებაში ან ხდება იმ ეკონომიკური გაერთიანების განვითარების პროცესის აღწერა,რომელშიც ინდივიდუალური გადაწყვეტილებების დიდი რაოდენობაა თავმოყრილი.

კარლ პოპერი და კრიტიკული რაციონალიზმი

კარლ რაიმუნდ პოპერი (1902-1994), დაიბადა ვენაში, დაამთავრა ვენის უნივერსიტეტი, სადაც 1928წ. დაიცვა ხარისხი ფილოსოფიაში და გარკვეული დრო მათემატიკისა და ფიზიკის მასწავლებლად მუშაობდა. 1937 წელს იგი ავსტრიიდან საცხოვრებლად გადავიდა ახალ ზელანდიაში, ხოლო 1946 წელს – ინგლისში. 1949 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე პოპერი იყო ლოგიკისა და მეცნიერული მეთოდების სწავლების პროფესორი ლონდონის ეკონომიკის სკოლაში. იგი მე-20 საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ფილოსოფოსად და მეცნიერების თეორეტიკოსად მოიაზრება. მის მიერ შემოღებული კრიტიკული რაციონალიზმი ცდილობს მეცნიერული შემეცნების პროგრესი განიხილოს თეორიული და ემპირიული კვლევის მუდმივი

თანაარსებობის ჭრილში. მის მთავარ ნაშრომებად მიიჩნევა: „კვლევის ლოგიკა“ (ვენა, 1934წ.); „ღია საზოგადოება და მისი მტრები“ (ლონდონი, 1945წ.).

პოპერი დაბეჯითებით უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ, როგორც მხოლოდ ბუნებასა თუ საზოგადოებაში არსებულ მუდმივ კანონზომიერებაზე დაკვირვებით შეუძლებელია დასკვნების გაკეთება, ასევე შეუძლებელია მიიღო მეცნიერული ცოდნა რეალური სამყაროს შესახებ მხოლოდ თეორიულ დედუქციაზე დაყრდნობით. მეცნიერული ჰიპოთეზები თავდაპირველად ყალიბდება მკვლევარის წარმოდგენაში, ხოლო შემდეგ დაკვირვების შედეგად ხდება მისი გადამოწმება. შესაბამისად, ჰიპოთეზა ისე უნდა იყოს თეორიულად ფორმულირებული, რომ იგი ექსპერიმენტული დაკვირვებით იძლეოდეს გადახედვის და, შესაბამისად, უზუსტობის გამოვლენის საშუალებას. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჰიპოთეზამ წარმატებით გაიარა ექსპერიმენტული ტესტი, ეს არასდროს არ ნიშნავს იმას, რომ საბოლოოდ დადგინდა მეცნიერული კანონზომიერების ჭეშმარიტება. მკვლევარებმა ყოველთვის უნდა გაითვალიწინონ ის გარემოება, რომ სარწმუნო ჰიპოთეზებიც კი, ახალი მოცემულობის თანახმად, შესაძლოა, ვარგისად ვეღარ ჩაითვალოს. ფალსიფიკაცია, ანუ ფაქტი, რომ ჰიპოთეზამ ტესტი ვერ ჩააბარა, პოპერის აზრით, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ თეორია მთლიანად მცდარია და მას მაშინვე თავი უნდა დავანებოთ. ფალსიფიკაცია უპირველეს ყოვლისა გულისხმობს, რომ თეორიების, ვარაუდების, მოცემულობების, დაკვირვებებისა და სიტყვიერი ფორმულირებების მთელ დიდ სისტემაში რაღაცა არასწორია. პოპერის მცდელობა, თავისი კვლევებით შეძლებისდაგვარად გააკრიტიკოს ჰიპოთეზები, წარმოადგენს მის ერთგვარ წაქეზებას, რაც მიმართულია მეცნიერული თეორიების პერმანენტული გაუმჯობესებისკენ და იმავდროულად გაფრთხილებაა იმის თაობაზე, რომ მსგავსი თეორიები დეტალური შემოწმების გარეშე შესაძლებელია იქცეს მასშტაბური პროექტების საფუძვლად და ამით შეიცვალოს რეალობა.

საზოგადოებრივი მეცნიერების და, შესაბამისად, ეკონომიკური მეცნიერების სფეროში პოპერი ხედავს საფრთხეს, რომ თეორიები არასაკმარისი ექსპერიმენტული შემოწმების გარეშე ხდება შორს მიმავალი ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური რეფორმების პროექტების საფუძველი. პოპერის სიტყვებით, ვინაიდან არავინ არ შეიძლება იცოდეს, თუ როგორ გამოიყურება იდეალური სამყარო (ან ეკონომიკა), იგი მოუწოდებს, რომ სოციალური დარგის მეცნიერებმა ჯობს მოამზადონ წინადადებები საზოგადოებრივი (ან ეკონომიკური) მდგომარეობის ეტაპობრივი ცვლილებებისთვის ისე, რომ მცდარი თეორიების დანერგვის შემთხვევაშიც კი ზარალი რაც შეიძლება ნაკლებად შესამჩნევი იყოს. მის მიერ შემოთავაზებულ მეთოდს ასევე *piecemeal engineering*-საც (ნაწილობრივი ინჟინერია) უწოდებენ.

უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსალურობის მაღალი დონე ხშირად უკავშირდება აბსტრაქტულობის მაღალ ხარისხს, რაც ეკონომიკური რეალობის უამრავ საინტერესო ფენომენს ყურადღების მიღმა ტოვებს. აქედან გამომდინარე, საჭიროა იმ მოთხოვნების ჩამოყალიბება, რომელთა მეშვეობითაც ეკონომიკური ცხოვრების ფუნქციონირების პრინციპის შესახებ ზოგადი თეორიებიდან კონკრეტულ ჰიპოთეზებს მივიღებთ. ამასთან, შესაძლოა, მნიშვნელოვანი იყოს იმ ინსტიტუციური ზოგადი პირობებისა და გარემოებების ზედმიწევნით ზუსტი

აღწერა, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ეკონომიკური ქმედებები მოცემულ დროსა და მოცემულ ადგილზე.

და ბოლოს, აუცილებელია ეკონომიკური თეორიების ისე ფორმულირება, რომ მათი შინაარსი ემპირიულად და ლოგიკურად ერთმანეთს არ გამორიცხავდნენ. ეკონომიკური თეორიების ეკონომიკურ რეალობასთან შედარება იძლევა მათი გატესტვის შესაძლებლობას. თუ თეორიულმა ჰიპოთეზამ ვერ ჩააბარა ემპირიული ტესტი, ეს მის უარყოფას გამოიწვევს. თუ თეორიულმა ჰიპოთეზამ გაამართლა ემპირიულ ტესტში, მოსალოდნელია მისი მხოლოდ დროებით აღიარება. რადგან თეორიული ჰიპოთეზის ჩავარდნის რისკი ყოველ მომდევნო ემპირიულ ტესტში არსებობს, შეუძლებელია მისი სამუდამოდ აღიარება. ეკონომიკურ-პოლიტიკურ რეკომენდაციებს საფუძვლად შეიძლება დაედოს ის ეკონომიკური თეორიები, რომელთა ჰიპოთეზებმა კრიტიკული რაციონალიზმის კუთხით მრავალ ემპირიულ ტესტს გაუძლეს. ამის გამო ბევრი ზოგიერთი ეკონომიკური თეორია მსგავს მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, რადგან მათი გამოყენება ეკონომიკური რეალობის კონკრეტულ შემთხვევებში შეზღუდვებს ექვემდებარება. ასეთ შემთხვევებში მათი თეორიული და ისტორიული დამაჯერებლობა ყოვლისმომცველ ტესტს უნდა დაექვემდებაროს.

1.3 თეორიული ეკონომიკური პოლიტიკის ეკონომიკური საფუძვლები

შემდეგ პარაგრაფებში განვიხილავთ ეკონომიკური თეორიის განსხვავებული მეცნიერული კვლევის შედეგების თეორიულ ეკონომიკურ პოლიტიკაში გამოყენების მაგალითებს. ეკონომიკური პოლიტიკის მეთოდებისა და ინსტრუმენტების გაცნობისას, II, III, IV თავებში ვუბრუნდებით მიკროეკონომიკის, მაკროეკონომიკის და ინსტუტუციონალური ეკონომიკის დებულებებს. ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების შესახებ მსჯელობისას V თავში გამოყენებულია კეთილდღეობის ეკონომიკის თეორია, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელთა ქცევის ანალიზის საფუძველი, VI თავში განხილულია ახალი პოლიტიკური ეკონომიკის საკითხები. ეკონომიკური პოლიტიკის ცალკეული შემადგენელი სფეროებისთვის უმნიშვნელოვანესია შემდეგი ძირითადი კონცეფციები:

- მიკროეკონომიკაში ცენტრალურ ადგილს ბაზრის კონცეფცია იკავებს. ცალკეულ ბაზრებზე მიწოდება, მოთხოვნა და ფასწარმოქმნა ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებებისათვის ამოსავალი ფაქტორებია, ისევე როგორც ბაზრის არასრულყოფილების შესაძლო არსებობა. ეს უკანასკნელი შეიძლება წარმოიქმნას ბაზრის ცალკეული მონაწილეების მიერ, დადებითი ან უარყოფითი გარეეფექტების გავლენით – წარმოების უკუგების ზრდის ან ინფორმაციის ასიმეტრიული განაწილების შედეგად.

- მაკროეკონომიკის მთავარი განმასხვავებელი დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა *ეკონომიური ციკლი*, რომელიც თავის თავში ბაზრების მრავალ სახეობას აერთიანებს. ეკონომიკაში ცალკეულ ბაზრებს შორის მაკავშირებელი საშუალება – ფული, თავისი მიწოდებისა და მოთხოვნის სპეციფიკური პირობებით, უდიდეს როლს თამაშობს. აქედან გამომდინარე, მაკროეკონომიკის

სფეროში ეკონომიკურ-პოლიტიკური ჩარევების დროს ყურადღება უნდა მიექცეს ეკონომიკის მონეტარულ და რეალურ სექტორებს შორის ურთიერთკავშირს.

- ინსტიტუციური ეკონომიკა ასახავს როგორც მიკროეკონომიკის, ასევე მაკროეკონომიკის ასპექტებს. ინსტიტუციის ძირითადი გაგება ადგენს იმ თამაშის წესებს, რომელთა საშუალებითაც განისაზღვრება ეკონომიკური ქმედებების კლასიფიკაცია. ამ თვალსაზრისით ბაზარიც, ფულიც და ეკონომიკური ციკლიც ინსტიტუციებს წარმოადგენს. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ინსტიტუციები, რომელთა საშუალებითაც ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური წესრიგი ყალიბდება. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი ეკონომიკური ტრანსფორმაციისა და ინტეგრაციის პროცესში დროდადრო ცვლილებებს განიცდის.

- ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზნობრივი სისტემის, მისი მდგრადობისა და ცვალებადობის ანალიზისას, საინტერესოა გავამახვილოთ ყურადღება იმ გარემოებაზე, თუ სხვადასხვაგვარი ინდივიდუალური პრიორიტეტებიდან როგორ ხდება გონივრული კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღება. ამ მიმართულებით საზოგადოების კეთილდღეობისათვის საჭირო ცენტრალური კონცეფციის განვითარება კეთილდღეობის ეკონომიკას უკაშირდება.

- ახალი პოლიტიკური ეკონომია საბოლოოდ შესაძლოა გაგებულ იქნეს, როგორც ინსტიტუციური ეკონომიკის განსაკუთრებული სახეობა, რომელშიც განიხილება არა გარე ზემოქმედებები, არამედ სახელწიფო ინსტიტუციების შიდა ქმედებები. ამასთან, საქმე ეხება ინტერესთა მრავალფეროვნებას ეკონომიკური პოლიტიკის პროცესის იმ მონაწილეებს შორის, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილებებზე და, ასევე, ვისაც აღნიშნული გადაწყვეტილებების შედეგები ეხება. განსხვავებები ასევე არსებობს ბაზრების რეგულირების საერთო მიზნებსა და ბაზრის მონაწილეების ინდივიდუალურ მიზნებს შორის. განსხვავებები ასევე შესაძლებელია წარმოიშვას პოსტ-ფაქტუმ მაშინ, როდესაც გარკვეულ ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს განსხვავებული განაწილებითი ეფექტები აღმოაჩნდებათ.

1.4 თეორიული ეკონომიკური პოლიტიკის ემპირიული საფუძვლები

თეორიული ეკონომიკური პოლიტიკისადმი წაყენებული პრეტენზია-რეკომენდაციები მხოლოდ ემპირიულად შინაარსობრივად მდიდარი ჰიპოთეზების საფუძველზე განავითაროს და გასცეს-უპირატესობას თეორიული კონცეფციების სისტემატურ გადამოწმებას ანიჭებს. მრავლისმომცველ პროცესებში ახალ ემპირიულ ტესტებს ექვემდებარება, როგორც ეკონომიკური ქცევების შესახებ არსებული ძირითადი ჰიპოთეზები, ასევე მათი განმარტებებიც, არსებითი (რელევანტური) ინსტიტუციური ჩარჩო პირობების გათვალისწინებით. ამასთან, მეთოდურად განასხვავებენ ექსპერიმენტულ და არაექსპერიმენტულ (ან ისტო-

რიულ) მეთოდებს. მაშინ, როდესაც არაექსპერიმენტული მეთოდები ეკონომიკური თეორიების დამოუკიდებლად არსებულ ისტორიულ ფაქტებზე მუშაობენ, ექსპერიმენტული მეთოდები კონტროლირებადი ექსპერიმენტის საფუძველზე ახდენენ ფაქტების გენერირებას იმ მიზნით, რომ მოხდეს კონკრეტული ეკონომიკური თეორიების გადამოწმება.

თეორიული ეკონომიკური პოლიტიკის ემპირიული საფუძვლების განვითარების მიზნით, გამოიყენება შემდეგი მეთოდები:

- კონკრეტული მოცემულობის კვლევა, როგორც არაექსპერიმენტული მეთოდის ყველაზე მარტივი ფორმა განიხილავს მოცემულ ისტორიულ სიტუაციასა და მოცემულ პირობებში არსებული ეკონომიკური ფაქტორების ურთიერთდამოკიდებულებებს. ამასთან, ბუნებრივია, განსაკუთრებულ ადგილს იკავებს მნიშვნელოვანი ინსტიტუციების, იმ ძირითადი პოლიტიკური და საზოგადოებრივი პირობების აღწერა, რომლის ფარგლებშიც ამა თუ იმ ქვეყანაში, რეგიონსა თუ სფეროში ხორციელდება ეკონომიკური აქტივობები. ვინაიდან ეს აღწერა, ხშირად, მხოლოდ თვისებრივი ფორმით ხდება, აღნიშნული ანალიზი განსაკუთრებით მგრძნობიარეა სუბიექტური შეფასებების საფუძველზე ფაქტების დამახინჯების მიმართ. მეორე მხრივ, ეკონომიკური წესრიგის სტრუქტურული ელემენტების შეფასება, რომლებიც ინდივიდუალურ ეკონომიკურ ქმედებებზე ახდენს გავლენას, მხოლოდ ამ ფორმით არის შესაძლებელი. ეკონომიკური ქმედებების შედეგების აღწერა ასევე შესაძლებელია რაოდენობრივი მონაცემების ფორმით. და მაინც, კონკრეტული მოცემულობის კვლევას (გამომდინარე იქიდან, რომ იგი დროსა და სივრცეში განსაზღვრული ისტორიული სიტუაციით არის შეზღუდული), როგორც წესი, შესაძლო ეკონომიკურ ურთიერთქმედებებზე მხოლოდ პირველადი ვარაუდების მოცემა შეუძლია, რომლებიც შემდგომში უფრო საფუძვლიან ტესტირებას დაექვემდებარებიან.

- უამრავი მონაცემის არსებობა, რომლებიც ცალკეული ცვლადების ისტორიულ განვითარებას, როგორც მოცემული დროის განმავლობაში, ასევე განსაზღვრულ დროის მონაკვეთში მიკრო- და მაკრო-დონეზე დოკუმენტურად აღწერენ, დღეისათვის ეკონომიკური თეორიების უმეტესობისთვის უფრო დახვეწილი ეკონომეტრიკული სატესტო მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა. ამასთან, სტატისტიკური მეთოდების დახმარებით ხდება ცვლადებს შორის ურთიერთმიმართების გადამოწმება და საჭიროების შემთხვევაში, ასევე სამომავლო განვითარების პროგნოზირება. ეკონომეტრიკის მეთოდების უპირატესობა მდგომარეობს თეორიული ჰიპოთეზის სუბიექტურად ადვილად გადამოწმებად რაოდენობრივ ანალიზად გარდაქმნაში. ინფორმაციულობის მხრივ, იგი შეზღუდულია მონაცემების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისითა და სტატისტიკური კვლევის კრიტერიუმების სანდოობის გარკვეული ხარისხით. ფაქტების დამახინჯებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ წმინდა რაოდენობრივ ემპირიულ კვლევებზე კონცენტრირებით შესაძლოა ჩამოყალიბდეს მცდარი ხედვა ინსტიტუციური მიმართულებების მიმართ, იმ შემთხვევაში, თუ ანალიზისას ხარისხობრივი მაჩვენებლებიც არ იქნება გათვალისწინებული. ამის გამო მაღალია მოთხოვნა ინსტიტუციური მახასიათებლების ხარისხობრივი მონაცემთა ბაზის გაუმჯობესებისადმი, რათა მოხდეს თავად ეკონომეტრიკის კვლევის მეთოდების მოქმედების ხარისხის ამაღლება.

- ექსპერიმენტული კვლევების ყურადღების ცენტრში ლაბორატორიულად შემოწმებული ექსპერიმენტები ექცევა. ამ ექსპერიმენტების შედეგად მიიღება მონაცემები, რომელთა საშუალებითაც შემდგომში კონკრეტული ეკონომიკური თეორიების გადამოწმებაა შესაძლებელი. ცდების ჩატარების შინაგანაწესის მიხედვით გარესამყაროზე ზემოქმედება მაქსიმალურად უნდა იყოს შემცირებული. ლაბორატორიული ექსპერიმენტები, უპირველეს ყოვლისა, ტარდება იმისათვის, რომ შეიქმნას წარმოდგენა ინდივიდუალური და საზოგადოებრივი მიდრეკილებების კლასიფიკაციაზე, ასევე მათ საერთო პირობებთან დამოკიდებულებაზე. ლაბორატორიული ექსპერიმენტების შედეგების ეკონომიკურ პოლიტიკაში გამოყენებისას გასათვალისწინებელია, რომ ამ საერთო პირობებს არანაირი ისტორიული საფუძველი არ გააჩნიათ, მათი გენერირება ხდება ლაბორატორიის განსაკუთრებულ პირობებში. მათი რეალურ პირობებთან შეგუება დღის წესრიგში კვლავინდებურად აყენებს მნიშვნელოვანი რაოდენობრივი შეფასებების აუცილებლობას.

1.5 თეორიული ეკონომიკური პოლიტიკის კლასიფიკაცია

არსებობს ეკონომიკური პოლიტიკის მეთოდებისა და ინსტრუმენტების სისტემატიზაციის არაერთი მცდელობა. კლასიფიკაცია ორიენტირებულია ან გამოყენებულ ინსტრუმენტებზე და მათი მიზანმიმართული მოქმედების სფეროზე, ან ეკონომიკურ-პოლიტიკურ მიზნებზე.

გერმანულენოვან ეროვნულ ეკონომიკურ სივრცეში დიდი ხნის მანძილზე დომინირებდა ვალტერ ოიკენის (1952) მიერ შემოღებული ორად დაყოფის სისტემა, რომელიც გამოყენებული ინსტრუმენტების სახეობის მიხედვით ერთმანეთისგან განასხვავებს წესრიგის პოლიტიკასა (ჩარჩო პოლიტიკა) და პროცესის პოლიტიკას (მიმდინარე პოლიტიკა).

ვალტერ ოიკენი და წესრიგის პოლიტიკა

ვალტერ ოიკენი (1891-1950)დაიბადა იენაში, სწავლობდა ეროვნულ ეკონომიკას იენაში, კილში, ბონსა და ბერლინში, სადაც 1921 წელს დაიცვა სამეცნიერო ხარისხი. 1925 წელს იგი გახდა ტიუბინგენის უნივერსიტეტის პროფესორი, 1927 წლიდან იყო ფრაიბურგის უნივერსიტეტის ეროვნული ეკონომიკის პროფესორი. ოიკენი გახდა ფრაიბურგის სკოლის თანადამაარსებელი – ეკონომისტებისა და იურისტების გაერთიანებისა, რომელიც სტრუქტურულ-პოლიტიკური კავშირებისა და პრობლემების ანალიზზე მუშაობდა. მის მთავარ ნაშრომებს განეკუთვნება: ეროვნული ეკონომიკის საფუძვლები (იენა, 1940); ეკონომიკური პოლიტიკის პრინციპები (ტიუბინგენი, 1952).

ოიკენის ნაშრომში ცენტრალურ ადგილს იკავებს საკითხი, რამდენად შესაძლებელია ეკონომიკური მეცნიერების მეთოდიკაში ერთმანეთს დავუკავშიროთ თეორიულ-აბსტრაქტული შეფასებები, კონკრეტულ სივრცესა და დროზე დამოკიდებული დაკვირვებები და ეკონომიკური პოლიტიკის

პრობლემების გადაჭრის გზები. ე.წ. ისტორიული სკოლის წარმომადგენელი, დიდი ხნის განმავლობაში ეჭვობდა, რომ საზოგადოებრივი და ეკონომიკური განვითარების ისტორიული მრავალფეროვნების ფონზე შეუძლებელი იყო ზოგადი, უნივერსალური ეკონომიკური თეორიების არსებობა. ამის საწინააღმდეგოდ ოიკენმა გამოთქვა აზრი, რომ ზოგადი თეორიებისა და ეკონომიკური პროცესების განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მოცემული ეკონომიკური წესრიგის ფარგლებში. იდეალური ეკონომიკური წესრიგის ფორმებად მან გამოყო საბაზრო ეკონომიკა (რეალური ეკონომიკა) და გეგმიური ეკონომიკა (ცენტრალიზებული ეკონომიკა). კონკრეტული ეკონომიკური წესრიგის ფორმირებაში იგი ხედავდა ისტორიული განსხვავებების ფართო სპექტრს. თავისი ეკონომიკურ წესრიგებად დაყოფილი ეკონომიკური თეორიის შემაჯამებელი მოსაზრებით ოიკენმა დიდად შეუწყო ხელი ისტორიული სკოლის მოსაზრებების გაქარწყლებას.

ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში ოიკენს, უპირველეს ყოვლისა, აინტერესებდა საბაზრო-ეკონომიკური წესრიგის ხანგრძლივი, შეფერხების გარეშე ფუნქციონირებისთვის საჭირო, საფუძვლების შემუშავება. იგი გამოდიოდა ბაზარზე სახელწიფოს მხრიდან შესაბამისი ჩარევის გზით კონკურენციული წესრიგის დამკვიდრების აუცილებლობიდან, ასევე ფულის ღირებულების სტაბილურობის უზრუნველყოფის საჭიროებიდან, რათა ხელი შეეშალა ინფლაციით განპირობებული საბაზრო ფასების გადახრისათვის. ოიკენი კრიტიკულად იყო განწყობილი სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკურ პროცესებში პირდაპირი ჩარევის მიმართ, რაც, მაგალითად, გამოიხატებოდა ფასების კონტროლით, გადასახადებით ან სუბსიდიებით. იგი ამას განიხილავდა, როგორც საბაზრო ფასწარმოქმნაზე გავლენას, რომლის შედეგადაც შესაძლებელი იყო საბაზრო-ეკონომიკური წესრიგის სტაბილურობის გაუარესება. ოიკენი ასევე კრიტიკულად აფასებდა შესაძლებლობას, გაკეთებულიყო ზუსტი რაოდენობრივი პროგნოზები ეკონომიკურ-პოლიტიკური ჩარევის შედეგების თაობაზე.

წესრიგის პოლიტიკა გულისხმობს იმ ფაქტორებით ზემოქმედებას, რომლებიც ეკონომიკური აქტივობებისა და შესაძლო ეკონომიკურ-პოლიტიკური ჩარევების ინსტიტუციურ ჩარჩოებს აღნიშნავენ. იგი მოიცავს ეკონომიკაში მიღებული ძირითადი წესების განსაზღვრას, რომლებიც ეკონომიკურ სუბიექტებს შორის ურთიერთობისათვის არის განკუთვნილი, ასევე ინსტიტუციების შექმნას, რომლებიც ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებად გვევლინებიან, ასევე ეკონომიკურ მოვლენებში ჩარევისათვის მათი უნარების ფორმირებას. რაც შეეხება პროცესის პოლიტიკას, იგი მოიცავს ყველა იმ ღონისძიებას, რომელთა საშუალებითაც, წესრიგის პოლიტიკის ფარგლებში, ხდება ეკონომიკური გადაწყვეტილებებისათვის მნიშვნელოვან მონაცემებზე გავლენის მოხდენა. ეს მონაცემები შესაძლოა იყოს, მაგალითისათვის, საქონლის ფასები, საგადასახადო განაკვეთები, სუბსიდიების რაოდენობა, საპროცენტო განაკვეთები და მოთხოვნისა და შემოსავლების ცვლილებები.

ანგლო-ამერიკულ ლიტერატურაში გავრცელებულია კლასიფიკაცია, რომელიც უკავშირდება ნიდერლანდელ ეკონომისტს იან თინბერგენს (1952). იგი ეყრდნობა ეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზისთვის ეკონომიკური მეთოდების ფართო გამოყენებას და განასხვავებს რაოდენობრივ და ხარისხობრივ

ეკონომიკურ პოლიტიკას. ხარისხობრივი ეკონომიკური პოლიტიკა მოიცავს მოცემული ეკონომიკური სტრუქტურის ცვლილებებს.

იან თინბერგენი და ეკონომეტრიკა

იან თინბერგენი (1903-1994), დაიბადა ჰააგაში, სწავლობდა მათემატიკასა და ფიზიკას ლეიდენის უნივერსიტეტში, ხოლო მოგვიანებით მიუბრუნდა ეკონომიკურ მეცნიერებებს. 1933 წლიდან იგი იყო როტერდამში ეკონომიკის პროფესორი, 1945-1955 წლებში ხელმძღვანელობდა ნიდერლანდების მთავრობის ცენტრალური დაგეგმვის ბიუროს. 1969 წელს თინბერგენი იყო პირველი ეკონომისტი (რაგნარ ფრიშთან ერთად), რომელმაც ეკონომიკური მეცნიერების დარგში ახლად დაწესებული ნობელის პრემია მიიღო. მის მთავარ ნაშრომებს მიეკუთვნება: *Statistical Testing of Business Cycle Theories (New York, 1939); Economic Policy:Principles and Design (Amsterdam, 1956)*.

თინბერგენი ითვლება ეკონომიკური მეცნიერების რაოდენობრივი ანალიზის ფუძემდებლად. მის მიერ განვითარებული ეკონომეტრიკა ამოწმებს ეკონომიკის შესახებ თეორიულ მოსაზრებებს მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდებით. ეკონომიკური თეორიის ჰიპოთეზებისა და მოდელების ეკონომომეტრიკული შეფასებით შესაძლებელია ეკონომიკური ურთიერთობების რაოდენობრივი გამოთვლა და პროგნოზირება. ამ შემთხვევაში თეორიულად ასევე შესაძლებელია რაოდენობრივ შეფასებას დაქვემდებარებადი მონაცემების განსაზღვრა, რომლითაც ხდება ეკონომიკაში ეკონომიკურ-პოლიტიკური ჩარევები. თინბერგენის შრომები კონცენტრირებულია საერთოეკონომიკური მოდელების შეფასებაზე, რომლებიც საერთო ეკონომიკური პროგნოზის გაკეთების საფუძვლებსა და რაოდენობრივი ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებების კონცეფციას წარმოადგენდნენ. მისი პირველი, ამერიკის შეერთებული შტატებისათვის განკუთვნილი ეკონომეტრიკული კონიუნქტურული მოდელი შედგებოდა 48 ცვლადისგან. სწორედ ამან ჩაუყარა საფუძველი დღეისათვის უკვე სტანდარტად მიჩნეულ კონიუნქტიურული ანალიზისა და პროგნოზის მეთოდს, რომელიც დაფუძნებულია საერთო ეკონომეტრიკულ მოდელზე. პრობლემა კვლავინდებურად წარმოიშვა მოდელის სიზუსტესა და ეკონომიკური შეფასებების ეფექტიანობას შორის არსებული შეუსაბამობის გამო. სიზუსტის მაღალი ხარისხი მოითხოვს შედარებების და ცვლადების მაღალ რიცხვს, რის გამოც იზრდება ასევე შეფასების სირთულეც.

რაოდენობრივი ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებები განისაზღვრება ეკონომეტრიკული მეთოდების მეშვეობით, რომლებიც ეკონომიკური სტრუქტურის უცვლელობის პირობებში, გამოხატავენ კავშირს ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტულ და მიზნობრივ ცვლადებს შორის. ცალკეული ინსტრუმენტების ცვლილებამ უნდა უზრუნველყოს მიზნობრივი ფუნქციის ზუსტად გამოთვლადი ცვლილება. მოგვიანებით თინბერგენმა (1956) დანერგა ახალი დიფერენცირება, რომლის მიხედვითაც მან მკვეთრად გამიჯნა რაოდენობრივი და ხარისხობრივი ეკონომიკური პოლიტიკა რეფორმებისაგან. ამასთან, რეფორმა მან განმარტა, როგორც საზოგადოებრივი მოწყობის ის ძირფესვიანი ცვლილება, რომელიც ეკონომიკურ სტრუქტურაზე უდიდეს გავლენას ახდენს. იმის მიხედვით,

თუ რომელი სფეროსკენ არის მიმართული ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტები, განასხვავებენ გლობალურ პოლიტიკას, რომელიც სრულად მოიცავს მთლიან ეკონომიკას და სტრუქტურულ პოლიტიკას, რომელიც მიმართულია მხოლოდ მთლიანი ეკონომიკის ცალკეული სფეროებისაკენ. სტრუქტურული პოლიტიკის მხრიდან ჩარევის ძირითად სფეროებს რეგიონული და სექტორული ეკონომიკური პოლიტიკა წარმოადგენს. მოკლედ რომ შევაჯამოთ, მიზნების დიფერენცირებით შესაძლებელია ეკონომიკური პოლიტიკის მეთოდებისა და ინსტრუმენტების სისტემაში მოყვანა. ამასთან, შესაძლებელია განვასხვავოთ კონიუნქტურული, ზრდის, გარემოს დაცვისა და განაწილების პოლიტიკა. კონიუნქტურული სტაბილურობისთვის გატარებული ღონისძიებები, თავის მხრივ, შესაძლებელია, გადანაწილდეს სტაბილიზაციის, დასაქმებისა და საგადასახდელო პოლიტიკის სფეროებში.

1.6 მაგალითი: ეკონომიკური, საფინანსო და სოციალური პოლიტიკა გერმანიაში

ეკონომიკურ პოლიტიკასთან უშუალო კავშირშია საფინანსო და სოციალური პოლიტიკა. ეს კავშირი კარგად ჩანს დღეს გავრცელებული ცნებების მაგალითზეც: „ეკონომიკური და საფინანსო პოლიტიკა“, ან „ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა“, რომლებსაც ხშირად შეხვდებით სახელმძღვანელოებში, კათედრებზე, კვლევით ინსტიტუტებში თუ საკონსულტაციო საბჭოებში. რთულია, ერთმანეთს დაუკავშირო ზემოთ აღწერილი თეორიული ეკონომიკური პოლიტიკის კლასიფიკაცია და საფინანსო და სოციალური პოლიტიკა.

სოციალური პოლიტიკის დაყვანა სტრუქტურულ და განაწილების პოლიტიკამდე მხოლოდ ძალიან ვიწრო გაგებით არის შესაძლებელი. სოციალურ-პოლიტიკური ღონისძიებების მიზანი საზოგადოების ხელმოკლე ჯგუფებისთვის ცხოვრების და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაა. ეს უკანასკნელი გულისხმობს განაწილების პოლიტიკურ ღონისძიებებს. თანამედროვე სოციალური პოლიტიკის სხვა სფეროები, კერძოდ, მოსახლეობის ჯგუფების დაზღვევა ისეთი რისკებისაგან, როგორიცაა უბედური შემთხვევა, ავადმყოფობა ან სიბერე, ასევე შრომის ბაზრების ფუნქციონირების პირობების რეგულირება, ცხადია, ეხება ალოკაციისა და სტაბილურობის პოლიტიკის ცენტრალურ სფეროებს. სოციალურ-პოლიტიკური ღონისძიებები შესაძლოა ორიენტირებული იყოს პროცესის პოლიტიკაზე და თავისი არსით წარმოადგენდეს რაოდენობრივ კატეგორიას. მაგალითისათვის – ცვლილებები კანონიერი სოციალური დაზღვევის შენატანებში. მას ასევე შეუძლია მიიღოს წესრიგის პოლიტიკის მიმართულება და ხარისხობრივი ხასიათი, თუ საქმე შეეხება შრომის ბაზრის კანონის ცვლილებას.

იგივე შეიძლება ითქვას საფინანსო პოლიტიკაზეც, რომელსაც სახელმწიფო ხარჯებზე, შემოსავლებსა და სახელმწიფო ვალზე აქვს გავლენა. სახელმწიფო ბიუჯეტის ცნების ეკონომიკურ ციკლში ინტეგრაციით, გადასახადების, სახელმწიფო ხარჯებისა და ვალების პოლიტიკა პოლიტიკური სტაბილიზაციის მექანიზმების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი გახდა. ამავდროეულად ალოკაციასა და განაწილებაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს სახელმწიფო ბიუჯეტის ნებისმიერ ცვლილებას. ამასთან დაკავშირებით, რობერტ მუსგრავემ (1959) *functional finance*-ს (ფუნქციური ფინანსების) იდეა განავითარა. იგი ითვალისწინებს ნებისმიერ სახელმწიფო ბიუჯეტში სამი სხვადასხვა მიმართულების არსებობას, რომლებიც ორიენტირებულნი არიან ალოკაციის, სტაბილიზაციისა და განაწილების მიზნების მიღწევაზე. სახელმწიფო ბიუჯეტის წმინდა ეკონომიკურ მიზნებზე ორიენტირებული დაყოფა პრაქტიკულად განუხორციელებელია. საფინანსო პოლიტიკა შესაძლოა, მიმართული იყოს პროცესის პოლიტიკაზე, როცა საქმე ეხება ცალკეული საგადასახადო განაკვეთის ცვლილებას. ის ასევე წესრიგის პოლიტიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, იმდენად, რამდენადაც საქმე ეხება ქვეყნის საერთო საფინანსო კანონმდებლობის ჩამოყალიბებას. საფინანსო პოლიტიკის ღონისძიებების გავლენა შესაძლოა გავრცელდეს, როგორც ცალკეულ ჯგუფებზე, ასევე მთელ ეკონომიკაზეც. სახელმწიფოს ქმედებები სოციალური პოლიტიკისთვის გადამწყვეტ როლს თამაშობს, თუმცა პროფკავშირები და დამსაქმებელთა გაერთიანებებიც, მაგალითად, შრომის ბაზარზე, ასევე მნიშვნელოვანი სოციალურ-პოლიტიკური პასუხისმგებლობის მატარებელნი არიან.

ეკონომიკურ, სოციალურ და საფინანსო პოლიტიკას შორის კავშირსა და განსხვავებებს კარგად დავინახავთ, თუკი გადავხედავთ გერმანიაში ამ სამი პოლიტიკური სფეროს ინსტიტუციური განვითარების ისტორიას. თავადაზნაურთა აბსოლუტური ძალაუფლების პერიოდში, ანუ მე-17, მე-18 საუკუნეებში, საფინანსო და ეკონომიკური პოლიტიკა გარკვეულწილად იდენტური ცნებები იყო. ეკონომიკურ ცხოვრებაში ისეთი ჩარევა, როგორიცაა გადასახადებისა და საბაჟო მოსაკრებლების გაზრდა ან ბაზრების წარმოქმნა, ხორციელდებოდა მთავრობის განკარგულებით და მიზნად ისახავდა სათავადაზნაურო ხაზინაში შემოსავლების ზრდას. ხელისუფალთა კერძო ეკონომიკურ ინტერესებსა და მოქალაქეების საერთო-სახელმწიფოებრივ ეკონომიკურ ინტერესებს შორის მკვეთრი გამიჯნვა მხოლოდ მე-19 საუკუნეში გახდა შესაძლებელი. გერმანიის სხვადასხვა მიწებზე ამ პერიოდში ფინანსთა სამინისტროს პარალელურად პირველად გაჩნდა ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროები.

1871 წელს რაიხის დაარსების შემდეგ, რაიხს ვაჭრობის, მრეწველობის, საბაჟო და ფულად საკითხებში საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა. თუმცა, თავდაპირველად, ცენტრალური ეკონომიკური უწყებები არ არსებობდა. მხოლოდ 1879 წელს ჩამოყალიბდა რაიხის საფინანსო სამსახური საფინანსო პოლიტიკის საკითხების დასარეგულირებლად. რაიხის შინაგან საქმეთა უწყებაში 1880 წელს გაიხსნა ეკონომიკურ საქმეთა განყოფილება. მასვე დაეკისრა პასუხისმგებლობა ახლად შექმნილი სოციალური სადაზღვევო უწყებების, ასევე შრომის უსაფრთხოებისა და სამუშაო პირობების უზრუნველსაყოფად. 1917 წელს ამ განყოფილების ბაზაზე შეიქმნა რაიხის დამოუკიდებელი ეკონომიკური სამსახური, რომელიც აერთიანებდა ეკონომიკური პოლიტიკისა და სოციალური პოლიტიკის განყოფილებებს. სამეცნიერო დისკუსიებში დამკვიდრდა ცნება „ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა“.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გაგრძელდა ეკონომიკური, საფინანსო და სოციალური პოლიტიკის ინსტიტუციური დიფერენცირება. ვაიმარის რესპუბლიკაში ფინანსების, ეკონომიკის, დასაქმების (სოციალური მოწყობის) სფეროებში უკვე არსებობდა დამოუკიდებელი სამინისტროები. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეს დაყოფა გერმანიის ფედერაციულ ნაწილში შენარჩუნდა. გერმანიის ეკონომიკის სამინისტრო განსაკუთრებული ძალაუფლებით სარგებლობდა საერთაშორისო დონეზე. იგი გერმანიას უამრავ საერთაშორისო ორგანიზაციასა და სამთავრობო კონფერენციებზე წარმოადგენდა, განსაკუთრებით საერთაშორისო სავალუტო ფონდში (*International Monetary Fund*, *IMF*), ასევე 1957 წელს

რომის ხელშეკრულების მომზადებისას, რომელიც საფუძვლად უდევს ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ჩამოყალიბებას (*EWG*). სამინისტროს ძირითადი მიმართულებების დეპარტამენტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სამეცნიერო-საკონსულტაციო გაერთიანებებთან თანამშრომლობას და თავს ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციის დამცველად მიიჩნევდა, რომელსაც, ასევე უნდა მოეცვა საფინანსო და სოციალური პოლიტიკა.

50 წლის შემდეგ კვლავ შეიცვალა გავლენის სფეროები. სახელმწიფოს მნიშვნელობა, სოციალურ პროდუქტთან მიმართებაში, გადასახადების, სახელმწიფოს ხარჯებისა და ვალების წილის მიხედვით, გერმანიაში, ისევე, როგორც ყველა ინდუსტრიულ ქვეყანაში, დრამატულად გაიზარდა. პასუხისმგებელი უპირველეს ყოვლისა, სოციალურ-პოლიტიკურად მოტივირებული სატრანსფერო გადასახდელების მუდმივი ზრდა გახდა.

ამ პერიოდში გერმანიის ეკონომიკის სამინისტრომ დაკარგა როგორც მნიშვნელობა, ასევე ფუნქცია. მას გამოეცალა ბევრი მნიშვნელოვანი განყოფილება, მაგ., 1998 წელს ფინანსთა სამინისტროს სასარგებლოდ, მან დაკარგა პოლიტიკურ საკითხთა განყოფილების დიდი ნაწილი. გაერთიანებული გერმანიის ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა, ევროპის სავალუტო კავშირისკენ ნაბიჯები, უკვე ფინანსთა სამინისტროს პრერეგატივა გახდა. ამდენად, საუბარი საფინანსო პოლიტიკის უპირატესობაზე ეკონომიკურ პოლიტიკასთან მიმართებაში, უსაფუძვლო არ გახლავთ.

ამის პარალელურად ნაბიჯ-ნაბიჯ გაფართოვდა დასაქმებისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს გავლენის სფერო. იგი მუდმივი დიალოგის რეჟიმში მუშაობს სოციალური პოლიტიკის არასამთავრობო უწყებებთან, ე.ი. პროფკავშირებთან, დამსაქმებელთა გაერთიანებებთან, საქველმოქმედო ორგანიზაციებთან. 2002 წელს მიღებული გადაწყვეტილებით, ეკონომიკის სამინისტროსა და დასაქმების სამინისტროს ნაწილის ბაზაზე უნდა ჩამოყალიბებულიყო ახალი სამინისტრო, კერძოდ, ეკონომიკისა და დასაქმების სამინისტრო, უნდა მომხდარიყო ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ერთიანობის ახალ დონეზე აყვანა და დასაქმების ბაზარზე მისი ეფექტურად ამოქმედება. 2005 წლის ბოლოს მთავრობის ჩამოყალიბების შემდეგ, კვლავ აღსდგა სამინისტროების სამად დაყოფის ძველი ფორმა. დრო გვიჩვენებს, რამდენად არის შესაძლებელი ამ ახალ ვითარებაში ეკონომიკური პოლიტიკის ინტერესების დაცვა საფინანსო და სოციალური პოლიტიკის ინტერესებთან დაპირისპირებაში.

გერმანიის პრაქტიკულ ეკონომიკურ პოლიტიკაში საფინანსო და სოციალური პოლიტიკის დომინირება თეორიულ ეკონომიკურ პოლიტიკასაც პრობლემებს უჩენს. საფინანსო პოლიტიკის პირველი რანგის მიზანი კვლავინდებურად სახელმწიფოს საფინანსო ქმედითუნარიანობის განმტკიცება რჩება. სოციალური პოლიტიკის მიზნებს კი განსაზღვრავს მრავალფეროვან დაჯგუფებათა ინტერესები, რომელთა პოლიტიკური მხარდაჭერა სხვადასხვა სახით ხორციელდება. ეკონომიკური მეცნიერების სურვილი, კონსულტაციების გზით ხელი შეუწყოს პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკის გაუმჯობესებას, მეტწილად არასათანადოდ არის გათვალისწინებული. ამის შედეგად, მეცნიერული წინადადებები პრაქტიკული გარდაქმნებისთვის განუხორციელებელი რჩება და, შესაბამისად, არაეფექტურია.

ძირითადი ცნებები

- თეორიული ეკონომიკური პოლიტიკა
  პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკა
- პოზიტიური შეფასებები
  პროგნოზები
  ნორმატიული შეფასებები
  კრიტიკული რაციონალიზმი
- მიკროეკონომიკა
  მაკროეკონომიკა
  ინსტიტუციური ეკონომიკა
  კეთილდღეობის ეკონომიკა
  ახალი პოლიტიკური ეკონომიკა
- წესრიგის პოლიტიკა
  პროცესის პოლიტიკა
- რაოდენობრივი ეკონომიკური პოლიტიკა
  ხარისხობრივი ეკონომიკური პოლიტიკა
- საფინანსო პოლიტიკა
  სოციალური პოლიტიკა

დავალებები

1. ეკონომიკური პოლიტიკა და სოციალური პოლიტიკა

როგორ შეაფასებდით შემდეგ გამონთქვამს: „ეკონომიკური პოლიტიკა სოციალურ პოლიტიკასაც გულისხმობს“

2. ეკონომიკური და საფინანსო პოლიტიკა

1971/1972 წლებში ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროები თითქმის ერთი წლის განმავლობაში ერთდროულად იმართებოდა „სუპერ მინისტრის“ კარლ შილერის მიერ. რა მოსალოდნელი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს ასეთ ინსტიტუციურ გადაწყვეტილებას?

სავარაუდოდ რა მიზეზები მეტყველებდა ამ გადაწყვეტილებების ხანგრძლივი დროის მანძილზე პრაქტიკული განხორციელების საწინააღმდეგოდ?

3. ეკონომიკური პოლიტიკის კლასიფიკაცია

არსებობს თუ არა ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებები, რომლებიც ერთდროულად ორგვარი – პროცესის პოლიტიკისა და წესრიგის პოლიტიკის ბუნების მატარებელია?

4. ეკონომიკური პოლიტიკის ემპირიული საფუძვლები

გერმანიის გაერთიანება, რომლის ეკონომიკურ არსს 1990 წელს გდრ-ის სოციალისტური გეგმიური ეკონომიკიდან კაპიტალისტურ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა წარმოადგენდა, დღევანდელი გადასახედიდან გიგანტურ ეკონომიკურ-პოლიტიკურ ექსპერიმენტს წარმოადგენს. როგორ შეაფასებდით თეზისს, რომ მაშინდელი გადაწყვეტილებები არასაკმარისად გადამოწმებული ეკონომიკური თეორიების საფუძველზე უნდა მიღებულიყო. გერმანიის მაგალითზე, რა სასარგებლო დასკვნების გაკეთება შეიძლება, თუ, ვთქვათ, მომავალში ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის გაერთიანების საკითხი დადგება?

გამოყენებული ლიტერატურა

თეორიულ ეკონომიკურ პოლიტიკას, მის ეკონომიკურ თეორიასთან და პრაქტიკულ ეკონომიკურ პოლიტიკასთან მიმართებას, ასევე მის კლასიფიკაციას სრულად წარმოგვიდგენენ ისეთი „კლასიკოსები“, როგორებიც არიან: *Giersch* (1961; 1977), *Woll* (1992), *Peters* (2000) und *Streit* (2005). ზოგადი ეკონომიკური პოლიტიკის სხვა სახელმძღვანელოებს სხვადასხვა საკვანძო საკითხებით წარმოადგენენ: *Ahrns/Feser* (1997), *Donges/Freytag* (2009), *Weimann* (2005), *Breyer/Kolmar* (2010), *Welfens* (2013) und *Grüner* (2012).ეკონომიკური პოლიტიკის ცალკეული სფეროების შესახებ ინფორმაციას მოიცავს ვალენსის საგამომცემლო სახლის პუბლიკაცია „ეკონომიკური თეორიისა და ეკონომიკური პოლიტიკის მოკლე კურსი“ ((*Bender* და სხვ. 2007) და შპრინგერის საგამომცემლო სახლის სამაგიდო წიგნი – „ეკონომიკური თეორია“ (*Von Hagen* და სხვ.1996). ინგლისურ ენაზე იხილეთ *Acocella*-ს სახელმძღვანელო (1998). საფინანსო პოლიტიკის შესავალი – *Blankart*-ი (2008); სოციალური პოლიტიკა – *Lampert/Althammer*-ი (2007). გერმანიის პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკის ისტორიის მოკლე მიმოხილვა – *Ambrosius*-ი (2001). ეკონომიკის სამინისტროს ისტორია და მისი ურთიერთობა ფინანსთა და სოციალური საკითხების სამინისტროსთან – *Schatz*-ი (2002).

ეკონომიკურ-პოლიტიკური რჩევის ძირითადი პრობლემები

2

2.1 თეორიული ეკონომიკური პოლიტიკა, როგორც მეცნიერული რჩევის საფუძველი 42
2.2 მეცნიერული რჩევის ღირებულებები და კონცეფციები 44
2.3 რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის შესაძლებლობები და საზღვრები 46
2.4 რაციონალურიდან ეფექტიან ეკონომიკურ პოლიტიკამდე 50
2.5 მაგალითი: საერთო-ეკონომიკური განვითარების შეფასების ექსპერტთა საბჭო, როგორც პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკის საკონსულტაციო ორგანო გერმანიაში 51

სწავლების მიზნები

- მეცნიერულად დასაბუთებული რჩევა პოლიტიკის შესახებ, რომელიც ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემების გადასაჭრელად ეკონომიკურ თეორიებს იყენებს, უნდა აცნობიერებდეს იმ განსაკუთრებულ პრობლემებსა და საზღვრებს, რომლებიც სწორედ ასეთი რჩევის გათვალისწინების შედეგად ჩნდება.

- როგორც ღირებულებით შეფასებებს შორის განსხვავება გვიჩვენებს, ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ მიღებულ რეკომენდაციებში პოტენციური პრობლემები შესაძლებელია უკავშირდებოდეს სხვადასხვა ღირებულებით ორიენტირებს.

- რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის იდეალური სურათის მიხედვით ეკონომისტები განსაზღვრავენ, ეკონომიკური პოლიტიკის რომელი ინსტრუმენტების გამოყენებით არის შესაძლებელი ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებში გარკვეული ცვლილებების შეტანა.

- რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის შინაარსობრივი საზღვრები უფრო გამოიკვეთა ლუკასის კრიტიკის შედეგად. ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფცია წარმოადგენს ახალი ტიპის მოდელს, რომელიც შეზღუდვების მიუხედავად, ეკონომიკურ მოვლენებს ეფექტიან იმპულსს ანიჭებს.

- გერმანიის ექსპერტთა საბჭოს ისტორია კარგად ასახავს დროის მანძილზე ღირებულებების ცვლილებებს საზოგადოებრივ მოთხოვნებსა და ინსტიტუციური ეკონომიკური პოლიტიკის კონსულტაციებში.

- გერმანიის ექსპერტთა საბჭოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკის მრჩეველთა საბჭოს შედარება გვიჩვენებს, რა დადებითი და უარყოფითი მხარეები შეიძლება ახლდეს ეკონომიკური პოლიტიკის მრჩევლებისა და მოქმედი პოლიტიკოსების მჭიდრო თანამშრომლობას.

2.1 თეორიული ეკონომიკური პოლიტიკა, როგორც მეცნიერული რჩევის საფუძველი

თეორიული ეკონომიკური პოლიტიკა, როგორც წესი, გავლენას პრაქტიკულ ეკონომიკურ პოლიტიკაზე მეცნიერული რჩევის ფორმით ახდენს. ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად თეორიული ეკონომიკური პოლიტიკის რჩევებსა და ეკონომიკური პოლიტიკის პრაქტიკაში მოქმედ ღონისძიებებს შორის, ხშირად მკვეთრი შეუსაბამობა არსებობს. მსგავსი შეუსაბამობები თეორიულ ანალიზსა და პრაქტიკულ გამოყენებას შორის არც სხვა მრავალი მეცნიერული დისციპლინისთვის არის უცხო. ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში ისინი ძირითადად ოთხ მთავარ ფაქტორს ეფუძნებიან:

- როგორც სხვა სოციალურ მეცნიერებებში, თეორიული ეკონომიკის სწავლებაშიც, ხშირად ეკონომიკური მოვლენების ადეკვატურ ანალიზთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. საჭიროების შემთხვევაში, ურთიერთგანსხვავებული თეორიებიდან შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ეკონომიკური პოლიტიკის ფართო მასშტაბის რეკომენდაციები. თეორიების ექსპერიმენტულ გადამოწმებას არსებული პრობლემის გადაჭრამდე მხოლოდ პირობითად მივყავართ, ვინაიდან გამოყენებული მონაცემების ინტერპრეტაციისა და არჩევისას წარმოიქმნება ცალკეული შეზღუდვები, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს მოცემული ჰიპოთეზის უპირატესი გამართლება კონკურენტ ჰიპოთეზებთან შედარებით.

- ეკონომიკური პოლიტიკის პრაქტიკა სირთულეების წინაშე იმ შემთხვევაშიც აღმოჩნდება ხოლმე, როცა მას უწევს ახალი ტიპის პრობლემის გადაჭრა მაშინ, როდესაც, მას არ შუძლია დაეყრდნოს ეკონომიკური თეორიის საფუძვლებს. თეორიულად სანდო იდეები და ისტორიული ანალოგების მიხედვით გამოტანილი დასკვნები, მსგავს სიტუაციებში გამოსავალს წარმოადგენს. თუმცა, იმავდროულად იზრდება ეკონომიკური პოლიტიკის მცდარი გადაწყვეტილებების მიღების რისკები.

- პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკა, როგორც ზოგადი პოლიტიკის ერთ-ერთი ნაწილი, ხშირად ექვემდებარება სხვადასხვა გავლენებსა და ზეწოლას, რომლებიც თეორიულ ეკონომიკურ პოლიტიკაში არც თუ იშვიათად არის ჯეროვნად შეფასებული და, შესაბამისად, ეკონომიკური პოლიტიკის რეკომენდაციების ფორმულირებისას ნაკლებად ხდება მათი გათვალისწინება. ერთი მხრივ, შესაძლებელია დროთა განმავლობაში მოხდეს ეკონომიკური პოლიტიკის პრაქტიკული მიზნების გარდაქმნა ისე, რომ ჩამოყალიბდეს ახალი მიზნები და მანამდე არსებული მიზნების მნიშვნელობა ამის შედეგად მეორეხარისხოვნად იქცეს. მეორე მხრივ, შესაძლებელია ეკონომიკური პოლიტიკის მიზნისკენ სწრაფვას ზიანი იმით მიადგეს, რომ იგი კონფლიქტში მოვიდეს სხვა ეკონომიკურ ან პოლიტიკურ მიზნებთან.

- ცენტრალური პრობლემა, რომელიც წარმოიშობა თეორიული ეკონომიკური პოლიტიკის რეკომენდაციების პრაქტიკულ გადაწყვეტილებებში გატარებისას, ეფუძნება საბოლოოდ იმას, რომ ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლების ინტერესები, ხშირად მრჩეველი ეკონომისტების ინტერესებისგან სრულიად განსხვავდება. ახალ არჩევნებში გამარჯვებაზე ზრუნვა, ამომრჩეველთა განსაზვრულ ჯგუფზე ორიენტირება ან არსებული გავლენის სფეროს შენარჩუნება, მოცემულ ვითარებაში იწვევს იმ ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიებისგან განსხვავებული სტრატეგიების არჩევას, რომლებიც ეკონომიკური პოლიტიკის თეორიების საფუძველზე განვითარდნენ. ახალი პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლების მეშვეობით, ეკონომიკურმა თეორიამ მოახერხა, გამჭვირვალე გაეხადა ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში მოღვაწე პოლიტიკოსებისა და ბიუროკრატების წინააღმდეგობრივი ქმედებები. თუმცა, ამით ეკონომიკური პოლიტიკის სოლიდური რეკომენდაციების რეალიზების შანსები მნიშვნელოვნად ჯერ არ გაუმჯობესებულა.

2.2 მეცნიერული რჩევის ღირებულებები და კონცეფციები

სოციალურ მეცნიერებებათა წრეებში უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს მსჯელობა იმის თაობაზე, გააჩნიათ თუ არა მეცნიერულ თეორიებს რაიმე ღირებულება. ამავე დროს შესაძლებელია თუ არა მათი, როგორც ნორმატიული შეფასების გამოყენება, რომელთა საშუალებით შესაძლებელია ზუსტად განსაზღვრული პოლიტიკური მიზნების გამართლება. 1909 წელს გაჩაღდა ღირებულებით შეფასებებთან დაკავშირებული კლასიკური დაპირისპირება საკითხზე, შესაძლებელია თუ არა მეცნიერულად დასაბუთდეს განაწილების პოლიტიკის ღონისძიებათა გატარების აუცილებლობა საზოგადოების ხელმოკლე ჯგუფების სასარგებლოდ. ხანგრძლივმა დისკუსიამ, რომელმაც შემდგომში ეს დაპირისპირება გამოიწვია, ცხადყო, რომ ღირებულებითი შეფასებები, სრულიად სხვადასხვა დონეზე, მეცნიერულ პროცესშიც აღწევს. ამასთან, ეკონომიკურ მეცნიერებებში განასხვავებენ სამ სხვადასხვა განზომილებას:

- ცხადია, ეკონომიკური თეორიის ობიექტის სფეროს განეკუთვნება შეფასებები, მანამ, სანამ ინდივიდუალური და კოლექტიური პრიორიტეტები და ეკონომიკაზე მათი გავლენა ეკონომიკური ანალიზის საგანი იქნება.

მაქს ვებერი და ღირებულებით შეფასებებს შორის განსხვავება

მაქს ვებერი (1864-1920) დაიბადა ერფურტში, სწავლობდა იურისპრუდენციას, ეროვნულ ეკონომიკას, ფილოსოფიასა და ისტორიას ჰაიდელბერგში, გოთინგენსა და ბერლინში, სადაც 1889 წელს დაიცვა ხარისხი იურისპრუდენციის დარგში. იგი იყო ეროვნული ეკონომიკის პროფესორი, თავდაპირველად ფრაიბურგში (ბრაისგაუ), 1897 წელს – ჰაიდელბერგში. ვებერი იყო გერმანიის სოციოლოგიის საზოგადოების თანადამფუძნებელი. 1909 წელს სოციალურ-პოლიტიკური გაერთიანების ვენის კონფერენციაზე ვებერი აღმოჩნდა დისკუსიის ცენტრში, რომელიც შეეხებოდა ღირებულებით შეფასებებს შორის განსხვავებებს. ეს იყო ინტენსიური დებატები თანამედროვე ეკონომიკური და საზოგადოებრივი მეცნიერებების „ღირებულებითი თავისუფლების“ შესახებ. ვებერის მთავარ ნაშრომებს მიეკუთვნება: „სოციალურ-მეცნიერული და სოციალურ-პოლიტიკური ხედვის ობიექტურობა“ (სოციალური მეცნიერებისა და სოციალური პოლიტიკის არქივი, 1904); „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული“ (ტიუბინგენი, 1905); „პოლიტიკა, როგორც პროფესია“ (მიუნხენი-ლაიფციგი, 1919).

ვებერი თავის შრომებში რელიგიის სოციოლოგიის შესახებ კაპიტალიზმის განვითარებას დიდწილად ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში კალვინისტურ-პროტესტანტული ბურჟუაზიის ასკეტური ცხოვრების ეთიკით ასაბუთებდა. “კაპიტალიზმის სულის“ ექსპანსიასთან ერთად, მისი აზრით, ხდება ადამიანური „ცხოვრებისეული სამყაროს“ რაციონალიზაცია, რომელიც ეკონომიკურ ქმედებებთან ერთად მეცნიერებასაც მოიცავს. ამ რაციონალიზაციის შედეგია ვებერის მოთხოვნა, სამეცნიერო შრომებში მკვეთრად გამიჯნულიყო განსხვავება ნორმატიულსა და ისეთ შეფასებებს შორის, რომლებიც „ეფუძნებიან წმინდა ლოგიკური ან წმინდა ემპირიული ფაქტების

დადგენას.“ „ღირებულებით შეფასებებს შორის განსხვავებაში“ ვებერი უარყოფდა იმ წარმოდგენას, რომ ნორმატიული შეფასებები და პოლიტიკურ ქმედებებთან დაკავშირებული რეკომენდაციები მეცნიერულად დასაბუთებადია. უფრო მეტიც, იგი მოუწოდებდა მკვეთრად გამიჯნულიყო განსხვავება რაციონალურ-მეცნიერულ (საყოველთაოდ მიღებულ) დასკვნასა და ნორმატიულ შეფასებაზე დაფუძნებულ ეთიკურ და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს შორის. მეცნიერებას შესწევს უნარი, ჰიპოთეტური მიზნების მისაღწევად სხვადასხვა საშუალებების ვარგისიანობა შეისწავლოს. თუმცა კი, მიზნების ჩამოყალიბება უნდა განხორციელდეს პოლიტიკის, ეთიკისა და ფილოსოფიის საშუალებით. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მეცნიერს არ აქვს უფლება, გასცეს ეთიკური ან პოლიტიკური რეკომენდაციები. ვებერი თავად არაერთი პოლიტიკური სტატიის ავტორი და გერმანიის დემოკრატიული პარტიის წევრი იყო. აუცილებელია მხოლოდ განვასხვავოთ ღირებულებითი შეფასების სფერო ლოგიკური ან ემპირიული დასკვნებისგან და ნორმატიული შეფასებები ზუსტად ასეთად მივიჩნიოთ. პრობლემა, რომელიც განიხილებოდა – „ღირებულებით შეფასებებს შორის განსხვავებების“ კონცეფციის ფარგლებში – სოციალური მეცნიერებების განხილვის საგნად კვლავინდებურად რჩებოდა. თავისი განვითარების მწვერვალს მან მე-20 საუკუნის 60-იან წლებში ე.წ. მეთოდებისა და პოზიტივიზმის დავის ფარგლებში მიაღწია. ამასთან, არგუმენტმა იმის თაობაზე, რომ მეცნიერების ღირებულებითი შეფასებისგან გათავისუფლების მოთხოვნა თავად წარმოადგენს ღირებულებით შეფასებას, რომელიც ვებერის კლასიფიკაციის თანახმად, მეცნიერულად არ საბუთდება, ვებერის თეზისი ეჭვქვეშ დააყენა.

- როდესაც საქმე ეხება არჩევანის გაკეთებას სპეციფიკურ კვლევის სფეროებს, მეთოდებსა და შემოწმების ინსტრუმენტებს შორის, გვერდს ვერ ავუვლით თითოეული ცალკეული მეცნიერის შეფასებების სუბიექტურობას. მიღებული კვლევის შედეგების გასაჯაროება და აქტიური მეცნიერული კონკურენცია, რომელიც არ შემოიფარგლება ამა თუ იმ ქვეყნის ფარგლებით, იძლევა საშუალებას, ინდივიდუალურად შეიზღუდოს სხვადასხვა მკვლევართა ცდომილების საზღვრები.

- ამდენად, ღირებულებითი შეფასების განსხვავების ნამდვილი არსი მეცნიერული კვლევის შინაარსობრივ ან ფაქტობრივ სფეროს განეკუთვნება და მოიცავს საკითხს, შესაძლებელია თუ არა განსაზღვრული ნორმატიული მიზნების ვარგისიანობა დამტკიცდეს კვლევის საშუალებით. დღესდღეობით ეკონომისტების დიდი უმრავლესობის პასუხი ამ საკითხთან დაკავშირებით უარყოფითია, თუმცა ეს შეხედულება, ცხადია, თავად წარმოადგენს (არა დამტკიცებად) ღირებულებით შეფასებას. მაშასადამე, ამ ინტერპრეტაციით მეცნიერულად არ არის შესაძლებელი არც საქონლის მიწოდების რაოდენობის ნორმის და არც ინფლაციის განსაზღვრული მიზნის დასაბუთება. უფრო მეტიც, საქმე ეხება პოლიტიკის მიერ მიზნების დასახვის გადაბარებას მეცნიერული მრჩევლისთვის, რომელიც ეკონომიკური თეორიის ბაზაზე შეიმუშავებს შესაბამის ღონისძიებებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი ხდება მიზნების მიღწევა.

ღირებულებითი შეფასების პრობლემატიკასთან მჭიდრო კავშირშია მეცნიერული რჩევის მოდელის კონცეფციის შესახებ არსებული დისკუსია. ეს დისკუსია წინ წამოსწია იურგენ ჰაბერმასმა (1964). იგი რჩევების კონცეფციის დიფერენცირებას ახდენს იმ დიაპაზონში, რომელშიც მეცნიერი მრჩევლები პოლიტიკის მიზნებზე გავლენის მოხდენას შეძლებენ. დასაშვებია შემდეგი სამი შემთხვევა:

- ტექნოკრატიული რჩევის მოდელის მიხედვით პოლიტიკოსები საზოგადოებრივი წესრიგის შეფასებასა და შესაბამისი ინსტრუმენტების კონცეფციას სამეცნიერო მრჩევლებს მიანდობენ. ამის მიღმა შესაძლებელია დავინახოთ ანაქრონისტული, თანამედროვე დემოკრატიების ფუნქციონირების მექანიზმებისთვის უკვე შეუსაბამო ნდობა სამეცნიერო მრჩევლის კომპეტენციისადმი. ასევე შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ტექნოკრატიული კონსულტაციები განსაკუთრებულ აქტუალობას მაშინ იძენენ, როდესაც პოლიტიკას საზოგადოების წინაშე მდგარ სასწრაფო მნიშვნელობის პრობლემებზე პასუხი არა აქვს, ან არ არის მზად, შესაბამის საკითხებზე ასევე პასუხისმგებლობაც იტვირთოს. ეს გახლავთ ტიპური სიტუაციები, როდესაც მეცნიერები არა მარტო მრჩევლის როლში გვევლინებიან, არამედ თავადაც წარმატებით ასრულებენ პოლიტიკოსის როლს, რაც მათ განსაკუთრებულ პროფესიულ კომპეტენციას ეფუძნება. როდესაც მეცნიერი თავად ხდება პოლიტიკოსი, კლასიკური ღირებულებითი შეფასების პრობლემა გვარდება.

- რჩევის დეციზიონისტური მოდელის მიხედვით, მრჩევლის როლი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ამასთან, კონკრეტული მიზნების ფორმულირება ხდება პოლიტიკოსების მიერ მაშინ, როდესაც მრჩევლები დასახული მიზნების განხორციელების საშუალებებს მოიძიებენ.

- პრაგმატული რჩევის მოდელის მიხედვით, მრჩეველი პოლიტიკის მოთხოვნებს სრულად ემორჩილება. თუმცა მეცნიერული კონსულტაცია წინ უნდა აღუდგეს პოლიტიკის მცდარ გადაწყვეტილებებს, მაგრამ საშუალებების არჩევა ყოველთვის იმ პირობით ხდება, რომ იგი პოლიტიკურად რეალიზებადი იქნება.

2.3 რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის შესაძლებლობები და საზღვრები

ეკონომისტების მიზანია არსებული რესურსების რაციონალური გამოყენება. აქედან გამომდინარე, ეკონომისტები ხაზგასმით მოითხოვენ ეკონომიკური პოლიტიკის რეკომენდაციების რაციონალურობას. რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკა ნიშნავს, რომ დასახული მიზნების განხორციელებისთვის, ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაციის გათვალისწინებით, არსებული საშუალებები მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული. ოპტიმიზაციის იდეა და მისი განმარტებები, რომელიც რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციას უდევს საფუძვლად, კარგად აიხსნება რაოდენობრივი ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებთან კავშირში. კრიტიკამ, რომელიც რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციას სდევდა, თავად ეკონომიკური პოლიტიკის არსის დაზუსტება გამოიწვია.

რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკა, ჩვეულებრივ, ეფუძნება ეკონომიკურად განმარტებით მოდელს, რომელიც აერთიანებს ეკონომიკური პოლიტიკის რამდენიმე მიზანს, ინსტრუმენტსა და სტრუქტურულ პარამეტრს. ეს უკანასკნელი კი წრფივი განტოლებების სისტემის ფორმით ყალიბდება. ამასთან, შესაძლოა საქმე ეხებოდეს ბაზრის აღწერას წრფივი მიწოდებისა და წრფივი მოთხოვნის ფუნქციის საშუალებით, რომლებიც ერთად განსაზღვრავენ ფასსა და რაოდენობას წონასწორობაში მყოფ ბაზარზე. ასევე შესაძლოა გვქონდეს მაკროეკონომიკური მოდელი, რომელიც ერთდროულად განსაზღვრავს ფასის დონეს, დასაქმების დონესა და საგადამხდელო ბალანსის სალდოს. დაშვება წრფივი კავშირის თაობაზე ხშირად იმით აიხსნება, რომ იგი დაქვემდებარებული მოდელების ურთიერთმიმართების ეკონომიკური შეფასებისთვის საჭირო შესაფერის საფუძველს გვთავაზობს. მატრიცული ფორმით ჩანაწერში წრფივი განმარტებითი მოდელი შემდეგნაირად ჩამოყალიბდება:

$$y = Ax + Bz \tag{2.1}$$

სადაც, y აღნიშნავს განმარტებითი მოდელის m ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზნების ($y_1, ..., y_m$) ვექტორს, x – n ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტები ($x_1, ..., x_n$) ვექტორს, ხოლო $z - I$ სტრუქტურული პარამეტრების ($z_1, ..., z_l$) ვექტორს. A მატრიცის a_{ij}-ის ელემენტები ზომავენ ინსტრუმენტული სიდიდეების ცვლილების ეფექტს მიზნის სიდიდეზე ($a_{ij} = dy_i/dx_j$). A-ს გააჩნია ზომის ერთეული (m, n). B მატრიცის ელემენტები ზომის ერთეულით (m, l) ზომავენ სტრუქტურული პარამეტრების ცვლილების გავლენას მოდელის ენდოგენურ სიდიდეზე.

ეკონომიკურად ახსნადი მოდელი ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილების მოდელად რომ გადავაქციოთ, გამოვა, რომ A და B მატრიცის ელემენტები, ასევე სტრუქტურული პარამეტრის ვექტორი z-ი უცვლელად უნდა დავტოვოთ. ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზნობრივი ღირებულებები, რომლებიც ჩამოყალიბებულია ვექტორში y*: (y_1*, ..., y_m*), იძლევიან ოპტიმალურ ღირებულებას x*: (x_1*, ..., x_n*). ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტული პარამეტრი მიიღება წრფივი განტოლებების სისტემის ამოხსნის გზით:

$$x^* = A^{-1}(y^* - Bz) \tag{2.2}$$

სადაც, A^{-1} არის კოეფიციენტების მატრიცის A ინვერსული ფორმა. წრფივ განტოლებათა სისტემის ამოხსნის ფორმალური წესებიდან რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის შესაძლებლობების შესახებ შემდეგი მოსაზრებები გამომდინარეობს:

- განტოლებათა სისტემის ერთმნიშვნელოვანი ამოხსნა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა მატრიცა A რეალურად ინვერსულია. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მისი მწკრივები და სვეტები წრფივად დამოუკიდებლები არიან. ეს ნიშნავს, რომ ეგზოგენური სიდიდეების x რაოდენობა ზუსტად შეესაბამება ენდოგენური სიდიდეების y რაოდენობას (განტოლებათა სისტემის ამოხსნის წინაპირობა: სისტემა ამოხსნადია, თუ ცვლადების რაოდენობა არ აღემატება განტოლებების რაოდენობას), და, შესაბამისად, ვიღებთ $m = n$-ს. აქედან გამომდინარეობს თინბერგენის წესი: ეკონომიკური მოდელის მიხედვით რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის მკაფიოდ განსაზღვრული ქმედება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეკონომიკური

პოლიტიკის ინსტრუმენტების რაოდენობა ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების რაოდენობას შეესაბამება.

- თუკი ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზნების რაოდენობა ინსტრუმენტების რაოდენობაზე მეტია, შესაბამისად, $m > n$, წინააღმდეგობრივი ხასიათის გამო მოდელის ამოხსნა შეუძლებელია. ეკონომიკურ-პოლიტიკური თავისუფლების ხარისხი აღნიშნულ შემთხვევაში უარყოფითია.

- იმ შემთხვევაში, თუ მიზნების რაოდენობა ინსტრუმენტების რაოდენობაზე ნაკლებია, $m < n$, ეკონომიკური პოლიტიკის თავისუფლების ხარისხი დადებითია. აღნიშნული მოდელის ამოხსნა შესაძლებელია არაერთი გზით, ვინაიდან დასახული მიზნის მისაღწევად, ეკონომიკური პოლიტიკის სულ მცირე ერთი ინსტრუმენტის გამოყენება საჭირო აღარ არის.

ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციამ, ზემოთქმულიდან გამომდინარე, შესაძლოა შექმნას წარმოდგენა, რომ რაოდენობრივი ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების ოპტიმალური გამოყენებით რაოდენობრივი მიზნების მიღწევა ყოველთვის ზედმიწევნით ზუსტად არის შესაძლებელი. თუკი გავითვალისწინებთ იმ არასაიმედო გარემოებას, რომელშიც ეკონომიკის ნებისმიერი მოდელის შესახებ შეფასებები კეთდება, ზემოთმოყვანილი მოლოდინები გაუმართლებელია. მაგრამ მაშინაც კი, თუ ყველა ცვლადს გაუთვალისწინებელი მდგომარეობით გამოწვეულ მერყეობას მივაწერთ, რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის შიდა პრობლემას გვერდს ვერ ავუვლით. სწორედ ეს გახლავთ იმ კრიტიკის არსი, რომელიც რობერტ ლუკასმა (1976) გამოთქვა. ლუკასმა გამოთქვა ეჭვი იმის თაობაზე, რომ განმარტებითი მოდელის სტრუქტურული პარამეტ-



ნახაზი 2.1: რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკა და ლუკასის კრიტიკა ეკონომიკური პოლიტიკის ორი მიზნისათვის

F_1 და F_2 მრუდების გადაკვეთის წერტილი აღნიშნავს – y_1° და y_2° კოეფიციენტების საწყის მდგომარეობას. განსაზღვრული მიზნობრივი სიდიდეების y_1^* და y_2^* მიღწევა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ ორივე მრუდი დამოუკიდებელი ინსტრუმენტების გამოყენებით F_1' და F_2'-ზე გადაინაცვლებს. თუკი ინსტრუმენტების გამოყენებას შედეგად მოჰყვა სტრუქტურული პარამეტრების მოულოდნელი ცვლილება, იცვლება, მაგალითად, F_2'-ის მდებარეობა F_2''-ით და დასახული მიზანი არ მიიღწევა.

რები, რომელებიც თავს იყრიან z ვექტორში, ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებასთან მიმართებაში, ნამდვილად შეიძლება მიღებულ იქნან მუდმივი და უცვლელი სახით. იმ შემთხვევაში, თუ სტრუქტურული პარამეტრები განსაზღვრული ეკონომიკური პოლიტიკის x* ჩარევების შედეგად შეიცვლებიან, დასახული y* მიზნობრივი სიდიდე შესაძლოა, არ იყოს მიღწეული.

ეკონომიკური პოლიტიკის ორი მიზნის შემთხვევაში, ლუკასის კრიტიკის ილუსტრაცია მოცემულია ნახაზზე 2.1. წრფეები F_1 და F_2 აღნიშნავენ y_1-სა და y_2 მიზნებს შორის არსებულ ფუნქციურ კავშირს.

ჩარლზ გუდჰარტი და პრაქტიკული ფულადი პოლიტიკის ფუნდამენტური კანონი

ჩარლზ გუდჰარტი (დაბადებული 1936 წ. ლონდონში) ეკონომიკურ მეცნიერებებს სწავლობდა კემბრიჯსა და ჰარვარდში და 1985 წლიდან ასწავლის ლონდონის ეკონომიკის სკოლაში ფინანსურ თეორიასა და მონეტარულ პოლიტიკას. 1997- 2000 იგი იყო ინგლისის ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის წევრი. მის მთავარ ნაშრომებს განეკუთვნება: ცენტრალური ბანკების ევოლუცია (კემბრიჯი, 1988); მონეტარული თეორია და პრაქტიკა (ლონდონი, 1984). იგი ცნობილი გახდა ფულადი პოლიტიკის ფუნდამენტური კანონით, რომელიც მის სახელს ატარებს. გუდჰარტის კანონი: „ნებისმიერი სტატისტიკურად დაკვირვებადი კანონი წყვეტს თავის მოქმედებას, როცა მასზე გავლენის მოხდენას კონტროლის მიზნით ცდილობენ.“

გუდჰარტი თავის ფულის ისტორიის ანალიზში მუდმივად ხვდებოდა მაგალითებს იმის თაობაზე, რომ ცენტრალური ბანკები ფულის შესახებ თეორიული ცოდნის პრაქტიკულ პოლიტიკაში გატარებისას სირთულეებს აწყდებოდნენ. მან დაადგინა, რომ მონეტარულ სიდიდეებს შორის შესაძლებელი იყო ზუსტად განსაზღვრული, აგრეთვე ემპირიულად გარანტირებული ურთიერთდამოკიდებულება, თუმცა ასეთი ურთიერთობის სტაბილურობა ხშირად არამყარი იყო, თუკი მას ცენტრალური ბანკი ფულად ბაზარზე ჩარევისთვის გამოიყენებდა. არასტაბილურობის მიზეზი ხდებოდა ბაზრის სხვა მონაწილეების რეაქციები ცენტრალური ბანკის ჩარევასთან დაკავშირებით. მაგალითად, ახალი ფინანსური ინსტრუმენტების განვითარება, რომელთა საშუალებითაც ხდებოდა ფულადი პოლიტიკის მარეგულირებელი ჩარევების თავიდან აცილება. გუდჰარტის კანონი წარმოადგენს მაკროეკონომიკის სფეროში ლუკასის კრიტიკის ზუსტ კონკრეტიზაციას.

ეს უკანასკნელი ითვალისწინებს იმ სტრუქტურულ პარამეტრებს, რომლებზეც დამოკიდებულია წრფეების დახრა და ასევე ეკონომიკური პოლიტიკის იმ ინსტრუმენტებს, რომლებიც აღნიშნული წრფეების მდებარეობაზე ახდენენ გავლენას. ამ სახის ფუნქციონალური კავშირი გვხვდება, მაგალითად, მიკროეკონომიკაში საქონლის წონასწორული ფასისა და წონასწორული რაოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით. მაკროეკონომიკაში ისინი ემსახურებიან ფასის დონესა და სოციალურ პროდუქტს შორის ან ინფლაციის დონესა და დასაქმების მაჩვენებელს შორის ურთიერთობის აღწერას. წრფეების გადაკვეთის წერტილში აღნიშნულია მიზნობრივი ცვლადის საწყისი სიდიდე, y_1° და y_2°. რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკა შეეცდებოდა, ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების საშუალებით ეს წრფეები ისე გადაენაცვლებინა, რომ ახალ წონასწორო-

ბაში მიღწეულ ყოფილიყო ორივე ენდოგენური სიდიდის (y_1^* და y_2^*) სასურველი დონე. იმისათვის, რომ მიღწეულ იყოს ორი მიზანი, თინბერგენის წესის თანახმად, საჭიროა ეკონომიკური პოლიტიკის სულ მცირე ორი ინსტრუმენტის გამოყენება ისე, რომ მოხდეს ორივე წრფის გადანაცვლება. იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური პოლიტიკის ინტერვენციის შედეგად, სტრუქტურული პარამეტრები და მასთან ერთად ორივე წრფის დახრის კუთხეც იცვლება, ინსტრუმენტების გამოყენება საბოლოო სიდიდეზე მოსალოდნელ გავლენას არ ახდენს. ორივე ახალი წონასწორობის სიდიდე – y_1 და y_2 დასახული მიზანიდან საკმაოდ მოშორებით მდებარეობს.

2.4 რაციონალურიდან ეფექტიან ეკონომიკურ პოლიტიკამდე

ლუკასის კრიტიკამ რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციის მიმართ, ახალი, მნიშვნელოვანი იმპულსი შესძინა არა მარტო თეორიულ ეკონომიკურ პოლიტიკას, არამედ ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ არსებულ რჩევებს. მისი არსი ძირითადად იმაში მდგომარეობს, რომ მოხდეს, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების, ასევე არსებული ეკონომიკურ-პოლიტიკური საშუალებების გადახედვა. მათი მნიშვნელობისა და მართვის შესაძლებლობებიდან გამომდინარე. ახალი ტიპის ნიმუშად დაისახა ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფცია, რომელსაც მიუხედავად უამრავი შესაძლო წინააღმდეგობისა, შესწევს უნარი, იყოს ქმედითი იმპულსის მიმცემი. ამ ახალ კონცეფციაში გამოიყოფა შემდეგი მიმართულებები:

- ერთიან ეკონომიკურ თეორიაში მოხდა ქმედების ყველა ჰიპოთეზის მიკროეკონომიკურ ანალიზამდე დაყვანა. ეს განსაკუთრებით ეხება მაკროეკონომიკური მოდელის ჩამოყალიბებას, ინსტიტუციურ ეკონომიკასა და პოლიტიკის ეკონომიკურ თეორიას. მიკროეკონომიკური ანალიზი ზუსტად გვიჩვენებს, რა ფორმით რეაგირებენ ინდივიდუალური ეკონომიკური სუბიექტები ბაზრებსა და სხვადასხვა ინსტიტუციებში ზემოქმედებებზე, რომლებიც ეკონომიკური პოლიტიკის ჩარევებიდან გამომდინარეობს.

- ზედმიწევნით გათვალისწინებულია ცალკეული ეკონომიკური სუბიექტის მოლოდინის როლი ეკონომიკური პოლიტიკის ჩარევასთან დაკავშირებით. ამასთან, ხდება რაციონალური მოლოდინის შექმნის კონცეფციის განვითარება, რის მიხედვითაც ყალიბდება მოლოდინები მოცემული დროის მომენტისათვის სტრუქტურისა და მოდელის ცვლადის შესახებ ყველანაირი მნიშვნელოვანი ინფორმაციის გათვალისწინებით.

- კერძო ინდივიდებსა და ეკონომიკური პოლიტიკის სუბიექტებს შორის ურთიერთობას, მოცემული მოლოდინების გათვალისწინებით, თამაშთა თეორიამდე მივყავართ. ასიმეტრიულად განაწილებული თამაშის წესებისა და სტრატეგიული პოტენციური მუქარის საფრთხის გათვალისწინებით, ეჭვქვეშ დგება ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების ოპტიმალური არჩევანი. ნაცვლად ამისა, საჭიროა იმ განსხვავებული წინაპირობებისა და განსხვავებული უპირატესობების ზუსტი ანალიზის გაკეთება, რაშიც მხარეებს უწევთ მონაწილეობა.

- რაციონალურ (რაოდენობრივ) ეკონომიკურ პოლიტიკასთან მიმართებაში პრობლემების არსებობამ გამოიწვია ხარისხობრივი პოლიტიკისა და წესრიგის პოლიტიკის შედარებით უპირატესად გამოყენება. ხდება არა პროცესის პოლიტიკის ინსტრუმენტების მოქმედების ოპტიმიზაცია, არამედ იმ სტრუქტურების ოპტიმიზაცია, სადაც ეკონომიკური აქტივობები ხორციელდება. მიზანს წარმოადგენს არა ეკონომიკური სისტემების ზუსტი მართვა, არამედ მათი ხანგრძლივი და სტაბილური განვითარება.

მიკროეკონომიკაში ყოველგვარი შეფასებითი მოდელის მაქსიმალურად ფართომასშტაბიანი დამკვიდრება, ეკონომიკური პოლიტიკის ყველა სუბიექტის მოლოდინებისა და სტრატეგიული ურთიერთდამოკიდებულების გათვალისწინება, ასევე წესრიგისა და პროცესის პოლიტიკის ინტერვენციებს შორის ბალანსირება, (წესრიგის პოლიტიკის მცირე უპირატესობით) – ეკონომიკური პოლიტიკის თანამედროვე თეორიის მახასიათებლები გახდა. ისინი თავის ზუსტ ასახვას პოულობენ იმ ეკონომიკურ თეორიებში, რომლებიც ეკონომიკური პოლიტიკისათვის გამოიყენება. ეს საკითხები შემდგომ თავებშია განხილული.

2.5 მაგალითი: საერთო-ეკონომიკური განვითარების შეფასების ექსპერტთა საბჭო, როგორც პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკის საკონსულტაციო ორგანო გერმანიაში

ნახაზი 2.2 გერმანიაში ეკონომიკური პოლიტიკის მრჩეველთა მეტად მრავალმხრივ და დიფერენცირებულ სტრუქტურაზე მიუთითებს. სახელმწიფო ეკონომიკურ პოლიტიკას წარმოადგენენ ცალკეული პირები, საპარლამენტო კომიტეტები და კომისიები, კერძო სექციები (მაგ. კრონბერგერის გაერთიანება) და ეკონომიკური მეცნიერებების განსაკუთრებული კვლევითი ინსტიტუტები ბერლინში (DIW), მანჰაიმში (ZEW), კილში (IfW), ესენში (RWI), მიუნხენსა (IFO) და ჰალეში (IWH). მრჩეველთა რიგებში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს სხვადასხვა სამინისტროების სამეცნიერო კომისიები, სადაც დამოუკიდებელი მეცნიერები პრქტიკული ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ საკუთარ პოზიციას მუდმივად აფიქსირებენ. დროის სხვადასხვა პერიოდებში აღნიშნული კომისიები აქვეყნებენ რეცენზიებს საკუთარი სურვილით არჩეულ თემაზე, რომლებშიც რეცენზენტები მიუთითებენ პრობლემებსა და მცდარ განვითარებებზე და მათ გადასაჭრელად საჭირო სტრატეგიებს წარმოადგენენ.

1963 წელს მიღებული სპეციალური კანონი არეგულირებს ექსპერტთა საბჭოს საქმიანობას საერთო ეკონომიკური განვითარების შეფასების თვალსაზრისით (SVR). იგი შედგება 5 წევრისაგან, ე.წ. ხუთი „ბრძენი მეცნიერისგან“. საბჭოს ადმინისტრაციულ საქმიანობას ახორციელებს ვისბადენში განთავსებული სტატისტიკის სამსახური. 1972 წლიდან ასევე არსებობს ექსპერტთა საბჭო გარემოს დაცვის სფეროში ადმინისტრაციით ბერლინში. გარემოს დაცვის საბჭოს საკონსულტაციო საქმიანობა, რომელშიც გაწევრიანებულია გარემოს დაცვის სფე-

როში განსაკუთრებით კომპეტენტური 7 პროფესორი, რეგულირდება შესაბამისი სამინისტროს ბრძანებულების თანახმად.

რჩევის ფორმა	მრავალჯერადი დამოუკიდებელი რჩევა კანონის ან ბრძანების საფუძველზე	მრავალჯერადი ვალდებულებებისგან თავისუფალი რჩევა საკუთარი ინიციატივით შერჩეულ თემაზე	თანმიმდევრული დაკვეთილი რჩევა	ვალდებულებებისგან თავისუფალი რჩევა ერთჯერადი დაკვეთიდან მის გარეშე
მაგალითები	ექსპერტთა საბჭო საერთო ეკონომიკური განვითარების შეფასებისთვის	სამინისტროებთან არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო კომიტეტები: ეკონომიკა და დასაქმება ფინანსები და სხვა	ეკონომიკური სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები: DIW ბერლინი IfW კილი RWI ესენი IFO მიუნხენი IWH ჰალე ZEW მანჰაიმი და სხვა	გაერთიანებები კომიტეტები კომისიები
	ექსპერტთა საბჭო გარემოს დაცვის საკითხებში			ცალკეული პირები

ნახაზი 2.2: მეცნიერული ეკონომიკურ-პოლიტიკური რჩევის ფორმები გერმანიაში

ექსპერტთა საბჭოს როლი საერთო ეკონომიკურ განვითარებაში გამომდინარეობს კანონიერი საფუძვლიდან, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს რჩევისა და მრჩევლის პოზიციას პოლიტიკის მიმართ.

ეკონომიკური პოლიტიკის პირველი ოფიციალური მრჩეველთა კომიტეტი დაარსდა 1948 წელს. ეს იყო გაერთიანებულ ეკონომიკურ სამმართველოსთან არსებული სამეცნიერო კომიტეტი – (მოგვიანებით ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული სამეცნიერო კომიტეტი).

მრჩეველთა კომიტეტი თავის პირველსავე რეცენზიაში შეეხო წესრიგის პოლიტიკის მასშტაბურ საკითხს. საუბარი ეხებოდა, თუ რამდენად იყო საჭირო 1948 წლის ივლისში დასავლეთ გერმანიაში გატარებული სავალუტო რეფორმის დაკავშირება უფრო ფართო მასშტაბის ეკონომიკურ რეფორმასთან. უკვე 1950 წელს საჭირო გახდა ამ კომისიის მხრიდან მთავრობისათვის მუდმივი კონსულტაციების გაწევა წესრიგის პოლიტიკის სფეროში გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებით.

1964 წელს ექსპერტთა საბჭოს, როგორც დამოუკიდებელი საკონსულტაციო კომიტეტის ჩამოყალიბების დროს, წინა პლანზე წამოიწია იდეამ, რომ რაოდენობრივი ეკონომიკური მოდელების საფუძველზე უკეთ იქნებოდა შესაძლებელი ეკონომიკური პრობლემების ახსნის მოძიება და სამომავლო განვითარების პროგნოზების დასახვა. რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის იდეალური მაგალითის მიხედვით, კანონით გამყარებული წესების საფუძველზე, ექსპერტთა საბჭოს უნდა მოეხდინა სამეცნიერო კომპეტენციის პრაქტიკულ ეკონომიკურ პოლიტიკაში გატარება. ფართო საზოგადოების ინფორმაციის დახმარებით, უნდა მომხდარიყო საერთო ინტერესების მქონე გაერთიანებების პოლიტიკური ზეწოლის თავიდან აცილება და სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის დემოკრატიული კონტროლის გაუმჯობესება.

კანონის თანახმად, საბჭომ ყოველი წლის 15 ნოემბრამდე უნდა წარადგინოს წლიური რეკომენდაციები. მასში ასახული უნდა იყოს არსებული საერთო-ეკონომიკური მდგომარეობა და მისი განვითარების პროგნოზი. მას ასევე ევალება, გაარკვიოს, თუ როგორ ხდება საბაზრო ეკონომიკის პირობებში შემოსავლებისა და ქონების ფორმირებისა და განაწილების გათვალისწინებით, ერთდროულად ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების მთელი სპექტრის უზრუნველყოფა. კერძოდ, ფასების დონის სტაბილურობის შენარჩუნება, დასაქმების მაღალი მაჩვენებლის მიღწევა და მუდმივი ეკონომიკური ზრდის პირობებში, საგარეო-ეკონომიკური წონასწორობის დაცვა. თვალში საცემია ის გარემოება, რომ კანონი საბჭოს უკრძალავს ეკონომიკური პოლიტიკის მოცემული ღონისძიებებისათვის ზუსტი რეკომენდაციების გაცემას. უფრო მეტიც, ალტერნატიული სცენარების დახმარებით უნდა მოხდეს პოლიტიკის ქმედებების ფორმის შესაძლო სპექტრის გაანალიზება. რჩევის მოდელი შესაბამისად აშკარად ორიენტირებულია გადაწყვეტილების მიღებაზე. გერმანიის მთავრობამ რვა კვირის განმავლობაში უნდა დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია ექსპერტთა საბჭოს რეკომენდაციების მიმართ თავის წლიურ ეკონომიკურ მოხსენებაში. თუმცა, რეკომენდაციები არა მხოლოდ ექსკლუზიურად გერმანიის მთავრობისათვის არის განკუთვნილი, არამედ მიმართულია ეკონომიკური პოლიტიკით დაინტერესებული და ამ სფეროში მოღვაწე ყველა პირისადმი, ასევე განკუთვნილია ფართო საზოგადოებისათვის. საჭიროების შემთხვევაში ექსპერტთა საბჭოს წლიური რეკომენდაციების გარდა, შეუძლია დამატებით სპეციალური რეკომენდაციების გაცემაც.

საბჭოს წევრებს ხუთი წლის ვადით ირჩევს გერმანიის ფედეალური პრეზიდენტი ფედერალური მთავრობის წარდგინებისა და საბჭოს დანარჩენი წევრების მოსმენის საფუძველზე. საბჭოს წევრები ასევე შესაძლებელია არჩეულ იქნან განმეორებითი ვადით. წევრებისთვის აუცილებელია განსაკუთრებული ცოდნა ეკონომიკური მეცნიერებების სფეროში და გამოცდილება ეროვნული ეკონომიკის დარგში. როგორც წესი, საბჭოს წევრები არიან უმაღლესი სასწავლებლების პროფესორები ეკონომიკურ მეცნიერებების სფეროში. მათ შორის ბევრი იმავდროულად არის ეკონომიკის სამინისტროს ეკონომიკურ მეცნიერებათა კომიტეტის წევრი, მსხვილი კვლევითი ინსტიტუტის პრეზიდენტი ან ეკონომიკური პოლიტიკის კერძო საკონსულტაციო გაერთიანების წევრი. საბჭოს წევრები თავიანთ საქმიანობაში არიან დამოუკიდებელნი ყოველგვარი მითითებისაგან. თითოეულ მათგანს შეუძლია საბჭოს უმრავლესობის აზრის საწინააღმდეგოდ ჩამოაყალიბოს და გაახმოვანოს უმცირესობის აზრი.

ექსპერტთა საბჭოს მოღვაწეობის ხანგრძლივმა ისტორიამ მეცნიერული რჩევის პროცესში არაერთხელ გაამახვილა ყურადღება სხვადასხვა პრობლემაზე, რომლებიც ტიპურია თეორიული ეკონომიკური პოლიტიკის შესაძლებლობებისა და საზღვრებისათვის.

ვინაიდან საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობის მთავარ სფეროს საერთო ეკონომიკური საკითხები წარმოადგენს, დროთა განმავლობაში, საკონსულტაციო

პრაქტიკაში ჩამოყალიბდა ერთგვარი უსიტყვო შეთანხმება იმის თაობაზე, რომ საბჭოს წევრის წარდგენა უნდა მოხდეს, ერთი მხრივ, დამსაქმებელთა გაერთიანებებისა (სამრეწველო, საფინანსო, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და მომსახურების სხვა სფეროებში) და, მეორე მხრივ, პროფკავშირებთან შეთანხმების საფუძველზე. მიუხედავად ამ ფაქტით გამოწვეული ურთიერთგანსხვავებული, სუბიექტური შეფასებისა, საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობის ცენტრალურ ხაზთან დაკავშირებული კონსესუსი უცვლელი რჩება. თუმცა, რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით, მაგალითად, როგორიცაა ხელფასები და დასაქმების ბაზრის პოლიტიკა, უმცირესობას კვლავინდებურად უწევს დათმობაზე წასვლა. გამომდინარე იქედან, რომ არსებობს უამრავი სფერო, რასთან დაკავშირებითაც რეკომენდაციები ურთიერთშეთანხმებულად გაიცემა, საკამათო საკითხები სულ უფრო და უფრო მცირდება.

ეკონომიკური პოლიტიკის წინასწარ განსაზღვრული მიზნების დიდმა რაოდენობამ და ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ღონისძიებებთან დაკავშირებით ერთმნიშვნელოვანი რეკომენდაციების გაცემის აკრძალვამ, საბჭოს საქმიანობას სერიოზური პრობლემები შეუქმნა. საბჭოს ჩამოყალიბების ისტორიაში ზემოთხსენებული ორივე მოცემულობა შესაძლებელია გაგებულ იქნას, როგორც პოლიტიკის გააზრებული დაცვის მექანიზმი მეტისმეტად გამოკვეთილი მოქმედებების ზეწოლისაგან.

საბჭოს ამ გზით შესაძლებლობა ეძლეოდა, თავად მოეხდინა მიზნების დაზუსტება და კომბინირება და იმავდროულად დაესახა გარკვეული პრიორიტეტები. მაშინ, როდესაც, პრაქტიკული პოლიტიკის მოლოდინები საკონსულტაციო საბჭოს მიმართ შიდა-ეკონომიკური სტაბილურობის მიზნის მისაღწევად რეკომენდაციების შემუშავება იყო, ხოლო თავად საბჭოს უპირველეს მიზანს საგარეო-ეკონომიკური წონასწორობის შენარჩუნება წარმოადგენდა. 1970-იან წლებში საბჭო ყურადღებას ამახვილებდა სტაბილურობის მიზნის შეუსრულებლობაზე მაშინ, როდესაც პოლიტიკა ორიენტირებული იყო, უპირველეს ყოვლისა, დასაქმებისა და ეკონომიკური ზრდის მიზნებზე.1980-იანი წლებიდან ექსპერტთა საბჭო გერმანული ეკონომიკის მასობრივი სტრუქტურული ცვლილებებიდან გამომდინარე, წინა პლანზე აყენებს საშუალოვადიანი ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების მიზნების მიღწევას. ამით მან უარი თქვა თავის პირვანდელ შეხედულებებზე, ანუ რაოდენობრივ, იგივე პროცესის პოლიტიკაზე ორიენტირებული წარმოდგენებიდან სრულიად გამოკვეთილად გადაერთო ეკონომიკური პოლიტიკის თვისებრივ, ანუ წესრიგის პოლიტიკის ხარისხობრივ საკითხებზე. გერმანიის გაერთიანების და აღმოსავლეთ გერმანიის ეკონომიკის ტრანსფორმაციის გამო, ძირფესვიანი ეკონომიკური რეფორმა საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობის მთავარ საკითხად იქცა. 1990-იანი წლების ბოლოდან საბჭო ინტენსიურად მუშაობს სოციალური პოლიტიკის რეფორმებზე. გერმანიის ექსპერტთა საბჭომ შეიმუშავა უამრავი ინოვაციური კონცეფცია გაცვლითი კურსის პოლიტიკის, ფისკალური პოლიტიკის, მონეტარული პოლიტიკის ან თუნდაც კონკურენციის პოლიტიკის სფეროებში და გარდა ამისა, ევროპის საავალუტო კავშირში (ე.წ. ევროზონაში) კრიზისის დაძლევის მიზნით, რომლის გავლენაც პრაქტიკულ ეკონომიკურ პოლიტიკაზე აშკარად შესამჩნევია. მიუხედავად ამისა, სამეცნიერო საკონსულტაციო საქმიანობის ხანგრძლივმოქმედი წარმატება ექსპერტთა საბჭოსთან კავშირშიც კი, კვლავინდებურად ეჭვქვეშ დგას.

ექსპერტთა საბჭოს საპირისპირო მოდელად აშშ-ის ეკონომიკის მრჩეველთა საბჭოს Council of Economic Advisors (CEA) მიიჩნევენ, რომელიც 1946 წელს დაარსდა და გერმანიის ექსპერტთა საბჭოს ჩამოყალიბების გზაზე მისთვის ერთგვარ ნიმუშს წარმოადგენდა. თუმცა CEA ასევე აქვეყნებს წლიურ ანგარიშებს, იგი უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს არადამოუკიდებელ, მოქმედი ადმინისტრაციის ნდობით აღჭურვილ მრჩეველთა კომიტეტს. მის სამ წევრს ერთპიროვნულად ირჩევს პრეზიდენტი, რომლებიც წარმოადგენენ მის მუდმივ მრჩევლებს ეკონომიკური პოლიტიკის ყველა საკითხში. მაშინ, როდესაც რჩევის მიზნები გერმანიასთან შედარებით ნაკლებ გამოკვეთილია, ადრესატები ერთმნიშვნელოვნად გარკვეულია. რჩევის ადრესატისა და მრჩეველთა საბაზისო ღირებულებები ურთიერთშეთანხმებული, ხოლო რჩევის მოდელი გამოკვეთილად პრაგმატულია. CEA-ს წევრები, რომლებიც თავიანთ საქმიანობას პროფესიულად შეისწავლიან, მიეკუთვნებიან სამეცნიერო-კვლევით წრეებს და, როგორც წესი, ბოლოს ისევ თავიანთ ადგილს უბრუნდებიან. მათი ჩართულობა ეკონომიკის სფეროში არსებულ კონკურენციაში, ასევე მათი რეპუტაცია ხელს უნდა უშლიდეს იმ გარემოებას, რომ რჩევის შედეგები მეტისმეტად იყოს პოლიტიკის მოთხოვნებით განპირობებული.

მეცნიერების, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტების, რჩევის პროცესებში ჩართულობის მეტად საინტერესო საილუსტრაციო მაგალითს წარმოადგენს გერმანიის ფედერალური ფინანსური სისტემის მასშტაბური რეფორმა, რომელიც 2009 წელს ბუნდესთაგისა და ბუნდესრატის მიერ დამტკიცებულ იქნა, როგორც ფედერალიზმის რეფორმა II. მისთვის საჭირო საკონსტიტუციო ცვლილებები შემუშავებულ იქნა „ბუნდესტაგისა და ბუნდესრატის ერთობლივი კომისიის ფარგლებში და მიზნად ისახავდა ფედერალური მხარეების ფინანსური ურთიერთობების მოდერნიზაციას“. ქოენიგმა და სხვა დანარჩენმა მკვლევარებმა (2010) ექსპერიმენტულად შეისწავლეს, თუ რა გავლენა მოახდინეს ექსპერტებმა, მათ შორის ექსპერტთა საბჭოს წევრებმა, რეფორმების კონკრეტულ ფორმირებაზე და მივიდნენ ორ ძირითად დასკვნამდე:

- რაც მეტად და ერთმნიშვნელოვნად უწევდნენ ექსპერტები რეფორმას რეკომენდაციას, მით უფრო სწრაფად ხდებოდა მისი გატარება.
- რაც უფრო ცხადია ექსპერტთა შეფასებები, მით უფრო სწრაფად ახდენენ ისინი გავლენას რეფორმებზე.

ძირითადი ცნებები

- ნორმატიული შეფასებები
  ღირებულებით შეფასებებს შორის განსხვავება
- ტექნოკრატიული რჩევის მოდელი
  გადაწყვეტილების მიღებაზე ორიენტირებული
  რჩევის მოდელი
  პრაგმატული რჩევის მოდელი
- რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკა
  თინბერგენის ფორმულა
  ლუკასის კრიტიკა
  ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკა
- ექსპერტთა საბჭო საერთო-ეკონომიკური
  განვითარების შეფასებისათვის (SVR)
  ეკონომიკის მრჩეველთა საბჭო
  Council of Economic Advisors (CEA)

დავალებები

1. კობრას ეფექტი

ზიბერტი აღწერს კეთილშობილი მიზნებით განპირობებული პოლიტიკური ინტერვენციის წარუმატებლობის კლასიკურ მაგალითს. (2002,11):

> *„ოდესღაც, ინგლისის კოლონიური მმართველობის პერიოდში, ინდოეთში საშინლად იყო მოდებული კობრა. უწმინდურების წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში, გუბერნატორმა თითოეული მოკლული კობრასთვის დააწესა პრემია. ინდოელებისთვის ცხადი გახდა: მათ რაც შეიძლება მეტი კობრა უნდა დაეჭირათ. და როგორ მოიქცნენ ისინი? პრემიის მისაღებად მათ დაიწყეს კობრას მოშენება“.*

რამდენად ასაბუთებს ეს მაგალითი ლუკასის კრიტიკის მართებულებას?

2. ღირებულებითი შეფასება და ეკონომიკურ-პოლიტიკური რჩევა

გაარკვიეთ, ექსპერტთა საბჭოს რომელი მოქმედი წევრია რომელიმე პარტიის წევრი ან მასთან დაახლოებული პირი. იმსჯელეთ, რამდენად ფართოდ აისახება მის საქმიანობაში ღირებულებითი შეფასება და რა ფორმით ხდება ამით საკონსულტაციო საქმიანობაზე ზეგავლენის მოხდენა.

3. განსხვავებები რჩევის კონცეფციებს შორის

განმარტეთ, სხვადასხვა რჩევის კონცეფციებში პოზიტიური და ნორმატიული შეფასებების ურთიერთმიმართება ჰაბერმასის მიხედვით.

4. ეკონომიკური მეცნიერების კვლევითი ინსტიტუტები

ყოველ 6 თვეში ერთხელ გერმანიის ეკონომიკის სამინისტრო წამყვან ეკონომიკურ მეცნიერებათა კვლევით ინსტიტუტებთან არსებულ ჯგუფებს (სხვადასხვა შემადგენლობით) ავალებს მოამზადონ ერთობლივი კვლევა გერმანიაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. ინტერნეტის დახმარებით გაარკვიეთ, რა განსხვავებაა ამ ინსტიტუტებს შორის თავიანთი ძირითადი მიმართულებებისა და მისიის თვალსაზრისით. როგორ შეაფასებდით ამ კუთხით გერმანიის ეკონომიკის სამინისტროს მიღებულ პრაქტიკას – დაავალოს ინსტიტუტებს ერთობლივი დასკვნის მომზადება.

გამოყენებული ლიტერატურა

ღირებულებით შეფასებებს შორის განხვავების სხვადასხვა მასშტაბების საფუძვლიანი ანალიზი – Kromphardt-ი(1983), Berthold/Külp-ი (1992); რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის დეტალური კონცეფცია – Kleinwefers/Jans-ი (1983). ლუკასის კრიტიკასთან დაკავშირებით ურთიერთდაპირისპირებული მოსაზრებები განავითარეს Belke/Vollmer-მა (1995) და Acocella-მ (1998); Siebert-მა (2002) დაწვრილებით აღწერა, თუ რა შეცდომებამდე შეიძლება მიგვიყვანოს პრაქტიკულ ეკონომიკურ პოლიტიკაში ლუკასის კრიტიკის უგულვებელყოფამ.

ეკონომიკური პოლიტიკის მრჩეველთა კომიტეტების ანალიზი გერმანიასა და აშშ-ში – Cassel-ი (2004). გერმანიის საერთო ეკონომიკური განვითარების ექსპერტთა საბჭომ თავისი დაარსების 40 წლისთავთან დაკავშირებით გამოსცა კრებული (2003), რომელიც ასახავს კომიტეტის ისტორიასა და მის გავლენას სხვადასხვა პერსპექტივიდან გამომდინარე. აღნიშნული გამოცემა, ასევე საბჭოს აქტუალური შეფასებები ხელმისაწვდომია ექსპერტთა საბჭოს ვებ-გვერდზე (www.sachverstaendigenratwirtschaft.de). ემპირიული კვლევა პოლიტიკურ რეფორმებზე ექსპერტთა საბჭოს მიერ წარმოებული ექსპერტიზის გავლენის თაობაზე ფედერალიზმის რეფორმა II-ის მაგალითზე – König-ი და სხვ. (2010).

ნაწილი II

ჩარევა ცალკეულ ბაზრებზე: მიკროეკონომიკის გამოყენება

3 საფასო პოლიტიკა 61

4 რეგულირება და დერეგულირება.....93

5 კონკურენციის პოლიტიკა 113

საფასო პოლიტიკა

3.1 სრულყოფილად ფუნქციონირებადი ბაზრები..... 62

3.1.1 საბაზრო მიწოდება 63

3.1.2 საბაზრო მოთხოვნა 66

3.1.3 საბაზრო ფასწარმოქმნა სრულყოფილი კონკურენციის პირობებში 68

3.2 საბაზრო ჩავარდნის ფორმები..... 72

3.2.1 საბაზრო წონასწორობის არასტაბილურობა: მიწოდებისა და მოთხოვნის შეუსაბამობა და ადაპტაცია 72

3.2.2 საბაზრო წონასწორობის არარსებობა: მიწოდებისა და მოთხოვნის შესახებ ინფორმაციის ასიმეტრიულობა 76

3.2.3 ბაზრის არასრულყოფილება: დადებითი და უარყოფითი გარე ეფექტები 79

3.2.4 საბაზრო ძალაუფლება: ბუნებრივი მონოპოლია..... 81

3.3 საფასო პოლიტიკის ინსტრუმენტები..... 82

3.3.1 ფიქსირებული სახელმწიფო ფასები 82

3.3.2 მაქსიმალური სახელმწიფო ფასები 84

3.3.3 მინიმალური სახელმწიფო ფასები 85

3.4 მაგალითი: ევროკავშირის აგრარული საფასო პოლიტიკა..... 87

სწავლების მიზნები

- სრულყოფილად ფუნქციონირებად ბაზარზე მიწოდებასა და მოთხოვნას შორის სტაბილური წონასწორობა რეგულირდება საბაზრო ფასის საშუალებით, რასაც საზოგადოებისთვის ოპტიმალური შედეგი მოაქვს.
- სრულყოფილად ფუნქციონირებადი ბაზრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა: ყველა ტიპის გასაყიდი საქონლის და ბაზრის მონაწილეთა შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის თანაბარი ხელმისაწვდომობა, პირადი და საზოგადოებრივი სარგებლისა და ხარჯების თანხვედრა, აგრეთვე ბაზარზე მიწოდებასა და მოთხოვნაში მონოპოლიის არარსებობა.
- სრულყოფილად ფუნქციონირებადი ბაზრის იდეალური ფორმისგან გადახრა იწვევს საბაზრო ჩავარდნებს, რომლებიც საზოგადოების თვალთახედვით სუბოპტიმალური ბაზრის ჩამოყალიბებისკენ უნდა იყოს მიმართული. ჩვეულებრივ, ამგვარი საბაზრო ჩავარდნის არსებობა ეკონომიკურ-პოლიტიკური ჩარევის გამართლებისათვის გამოიყენება.
- ბაზარზე წონასწორობის შესაძლო დარღვევის შემთხვევაში, ბაზრის საქმიანობაში ჩარევის ყველაზე მარტივი საშუალებაა სახელმწიფოს მიერ ფასების დადგენა. ამასთან, განასხვავებენ ფიქსირებულ, მაქსიმალურ და მინიმალურ ფასებს.
- სახელმწიფო საფასო პოლიტიკა ხშირად არასასურველ გავლენას ახდენს კერძო მიმწოდებლებისა და მომხმარებლების გადაწყვეტილებებზე, რაც სახელმწიფოს მიერ ბაზრის ფუნქციონირებაში შემდგომი ჩარევის აუცილებლობას იწვევს.
- ევროკავშირის აგრარული საფასო პოლიტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოს მიერ აგრარულ პროდუქტებზე მინიმალური ფასის განსაზღვრამ, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება მსოფლიო ბაზარზე არსებულ შესადარ ფასს, შესაძლოა გამოიწვიოს ევროკავშირის ქვეყნებში აგრარული პროდუქტების სიჭარბე, განვითარებად ქვეყნებთან საგაჭრო სფეროში კონფლიქტი და ევროკავშირის ბიუჯეტის გაზრდილი პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯები.

3.1 სრულყოფილად ფუნქციონირებადი ბაზრები

მიკროეკონომიკურ თეორიაში ცენტრალურ ადგილს კერძო ბაზრებზე ფასწარმოქმნის ანალიზი იკავებს. ბაზარი არის მომხმარებლებსა და მიმწოდებლებს შორის შეხვედრის ადგილი საქონლის გაცვლის მიზნით. ამასთან, საბაზრო ფასი არეგულირებს ურთიერთგაცვლილი საქონლის რაოდენობას და საქონლის გაცვლაში მონაწილე პარტნიორთა მოგების სიდიდეს. მიკროეკონომიკა გვიჩვენებს, რომ ბაზრები, იდეალურად ფუნქციონირების შემთხვევაში, ყველა მონაწილე მხარისათვის ოპტიმალურ შედეგს იძლევა. თუმცა ბაზრის მუშაობის სტილი, როგორც წესი, მიკროეკონომიკის იდეალურ სურათს ბევრად ჩამოუვარდება. შესაძლოა, წარმოიქმნას ხარვეზები, რაც ხელს შეუშლის მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის ეფექტიან ურთიერთობას ან შესაძლებელია, სულაც ჩაშალოს საბაზრო გაცვლის პროცესი. ხარვეზების არსებობა ამართლებს ეკონომიკურ-პოლიტიკურ ჩარევას საბაზრო ალოკაციის გაუმჯობესების მიზნით. მსგავსი ჩარევის მიზანს წარმოადგენს ბაზარზე რეალურად არსებული წონასწორობის მიახლოება იმ წონასწორობასთან, რომელიც არსებობს იდეალურად ფუნქციონირებად ბაზარზე.

3.1.1 საბაზრო მიწოდება

მიკროეკონომიკური თეორიის თანახმად, ბაზრები წარმოიშობა მიწოდებასა და მოთხოვნას შორის თანხვედრის შედეგად. საქონლის მიწოდების მიკროეკონომიკური ფუნქცია შემდეგნაირად გამოისახება:

$$q = S(p, p_1,..., p_n, w_1,..., w_m, F, E_s) \qquad (3.1)$$

ამასთან, საქონლის მიწოდების რაოდენობა q წარმოადგენს დამოუკიდებელ ცვლადს, რომელიც ფუნქციურად დამოკიდებულია S მიწოდების დამოუკიდებელ ცვლადებთან: საქონლის ბაზარზე საქონლის ერთეულისთვის სასურველ p ფასთან, სხვა საქონლის ფასებთან $p_1,..., p_n$, საქონლის წარმოებისათვის საჭირო წარმოების ფაქტორების ფასებთან $w_1,...,w_m$, წარმოების F ტექნოლოგიასა და მიმწოდებლის სამომავლო E_s მოლოდინებთან.

ჰიპოთეზა იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენს ეგზოგენური სიდიდის ცვლილება მიწოდების რაოდენობაზე, გამომდინარეობს იმ დაშვებიდან, რომ მიმწოდებლის ქცევას განსაზღვრავს მაქსიმალური მოგების მიღების სურვილი. შესაბამისად, ნებისმიერი მიმწოდებელი ცდილობს, გაყიდული საქონელიდან მიიღოს მაქსიმალურად მაღალი შემოსავალი R წარმოებაზე გაწეულ C ხარჯებთან მიმართებაში. საქონლის გასაღებიდან მიღებული შემოსავალი იანგარიშება როგორც გაყიდული q რაოდენობის ნამრავლი მოცემულ საბაზრო p ფასზე, რომლის სიდიდეზეც ცალკეული მიმწოდებელი, სავარაუდოდ, გავლენას ვერ მოახდენს. საწარმოო ხარჯები დამოკიდებულია საწარმოო ფაქტორების რაოდენობასა და მის მიხედვით განსაზღვრულ მოცემულ ფასებზე $w_1,...,w_m$. ვინაიდან, მოცემულ F საწარმოო ტექნიკის პირობებში გამოყენებული ფაქტორების რაოდენობა უშუალოდ დამოკიდებულია პროდუქციის რაოდენობაზე q, საქონლის n წარმოებიდან და გაყიდვიდან მიღებული მოგება შესაძლებელია, შემდეგი სახით ჩაიწეროს:

$$G = R - C = p \cdot q - C\,(w_1,...,w_m, F, E_s, q) \qquad (3.2)$$

ვინაიდან, ერთი პროდუქტის წარმოების გაფართოების დროს ხდება სხვა პროდუქტების წარმოებისათვის საჭირო ფაქტორების ხელმისაწვდომობის შემცირება, ეს უკანასკნელი იწვევს ხარჯების პროგრესირებად ზრდას წარმოებული პროდუქტების მოცულობის მიხედვით. მწარმოებლის მიზნიდან გამომდინარე – მიიღოს მაქსიმალურად მაღალი მოგების კოეფიციენტი, შეგვიძლია დავას-

კვნათ, რომ რაც უფრო მაღალია p ფასი, მით მეტია ცალკეული მიმწოდებლის მიერ წარმოებული საქონლის რაოდენობა.*



ნახაზი 3.1: საბაზრო მიწოდების მრუდი

მიწოდების მრუდის ნორმალური მიმართულება გულისხმობს, რომ ზრდადი საბაზრო ფასი გაზრდილ საბაზრო მოთხოვნას იწვევს. მიწოდების სხვა დეტერმინანტების ცვლილება იწვევს მიწოდების მრუდის გადაადგილებას. ფასების კლება, რომელიც გამოწვეულია წარმოების ფაქტორების ცვლილების შედეგად ან წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესება ხელს უწყობს, მაგალითად, პროდუქციის ზღვრული ხარჯების შემცირებას და იწვევს მიწოდების მრუდის მარჯვნივ გადაადგილებას.

იმ დაშვებით, რომ ყველა მიმწოდებელი მოგებაზეა ორიენტირებული, q საერთო მიწოდებასა და p ფასს შორის დადებითი კავშირი არსებობს. გრაფიკულად ფასსა და მიწოდების რაოდენობას შორის კავშირი აისახება დიაგრამაში – ფასი-რაოდენობა (შდრ. ნახაზი 3.1.). სხვა სიდიდეების უცვლელობის პირობებში

* ფორმალურად 3.2. გამოსახულების მაქსიმიზაციას შემდეგ შედეგებამდე მივყავართ:

$$\max G = p \cdot q - C(w_1, ..., w_m, F, E_s, q)$$

$$\frac{\partial G}{\partial Q} = p - \frac{\partial C}{\partial q} = 0 \rightarrow p = \frac{\partial C}{\partial Q}$$

$$\frac{\partial^2 G}{\partial q^2} = -\frac{\partial^2 G}{\partial q^2} < 0 \rightarrow \frac{\partial^2 G}{\partial q^2} > 0$$

წარმოების მაქსიმალური დონის განსაზღვრის პირველი რიგის პირობის მიხედვით, მოგების მაქსიმიზაცია ნიშნავს q პროდუქციის რაოდენობის იმ დონემდე გაზრდას, რა დონეზეც p ფასი ზუსტად შეესაბამება შემდეგ მოცემულობას: $\partial C/\partial q$. ეს უკანასკნელი წარმოადგენს წარმოების შემდგომი ზრდისათვის საჭირო დამატებით ხარჯებს – აღნიშნული პროდუქტის წარმოებისათვის საჭირო ზღვრულ ხარჯებს. მაქსიმალური დონის განსაზღვრის მეორე რიგის პირობის მიხედვით, მაქსიმალური მოგება, გარდა აღნიშნულისა, უნდა თავსდებოდეს ზრდადი ზღვრული ხარჯების ფარგლებში. მაქსიმალური დონის განსაზღვრის ორივე რიგის პირობის საფუძველზე შესაძლებელია გამოითვალოს, თუ რა გავლენას ახდენს ეგზოგენური სიდიდეების ცვლილებები მაქსიმალური მოგების მიღებაზე ორიენტირებულ მიწოდების რაოდენობაზე. p ფასის ზრდის შემთვევაში, ახალი მაქსიმალური მოგება მხოლოდ გაზრდილი ზღვრული ხარჯების, შესაბამისად, პროდუქციის რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში მიიღწევა. წარმოების ფაქტორებით განსაზღვრული ფასების დაცემა ან წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესება ზღვრული ხარჯების დონეს ამცირებს. მოცემული p ფასის შემთხვევაში, ახალი მაქსიმალური მოგების მისაღწევად კვლავ ხდება საჭირო პროდუქციის წარმოების მოცულობის შემდგომი გაფართოება. მოლოდინი იმისა, რომ მომავალში საბაზრო ფასი გაიზრდება, მოცემულ დროში პროდუქციისა და მიწოდების კლებას იწვევს.

მიწოდების გადაწყვეტილებები განისაზღვრება x პარამეტრით. ფუნქცია (3.1.), შესაბამისად, შემდეგ გამოსახულებამდე დაიყვანება:

$$q = S(p, x) \text{ ამასთან, } \frac{\partial q}{\partial p} > 0 \qquad (3.3)$$

ნახაზზე 3.1. გამარტივების მიზნით გაკეთებულია დაშვება, რომ ფასსა და პროდუქტის მიწოდების რაოდენობას შორის წრფივი კავშირი არსებობს. მაქსიმალური მოგების ძიების დაშვებით ნახაზზე ნაჩვენები S1 მრუდი ზრდადია.

მოგების ფუნქციის მაქსიმიზაციის პირობიდან (3.2) შესაძლებელია ასევე მიწოდების რაოდენობაზე წარმოების ტექნოლოგიის ფასებისა და ტექნოლოგიური ცოდნის გავლენის განსაზღვრა. საწარმოო ფაქტორების ფასები, ასევე ტექნოლოგიური ცოდნა C საწარმოო ხარჯების მნიშვნელოვან დეტერმინანტებს წარმოადგენენ. საწარმოო ფაქტორების ფასების კლება ამცირებს საწარმოო ხარჯებს, ხოლო ტექნოლოგიის გაუმჯობესება წარმოების ფაქტორების ეფექტიან გამოყენებას უწყობს ხელს. ტექნოლოგიური ინოვაციების საშუალებით წარმოების ფაქტორების უფრო მცირე გამოყენებით იგივე რაოდენობის პროდუქციის წარმოებაა შესაძლებელი. გრაფიკულ გამოსახულებაში წარმოების ფაქტორებით განსაზღვრული ფასების შემცირება ან გამოყენებული საწარმოო ტექნოლოგიის გაუმჯობესება გამოისახება მიკროეკონომიკური მიწოდების ფუნქციის x პარამეტრის ცვლილებაში. x პარამეტრის ცვლილება იწვევს მიწოდების $S_2(p, x_2)$ – მრუდის მარჯვნივ გადაადგილებას (ნახაზი 3.1).

განსხვავებული შეფასება უნდა მიეცეს სხვა პროდუქტების ფასთა ცვლილების გავლენას მიწოდების q რაოდენობაზე. ვთქვათ, თავდაპირველად განვიხილავთ შემთხვევას, როდესაც ერთი და იგივე წარმოების ტექნოლოგიისა და საწარმოო ფაქტორების გამოყენებით შესაძლებელია სხვადასხვა პროდუქტის წარმოება, რომლებსაც თავდაპირველად ერთნაირი ფასი აქვთ. ასეთ შემთხვევაში ერთ-ერთ პროდუქტზე ფასის მატება, მაქსიმალური მოგების ძიების დაშვებით, მხოლოდ ამ პროდუქტის წარმოების მოცულობის ზრდას გამოიწვევდა მაშინ, როდესაც მეორე პროდუქტის მიწოდების რაოდენობა ნულს გაუტოლდება. ნახაზზე 3.1. მიწოდების ფუნქციის S_1-დან მარჯვნივ S_2-მდე გადახრა შესაძლებელია, გამოწვეული იყოს სხვა პროდუქტებზე ფასების კლებით, რომელიც მოქმედებს x პარამეტრის მნიშვნელობაზე. თუმცა, ცალკეულ მიმწოდებელს ხშირად აქვს საშუალება, არჩევანი გააკეთოს სხვადასხვა პროდუქტის წარმოებას შორის, რომლებიც სხვადასხვა საწარმოო ტექნოლოგიასა და სხვადასხვა წარმოების ფაქტორების საშუალებით იქნება წარმოებული და, რომელთა საბაზრო ფასებიც ასევე განხვავებულია. პროდუქტზე ფასის დაცემისას, მოცემულ შემთხვევაში, ასევე წარმოიქმნება აღნიშნული საქონლის მიწოდების შემცირებისა და სხვა პროდუქტის მიწოდების რაოდენობის ზრდის ტენდენცია. თუმცა, მსგავს პროცესს შესაძლოა, ხელი შეუშალოს წარმოების გარდაქმნისათვის საჭირო ხარჯებმა ან წარმოების ტექნოლოგიურმა სპეციფიკამ. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერთდროული წარმოების შემთხვევა, როდესაც წარმოების ტექნოლოგიური თავისებურების გამო ხდება რამდენიმე პროდუქტის ერთდროულად და განსაზღვრული რაოდენობით წარმოება. ერთდროული წარმოების შედეგად მიღებულ პროდუქტზე ფასის შემცირება აღნიშნული პროდუქტის მიწოდების რაოდენობის შემცირებას იწვევს. შედეგად ერთდროულად ნაწარმოები პროდუქტების რაოდენობა კი არ იზრდება, არამედ ასევე მცირდება მანამ, სანამ საწარმოო პროცესის მომდევნო ეტაპით არ განხორციელდება ცვლილებების შეტანა წარმოების გეგმაში.

3.1.2 საბაზრო მოთხოვნა

მიკროეკონომიკური მოთხოვნის თეორია, წარმოებისა და მიწოდების თეორიის მსგავსად, აანალიზებს მომხმარებელთა მიერ მოთხოვნილი პროდუქტის რაოდენობის განმსაზღვრელ დეტერმინანტებს. მასზე დაყრდნობით იგი იკვლევს მოთხოვნის გადაწყვეტილებებზე მოთხოვნის დეტერმინანტების ცვლილებათა გავლენას. პროდუქტზე მიკროეკონომიკური მოთხოვნის ფუნქცია მარტივი ფორმით შემდეგნაირად გამოისახება:

$$q = D(p, p_1, ..., p_n, Y_V, E_D) \qquad (3.4.)$$

ფორმულის მიხედვით, q მოთხოვნის რაოდენობა ფუნქციურ დამოკიდებულებაშია D მოთხოვნის შემდეგ დეტერმინანტებთან: ბაზარზე არსებული პროდუქტის p ფასი, ბაზარზე არსებული სხვა პროდუქტების $p1,..., p_n$ ფასები, Y_V მომხმარებელთა განკარგვადი შემოსავლები და ED მოლოდინები.

მიწოდების თეორიაში მაქსიმალურ მოგებაზე ორიენტირების ჰიპოთეზის მსგავსად, მიკროეკონომიკური მოთხოვნის თეორია მომხმარებლების მიერ სარგებლის მაქსიმიზაციის შესახებ დაშვებას აკეთებს. პრეფერენციები, რომლებიც მომხმარებელს ცალკეული პროდუქტის მოხმარების მიმართ გააჩნიათ, გამოისახება U სარგებლიანობის ფუნქციით, რომელიც ცალკეულ q პროდუქტთა სპექტრს განსაზღვრული ინდექსის მნიშვნელობას ანიჭებს. სავარაუდოა, რომ q_i ნებისმიერ პროდუქტს მომხმარებლისთვის გარკვეული სარგებელი მოაქვს, თუმცა პროდუქტის მზარდი მოხმარებისას, სარგებლიანობის ზრდა იკლებს. q_i ნებისმიერი პროდუქტის ზღვრული სარგებლიანობა უნდა იყოს დადებითი და კლებადი. ამ ვარაუდების გათვალისწინებით, სარგებლიანობის ფუნქცია შემდეგნაირად გამოისახება:

$$U(\mathbf{q}) \text{ ამასთან, } \mathbf{q} = (q_1, ..., q_n + 1),\ \frac{\partial U}{\partial Q_i} > 0,\ \frac{\partial^2 U}{\partial q_i^2} < 0,\ i = 1, \dots n + 1 \qquad (3.5.)$$

ყოველი მომხმარებელი პროდუქტის შეძენისას შეზღუდულია თავისი განკარგვადი შემოსავლების რაოდენობით. ვინაიდან, ნებისმიერ პროდუქტს სარგებელი მოაქვს, იგი მთელ თავის შემოსავალს ხარჯავს იმ პროდუქტების შეძენაზე, რომლის დროსაც საერთო დანახარჯები მოცემული პროდუქტის ფასებისა და მოთხოვნილი საქონლის რაოდენობით განისაზღვრება. ამდენად, შემოსავლის მოცემული რაოდენობისათვის მომხმარებლის საბიუჯეტო შეზღუდვა შემდეგნაირად გამოისახება:

$$Y_V = \sum_{i=1}^{n+1} p_i \cdot q_i \qquad (3.6)$$

სარგებლიანობის ფუნქციის (3.5.) მაქსიმიზაციის დაშვებიდან და საბიუჯეტო შეზღუდვის გათვალისწინებით (3.6.), შესაძლებელია შემოსავლისა და ფასის ცვლილების შედეგად მომხმარებლის მოთხოვნის შესახებ ჰიპოთეზების ჩამოყალიბება*.

* ფორმალურად მაქსიმიზაციის პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია ლაგრანჟის ფუნქციის ოპტიმალურობის პირობის გამოყენებით:



ნახაზი 3.2: საბაზრო მოთხოვნის მრუდი

ჩვეულებრივ, მოთხოვნის მრუდი კლებადია. შესაბამისად, მოთხოვნის რაოდენობა იზრდება, როდესაც საბაზრო ფასი კლებულობს. მოთხოვნის სხვა დეტერმინანტების ცვლილება იწვევს მოთხოვნის მრუდის გადაადგილებას. მაგალითად, მომავალში ფასების ზრდის მოლოდინმა შესაძლოა, გამოიწვიოს მოცემული ფასის პირობებში მოთხოვნის ზრდა და, შესაბამისად, მოთხოვნის მრუდის მარჯვნივ გადაადგილება.

Y_V შემოსავლის ზრდა ხელს უწყობს პროდუქტის შეძენისათვის განსაზღვრული დანახარჯების მოცულობის ზრდას. პრეფერენციების უცვლელობისა და ფასების სტაბილურობის შემთხვევაში, მოთხოვნა, ჩვეულებრივ, ყველანაირი პროდუქტის უფრო მეტ რაოდენობაზე ჩნდება. p_i ფასის ზრდა, როგორც წესი, ხელს უწყობს i პროდუქტზე მოთხოვნის შემცირებას და სხვა პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდას. საპირისპიროდ, მოთხოვნა i პროდუქტზე, იმ შემთხვევაში, თუ იგი მომხმარებელთა სარგებლიანობის თვალსაზრისით, სხვა პროდუქტების ჩამნაცვლებელს (სუბსტიტუტს) წარმოადგენს, მაშინ ამ უკანასკნელზე მოთხოვნა გაიზრდება, როდესაც მოიმატებს სხვა პროდუქტების ფასები. და მაინც, გა-

$$L(q, \lambda) = U(q) + \lambda \cdot \left(Y_V - \sum_{i=1}^{n+1} p_i \cdot q_i \right)$$

$$\frac{\partial L}{\partial \lambda} = Y_V - \sum_{i=1}^{n+1} p_i \cdot q_i = 0 \rightarrow Y_V - \sum_{i=1}^{n+1} p_i \cdot q_i = 0$$

$$\frac{\partial L}{\partial q_i} = \frac{\partial U}{\partial q_i} - \lambda \cdot p_i = 0, i = 1, ..., n \rightarrow \frac{\partial U / \partial q_i}{\partial U / \partial q_j} = \frac{p_i}{p_j}$$

ოპტიმიზაციის პირველი პირობის თანახმად, მაქსიმალურ სარგებლიანობაში პროდუქტის შეძენისათვის მთლიანი შემოსავალი გამოიყენება. ოპტიმიზაციის მეორე პირობის თანახმად, მაქსიმალურ სარგებლიანობაში ორი, i და j პროდუქტის ზღვრული სარგებლიანობის შეფარდება ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს მათ ფასთა შეფარდებას.

ოპტიმიზაციის ორივე პირობის საფუძველზე, შესაძლებელია გამოითვალოს, თუ რა გავლენას ახდენს ეგზოგენური სიდიდეების ცვლილებები მაქსიმალურ სარგებლიანობაზე ორიენტირებული მოთხოვნის რაოდენობაზე. განკარგვადი შემოსავლის ზრდა იწვევს მთლიანი დანახარჯების მოცულობის ზრდას. როგორც წესი, ამ შემთხვევაში იზრდება მოთხოვნა ყველა პროდუქტზე. გარკვეულ პირობებში, ზღვრული სარგებლიანობის თვალსაზრისით, ზოგიერთი პროდუქტის შემთხვევაში შემოსავლის გაზრდის შედეგად, შესაძლოა მოთხოვნა შემცირდეს. ასეთი ტიპის პროდუქტებს მეორეხარისხოვან (ინფერიორულ) პროდუქტს უწოდებენ. პროდუქტზე ფასის მატება, როგორც წესი, მასზე მოთხოვნის შემცირებას იწვევს ისე, რომ იზრდება მისი ზღვრული სარგებლიანობა. ფასის ცვლილება ასევე ყოველთვის იწვევს განკარგვადი შემოსავლის მსყიდველობითი უნარის ცვლილებას. აქედან გამომდინარე, ფასის მატების შედეგად, შესაძლოა, გაიზარდოს მოთხოვნა მეორეხარისხოვან პროდუქტებზე, იმ შემთხვევაში, თუ შემოსავალზე ფასის ცვლილების ეფექტი შემოსავალზე ჩანაცვლების ეფექტს აღემატება.

მონაკლისს წარმოადგენს ე.წ. შემავსებელი (კომპლემენტარული) პროდუქტები, რომლებსაც სარგებელი მხოლოდ სხვა პროდუქტთან ერთად მოაქვთ და, შესაბამისად, მათზე მოთხოვნა მხოლოდ აღნიშნულ პროდუქტთან ერთად ყალიბდება. ამდენად, პროდუქტზე მოთხოვნა მცირდება, როდესაც კომპლემენტარულ პროდუქტზე ფასი იმატებს და მოთხოვნაც ამ პროდუქტის ნაკლებ რაოდენობაზეა. პროდუქტებს შორის მოთხოვნის კომპლემენტარული ურთიერთობა, შესაძლოა, განპირობებული იყოს ტექნიკური, გაყიდვების ორგანიზატორული და საზოგადოებრივი ფაქტორებით.

პროდუქტზე მოთხოვნის რაოდენობასა და მის დეტერმინანტებს შორის კავშირი გამოსახულია მრუდის სახით ფასი-რაოდენობის ფარდობით (შდრ. ნახაზი 3.2.). ამასთან, 3.4 ფორმულაში მოცემული ფუნქციონალური კავშირი კონცენტრირდება პროდუქტის მოთხოვნილი q რაოდენობისა და p ფასს შორის კავშირზე მაშინ, როდესაც, მოთხოვნის სხვა დანარჩენი დეტერმინანტები თავს იყრის y პარამეტრში. ვიღებთ შემდეგ გამოსახულებას:

$$q = D(p, y) \text{ ამასთან, } \frac{\partial q}{\partial p} < 0 \qquad (3.7)$$

სადაც, გამარტივების მიზნით, ისევ ფასსა და პროდუქტის მოთხოვნილ რაოდენობას შორის წრფივი კავშირია გამოსახული.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოთხოვნის ფუნქცია ჩვეულებრივ კლებადია. შესაბამისად, ფასის მატება მოთხოვნილი რაოდენობის შემცირებას იწვევს. მოთხოვნის დანარჩენი დეტერმინანტების ვარიაციები აისახება y პარამეტრსა და მოთხოვნის ფუნქციის გადაადგილებაში. მრუდის მარჯვნივ გადაადგილება D_1-დან და D_2-მდე შესაძლოა, გამოწვეული იყოს Y_V განკარგვადი შემოსავლის ზრდით, ჩამნაცვლებელ (სუბსტიტუტ) პროდუქტებზე ფასის მატებით, ან შემავსებელ (კომპლემენტარულ) პროდუქტებზე ფასის კლებით. ასევე, მომავალში ფასების მატების მოლოდინმაც შეიძლება, გამოიწვიოს მიმდინარე პერიოდში მოთხოვნის ზრდა.

3.1.3 საბაზრო ფასწარმოქმნა სრულყოფილი კონკურენციის პირობებში

საბაზრო ფასი ყალიბდება ბაზარზე მიწოდებისა და მოთხოვნის ურთიერთობით, რომლის მიხედვითაც ხორციელდება მიწოდებული და მოთხოვნილი რაოდენობის გაცვლა. ფასისა და გაცვლილი რაოდენობის სიდიდე დამოკიდებულია ბაზრის ფორმაზე. ეკონომიკური პოლიტიკის ზემოქმედების მექანიზმი მეტწილად უშვებს სრულყოფილი კონკურენციის პირობებში სრულყოფილი ბაზრის არსებობას, რომლის პირობებშიც გაკეთებულია შემდეგი დაშვებები:

- გასაყიდი პროდუქტები აბსოლუტურად მსგავსები (ჰომოგენურები) არიან,
- ბაზრის ყველა მონაწილე საბაზრო მოვლენების თაობაზე სრულყოფილად არის ინფორმირებული.
- პროდუქტები არ არიან დიფერენცირებული



ნახაზი 3.3: საბაზრო წონასწორობის კეთილდღეობის ანალიზი

საბაზრო წონასწორობა მდებარეობს მიწოდებისა და მოთხოვნის მრუდის გადაკვეთის წერტილში. მიწოდების მრუდი გვიჩვენებს პროდუქტის წარმოების ზღვრულ ხარჯებს; მოთხოვნის მრუდი კი ზღვრულ სარგებლიანობას, შესაბამისად, მოთხოვნილი პროდუქტი გადახდისათვის მზაობას აღნიშნავს. მოთხოვნის მრუდსა და p საბაზრო ფასს შორის არსებულ არეს მომხმარებლის სარგებელს (დანაზოგს) უწოდებენ. საბაზრო ფასსა და მიწოდების მრუდს შორის არსებული არე მწარმოებლის სარგებელს (მოგებას) აღნიშნავს. p * საბაზრო ფასის პირობებში მომხმარებლის დანაზოგისა და მწარმოებლის მოგების ჯამი, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს საზოგადოებრივ კეთილდღეობას, ბევრად აღემატება ყველა სხვა დასაშვები ფასის პირობებში არსებული საზოგადოებრივი კეთილდღეობის დონეს.*

- ინდივიდუალური სარგებლიანობა და დანახარჯები საზოგადოებრივ სარგებლიანობასა და დანახარჯებთან თანხვედრაში მოდიან.

სრულყოფილად ფუნქციონირებადი ბაზრის თაობაზე დაშვება ასევე გულისხმობს შემდეგი დამატებითი თვისების არსებობას:

- ბაზარზე თავს იყრის მიმწოდებლებისა და მომხმარებლების დიდი რაოდენობა ისე, რომ არც ერთ მათგანს არ გააჩნია განსაკუთრებული საბაზრო ძალაუფლება, რაც იმას გულისხმობს, რომ მას არ შეუძლია მოახდინოს მიზანმიმართული გავლენა საბაზრო ფასზე.

ნახაზი 3.3. გვიჩვენებს სრულყოფილი კონკურენციის პირობებში საბაზრო წონასწორობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ვინაიდან, მიწოდების მრუდში მეწარმეთა ზღვრული ხარჯები, ხოლო მოთხოვნის მრუდში საოჯახო ბიუჯეტის ზღვრული სარგებლიანობაა გამოხატული, კონკურენტულ წონასწორობაში შესაძლებელია მომხმარებლის სარგებლის (დანაზოგის) და მწარმოებლის სარგებლის (მოგების) გამოთვლა. საქმე ეხება საბაზრო ფასსა და ზღვრულ ხარჯებს შორის, შესაბამისად, ზღვრულ სარგებლიანობას შორის არსებულ არეებს. მომხმარებლის სარგებელი საბაზრო წონასწორობიდან შეესაბამება დანაზოგის მოცულობას, რომელიც წარმოიქმნება იმის შედეგად, რომ მომხმარებელი პროდუქტს ყიდულობს იმ ფასად, რომელიც ნაკლებია ან მდებარეობს მისი გადახდისათვის მზაობის ფარგლებში. მწარმოებლის სარგებელი საბაზრო წონასწორობიდან შეესაბამება მწარმოებლის მოგებას, რომელიც წარმოიქმნება იმის შედეგად, რომ ზოგიერთ მიმწოდებელს შეუძლია პროდუქტი გაყიდოს

იმ ფასად, რომელიც ამ პროდუქტის წარმოების ზღვრულ ხარჯებს აღემატება. სრულყოფილი კონკურენციის საბაზრო წონასწორობაში p^* ფასის და q^* რაოდენობის შემთხვევაში, რაოდენობა, რომელიც მიიღება მომხმარებლის დანაზოგიდან და მწარმოებლის მოგებიდან აღწევს მაქსიმუმს, რაც იმას გულისხმობს, რომ არანაირი სხვა ფასის შემთხვევაში არ მოხდებოდა უფრო მაღალი საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიღწევა.

და მაინც, კონკურენტული წონასწორობისადმი პრაქტიკული მიდგომის შემთხვევაში, ჩნდება ორი კითხვა:

- კონკურენციული წონასწორობის არსებობა: თეორულად საერთოდ შესაძლებელია თუ არა სრულყოფილი კონკურენციის პირობებში საბაზრო წონასწორობის არსებობა, ე.ი. საერთოდ არსებობს თუ არა მიწოდებისა და მოთხოვნის მრუდების გადაკვეთის წერტილი პოზიტიური ფასის შემთხვევაში?



ნახაზი 3.4: საბაზრო წონასწორობის არსებობა და მისი სტაბილურობა

საბაზრო წონასწორობა არსებობს მაშინ, როდესაც დადებითი რაოდენობის შემთხვევაში, მიწოდებისა და მოთხოვნის ფუნქციას შორის არსებობს ერთი გადაკვეთის წერტილი. ეს არ ეხება D მოთხოვნისა და S_3 მიწოდების მრუდების შემთხვევას. საბაზრო წონასწორობის სტაბილურობას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც არსებობენ ძალები, რომლებსაც საბაზრო წონასწორობის დარღვევის დროს, ისევ შეუძლიათ ფასისა და რაოდენობის ბალანსის უზრუნველყოფა. თუ კი D-სა და S_1-ის გადაკვეთის წერტილში წონასწორობა სტაბილურია და მიწოდების მრუდი S_1-დან S_2-კენ იხრება, D და S_2-ის გადაკვეთის წერტილთან ახალი საბაზრო წონასწორობა წარმოიქმნება.

- კონკურენციული წონასწორობის სტაბილურობა: სრულყოფილი კონკურენციის დროს, მისი არსებობის შემთხვევაში, ნამდვილად არის თუ არა შესაძლებელი საბაზრო წონასწორობის მიღწევა?

ორივე საკითხი კიდევ ერთხელ არის ახსნილი ნახაზზე 3.4. საბაზრო წონასწორობა განსაზღვრულია p^* და q^*-ს ურთიერთქმედებით S_1-სა და D-ს გადაკვეთის წერტილში. თუ მიწოდება გადაიხრებოდა S_3-კენ, დადებითი ფასის შემთხვევაში აღარ იარსებებდა მოთხოვნასთან მისი გადაკვეთის წერტილი. ამის საპირისპიროდ, თუ კი მიწოდება მხოლოდ S_2-კენ გადაიხრებოდა, წონასწორობა კვლავაც იარსებებდა, თუმცა ამ შემთხვევაში უნდა განვმარტოთ, თუ რა გზით ხდება ახალი წონასწორობის ჩამოყალიბება.

ჩვეულებრივ, მიკროეკონომიკა ეყრდნობა დაშვებას, რომ კონკურენტუნარიან ბაზრებზე მიწოდებისა და მოთხოვნის უთანაბრობა საბაზრო ფასების მყისიერ ადაპტაციას იწვევს. ჭარბი მიწოდება საბაზრო ფასს დაბლა სწევს მაშინ,

როდესაც ჭარბი მოთხოვნა ხელს უწყობს საბაზრო ფასის მატებას. ორივე მრუდის ნორმალური განვითარების შემთხვევაში, აღნიშნული პროცესი სწრაფად უახლოვდება წონასწორულ ფასს. მსგავსი ადაპტაციის ნიმუშს წარმოადგენს საბირჟო და აუქციონის ბაზრების მექანიზმები, რომლებზეც ბროკერები ფასს იქამდე ცვლიან, სანამ მიწოდებასა და მოთხოვნას შორის წონასწორობა არ აღდგება. იმ შემთხვევაში, თუ ბაზრის ყველა მონაწილე საბაზრო მოვლენების თაობაზე სრულყოფილად არის ინფორმირებული, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული ადაპტაციის პროცესი საქმეში ბროკერის ჩარევის გარეშეც წარიმართება.

ბაზარზე ეკონომიკურ-პოლიტიკური ჩარევის გამართლება ეყრდნობა სრულყოფილად კონკურენტული საბაზრო წონასწორობის მიღწევის არგუმენტს. კერძოდ, ბაზრების არსებობა, რომლებზეც სრულყოფილი კონკურენციის პირობებში არ მყარდება საბაზრო წონასწორობა, იძლევა ეკონომიკურ-პოლიტიკური ჩარევის საფუძველს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია კონკურენტული წონასწორობის მიღწევა. მსგავს შემთხვევებში საუბრობენ ბაზარზე არსებულ ხარვეზებსა და არასრულყოფილებაზე.

- ასეთი ტიპის ხარვეზებს ადგილი აქვთ, როცა:
- საბაზრო წონასწორობა არასტაბილურია,
- საბაზრო წონასწორობა საერთოდ არ არსებობს,
- სრულყოფილი ბაზარი არ არსებობს ან

ადგილი აქვს ცალკეული მიმწოდებლისა თუ მომხმარებლის საბაზრო ძალაუფლებას.

როგორც შემდგომში ვნახავთ, არსებობს ბაზარზე არსებული ხარვეზების გამოსწორების ეკონომიკური პოლიტიკის სხვადასხვა სტრატეგიები. ერთი მხრივ, ხარვეზების არსებობა ხელს უწყობს ბაზრებზე თავისუფალი ფასწარმოქმნის პროცესში სახელმწიფოს მხრიდან ინტერვენციებს. მეორე მხრივ, შესაძლებელია, პროცესები ადგილიდან დაძრან ბაზრის თვითგამაჯანსაღებელმა ძალებმა, რომლებიც, საბოლოო ჯამში, სახელმწიფოს მხრიდან პირდაპირი ჩარევის გარეშე უზრუნველყოფენ ხარვეზების კორექციას.

ადამ სმიტი და უხილავი ხელი

ადამ სმიტი (1723-1790) დაიბადა შოტლადიის ქალაქ კირკოლდიში, სწავლობდა ფილოსოფიას გლაზგოსა და ოქსფორდში. 1750 წელს იგი გლაზგოს უნივერსიტეტში თავდაპირველად ლოგიკის, მოგვიანებით კი, მორალის ფილოსოფიის კათედრის პროფესორი იყო. ამ პერიოდში საფუძველი ჩაეყარა მის ახლო მეგობრობას შოტლანდიელ ფილოსოფოს დევიდ ჰიუმთან, რომელმაც გადამწყვეტი გავლენა მოახდინა სმიტის აზროვნებაზე. 1763 წელს სმიტმა უარი თქვა პროფესორობაზე და შეუდგა ხანგრძლივ საგანმანათლებლო მოგზაურობას საფრანგეთსა და შვეიცარიაში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1778 წელს იგი დაინიშნა შოტლანდიის საბაჟო კომისრად და მოკლე დროის პერიოდში კონტრაბანდის წინააღმდეგ უმკაცრესი ბრძოლით, მან შეძლო შოტლანდიის სახელმწიფო ფინანსების გაჯანსაღება. მისი მთავარი ნაშრომებია: The Theory of Moral Sentiments (Edinburgh, 1759)

- მორალური გრძნობების თეორია; An Inquiry into the Nature and the Causes of the Wealth of Nations (Edinburgh, 1776) – გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის, ბუნებისა და მიზეზების შესახებ.

ადამ სმიტი ითვლება მეცნიერული ეკონომიკური თეორიის ფუძემდებლად, რომელმაც ერების კეთილდღეობის შესახებ თავის მთავარ ნაშრომში პირველმა შეძლო საზღვარი გაევლო ეკონომიკურ ანალიზს, პოლიტიკურ მეცნიერებასა და ფილოსოფიას შორის. წიგნს წილად ხვდა წარმოუდგენლად დიდი წარმატება და დროის მცირე მონაკვთში მრავალ ევროპულ ენაზე ითარგმნა. სმიტი თავის ბევრ თანამედროვესგან განსხვავებით, ეროვნული კეთილდღეობის მიზეზებს ხედავდა არა ამა თუ იმ ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით სასარგებლო მიწაში ან ფულად მარაგებში, არამედ შრომით რესურსებსა და შრომის განაწილების მასშტაბებში. ეკონომიკური განვითარების გამწევი ძალა მისთვის საკუთარი ინტერესებისთვის მოქმედი ადამიანია, რომელიც ცდილობს მიაღწიოს საკუთარი მატერიალური კეთილდღეობის და, შესაბამისად, საკუთარი ბედნიერების მაქსიმუმს. კარგად ფუნქციონირებად ბაზრებზე, რომლებზეც არ ვრცელდება არანაირი საბაზრო ძალაუფლება, არსებული კონკურენცია ზრუნავს იმაზე, რომ კეთილდღეობისაკენ ინდივიდუალურმა სწრაფვამ, საბოლოოდ, ეროვნული კეთილდღეობის ამაღლებას შეუწყოს ხელი. ამდენად, საზოგადოებრივი ბედნიერების მაქსიმიზაცია ცალკეული პირების ეგოისტური ქცევის შედეგია, რომელთა თითქოსდა „უჩინარი ხელით“ მართული ზრუნვა საკუთარ კეთილდღეობაზე, საერთო საზოგადოებრივ კეთილდღეობას უწყობს ხელს. ამ დინამიკის გარანტირებული შენარჩუნება სმიტის მიხედვით, შესაძლებელია იმით, რომ სახელმწიფო წინ აღუდგეს მონოპოლიების წარმოშობას, უარი თქვას ბაზრების ფუნქციონირებაში ჩარევისგან და შემოიფარგლოს ქვეყნის თავდაცვის გაძლიერებით, ფუნქციონირებადი მართლმსაჯულების განვითარებითა და საყოველთაო განათლების სისტემის უზრუნველყოფით.

3.2 საბაზრო ჩავარდნის ფორმები

3.2.1 საბაზრო წონასწორობის არასტაბილურობა: მიწოდებისა და მოთხოვნის შეუსაბამობა და ადაპტაცია

საბაზრო წონასწორობის არასტაბილურობა დგება მაშინ, როდესაც მიწოდებისა და/ან მოთხოვნის მრუდებს აქვთ ინვერსიული ფორმა და საბაზრო ფასების ადაპტაციის პროცესი ვერ უზრუნველყოფს მიწოდების ან მოთხოვნის სიჭარბის დაბალანსებას. თუ განსაზღვრული ფასის შემთხვევაში ადგილი ექნება მიწოდების სიჭარბეს, საუბარი იქნებოდა საბაზრო ფასის დაცემაზე. მოთხოვნის სიჭარბის შემთხვევაში, მოსალოდნელი იქნება საბაზრო ფასის მატება. თუ მიწოდების მრუდი ფასის დაცემისკენ არის მიდრეკილი, ხოლო მოთხოვნის მრუდი – მატებისკენ, აღწერილი ადაპტაციის პროცესები მიგვიყვანდა არა ბაზრის წონასწორობისკენ, არამედ სულ უფრო დაშორდებოდა მას. ნახაზი 3.5-ის მიხედვით, მარტივია აღიქვათ, რომ არასტაბილურობის ამ ფორმისთვის შესაძლებელია

საკმარისი აღმოჩნდეს მხოლოდ ერთ-ერთი მრუდის შეუსაბამო მიმართულებაც. როგორც მიწოდების, ასევე მოთხოვნის მრუდებიც საბაზრო ფასზე დადებითად რომ იყვნენ დამოკიდებულნი, წარმოიქმნებოდა არასტაბილური საბაზრო წონასწორობა, როდესაც მოთხოვნა მიწოდებაზე მეტად ელასტიურად რეაგირებს ფასზე.

ინვერსიული მოთხოვნის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს გიფენის-საქონელი. საქმე ეხება ისეთ ძირითად საკვებ საშუალებებს, როგორიცაა კარტოფილი, მარცვლეული ან პური, რომლებზეც მოთხოვნა შემოსავლების მიმართ უარყოფით დამოკიდებულებაშია. აღნიშნულ პროდუქტებთან დაკავშირებით, საერთო დანახარჯებში მათზე გაწეული ხარჯების მაღალი წილის გამო, ფასის კლების შემთხვევაში არსებობს შემოსავლის (უარყოფითი) ეფექტი. ინვერსიული მიწოდების ნიმუშად ასევე შეგვიძლია დავასახელოთ შრომის მიწოდების მრუდის მაგალითი. მიკროეკონომიკის თეორიის დაშვებით ინდივიდუალური შრომის მიწოდება წარმოადგენს თავისუფალი დროის ოპტიმალური რაოდენობის შესახებ გადაწყვეტილების სარგებლიანობას. როდესაც თავისუფალი დრო ჩვეულებრივ საქონელს წარმოადგენს და რეალური ხელფასის ზრდის შემოსავლის დადებითი ეფექტი თავისუფალი დროის მოთხოვნაზე თავისუფალ და სამუშაო დროებს შორის არსებულ ჩანაცვლების უარყოფით ეფექტზე დომინირებს (ე.ი. პირველის აბსოლუტური განზომილება აღემატება მეორის აბსოლუტურ განზომილებას), რეალური ხელფასის ზრდას შრომის მიწოდების კლებისკენ მივყავართ.



ნახაზი 3.5: მიწოდებისა და მოთხოვნის მრუდების ინვერსიული ფორმები

თუ მიწოდების მრუდი დაღმავალი, ხოლო მოთხოვნის მრუდი კი აღმავალი ფორმისაა, ბაზარზე მაინც ყალიბდება წონასწორული ფასი, თუმცა საბაზრო წონასწორობა ამ შემთხვევაში არასტაბილურია. საბაზრო წონასწორობის დარღვევის შემთხვევაში, წონასწორობის აღდგენის ავტომატური მექანიზმი არ არსებობს.

საბაზრო წონასწორობის არასტაბილურობის გამო, საბაზრო ჩავარდნის მიმართ შესაძლებელია, განსაკუთრებით მგრძნობიარენი აღმოჩნდნენ, როგორც სოფლის მეურნეობის და ძირითადი საკვები პროდუქტების ბაზრები, ასევე დასაქმების ბაზარიც.

საბაზრო წონასწორობის არასტაბილურობა, შესაძლოა, ასევე მიწოდებისა და მოთხოვნის მრუდების ნორმალური მიმართულების შემთხვევაშიც წარმოიშვას, კერძოდ, მაშინ, როდესაც ადაპტაციის პროცესები შეფერხებით მიმდინარეობს. განსაკუთრებულ გავლენას საბაზრო პირობების ცვლილებასთან

დაკავშირებულ წონასწორობის დარღვევაზე ახდენს მოქნილობის ის დონე, რომლითაც მიმწოდებლები საბაზრო ფასის ცვლილებებზე წარმოებული პროდუქციისა და მიწოდების რაოდენობის შესაბამისობაში მოყვანით რეაგირებენ. ფასის მიმართ მიწოდების სიხისტემ შესაძლოა, წარმოქმნას საბაზრო მერყეობები ხანგრძლივი დროის მანძილზე. სწორედ ამ შემთხვევას აღწერს ე.წ. ობობას ქსელის თეორემა (Cobweb-Theorem). იგულისხმება მოკლევადიანი მოხმარების პროდუქტის ბაზარი, სადაც გარკვეულ პერიოდში შემოსული პროდუქციის გასაღება, შესაბამისად, იმავე პერიოდში უნდა მოხდეს. ბაზარზე პროდუქტების ფასის მიმართ არსებობს მიმწოდებელთა შედარებითი სიხისტე. იმ დროს, როდესაც მომხმარებელი თავის გადაწყვეტილებებში მიმდინარე პერიოდის საბაზრო ფასზეა ორიენტირებული, მიმწოდებლები თავიანთ პროდუქციას ყოველთვის წინა პერიოდის ფასის საფუძველზე გეგმავენ. საბოლოოდ შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ მოცემულ შემთხვევაში მიწოდების მრუდი უფრო მეტადაა დახრილი ვიდრე მოთხოვნის მრუდი. ფასის მატების დროს, მოთხოვნის კლების ხარისხი მიწოდების ზრდის ხარისხზე მეტია. ამ პირობებში ირღვევა საბაზრო წონასწორობა და მოთხოვნა-მიწოდება ახალ შესაბამისობაში მოდის. ეს უკანასკნელი საბაზრო მერყეობების შემდეგ აყალიბებს ახალ საბაზრო წონასწორობას (შეად. ნახაზი 3.6).

დასაწყისში საბაზრო წონასწორობა მდებარეობს S-სა და D_1-ის გადაკვეთის წერტილში p^* ფასით. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის ფუნქცია D_1-დან D_2-კენ გადაადგილდება, როგორც შემოსავლის ზრდის შედეგი, მიმწოდებლებს შეუძლიათ ამ პერიოდში q^* რაოდენობა უფრო მაღალ P_1 ფასად გაყიდონ. გამომდინარე აქედან, შემდგომი პერიოდისთვის ისინი თავიანთი მიწოდების ფუნქციის შესაბამისად, ბაზარზე პროდუქციის უფრო მეტ q_1 რაოდენობას გაიტანენ. თუმცა ამ პროდუქტის გაყიდვა შესაძლებელია მხოლოდ p_2 ფასად. მიმწოდებლები მოცემულ გარემოებას მიიჩნევენ როგორც საბაბს იმისა, რომ შემდგომი პერიოდისთვის წარმოების მოცულობა q_2-მდე შეამცირონ. ამ ფორმით მხოლოდ ხანგრძლივი ადაპტაციის პროცესის შემდეგ მყარდება ახალი საბაზრო წონასწორობა, რომელიც S-ის და მოთხოვნის ახალი D_2 მრუდის გადაკვეთის წერტილში მდებარეობს.



ნახაზი 3.6: საბაზრო წონასწორობის აღდგენის პროცესი ობობას ქსელის თეორემის მიხედვით

დასაწყისში საბაზრო წონასწორობა S-სა და D_1-ის გადაკვეთის წერტილში მოცემულია P წონასწორული ფასით. D_1-დან D_2-სკენ მოთხოვნის მრუდის გადაადგილებით ირღვევა საბაზრო წონასწორობა. მოთხოვნის ზრდის საფუძველზე, მიმწოდებლებს შეუძლიათ, მიიღონ უფრო მაღალი საბაზრო P_1 ფასი. ისინი შემდგომი პერიოდისთვის მიწოდებას სწორედ ამ გაზრდილი ფასის მიხედვით გეგმავენ. მომდევნო პერიოდში მიწოდების ამ რაოდენობაზე საკმარისი მოთხოვნა აღარ არის. ვინაიდან პროდუქტის მოგვიანებით გაყიდვისათვის შენახვის საშუალება არ არსებობს, იგი უფრო დაბალ p_2 ფასად უნდა გაიყიდოს. აღნიშნული ფასი, თავის მხრივ, ხდება შემდგომი მიწოდების დაგეგმვის საფუძველი. საბოლოოდ, ფასისა და რაოდენობის ცვლილებების მიხედვით, S-ისა და D_2-ს გადაკვეთის წერტილში ახალი საბაზრო წონასწორობა ყალიბდება.*

არტურ ჰანაუ და ღორის ფასების ციკლი

არტურ ჰანაუ (1902-1985) დაიბადა ჰანოვერში, ითვლება თანამედროვე სოფლის მეურნეობის ბაზრის კვლევის ფუძემდებლად. 1933 წლამდე აგრარული სექტორის ეკონომისტი არტურ ჰანაუ იყო ბერლინის აგრარული უნივერსიტეტის დოცენტი. 1948 წლიდან იგი ხელმძღვანელობდა ბრაუნშვაიგის აგრარული ბაზრის კვლევით ინსტიტუტს; 1953 წელს იგი მიწვეულ იქნა გოთინგენის უნივერსიტეტის აგრარული ბაზრის კვლევების კათედრაზე. მისი ყველაზე ცნობილი შრომაა: ღორის ფასთან დაკავშირებული პროგნოზი (ბერლინი 1927).

ჰანაუმ ღორის ხორცის გასაღების ბაზრების გრძელვადიანი განვითარების შესწავლისას დაასკვნა, რომ სახელმწიფოს მხრიდან მნიშვნელოვანი ჩარევებისგან თავისუფალ ფასებში, შეიმჩნეოდა ფასებისა და გასაყიდი რაოდენობის ტიპური ტალღისებური მოძრაობა. 1,5-2 წლამდე პერიოდში ღორის ხორცზე მაღალ ფასსა და დაბალ მოთხოვნას, როგორც წესი, სისტემატურად მოჰყვებოდა იმავე ვადის ისეთი პერიოდი, როდესაც ღორის ხორცის გასაყიდი ფასი იკლებდა, ხოლო მასზე მოთხოვნა კი იმატებდა. ამ 3-4 წლამდე „ღორის ციკლის“ მიზეზად ჰანაუ მწარმოებელთა მხრიდან გოჭებისა და დასაკლავი ღორებისგან მოგების მოლოდინებს მიიჩნევდა, რაც, თავის მხრივ, დიდწილად ღორის მიმდინარე გასაყიდი ფასით იყო განპირობებული. ღორის გაზრდისათვის საჭირო დრო – 1,5-2 წელიწადი – განაპირობებდა მიმწოდებლების გადაწყვეტილებას, დაეცადათ პროდუქტის გაყიდვა მანამ, სანამ ბაზარზე მნიშვნელოვანი დეფიციტი არ დაფიქსირდებოდა. ჰანაუმ ასევე შენიშნა, რომ აგრარულ პროდუქტებზე არსებობდა მოთხოვნის დაბალი საფასო ელასტიურობა, რაც ნიშნავდა იმას, რომ აგრარული პროდუქტების ბაზარზე ფასებს უმეტესწილად მიმწოდებლები განსაზღვრავდნენ და არა მომხარებლები.

განსხვავებულ შედეგს მივიღებდით თუ მიწოდებისა და მოთხოვნის მრუდებს ექნებოდათ ერთნაირი დახრილობა. ობობას ქსელის თეორემის დაშვებების მიხედვით (პროდუქტის საწყობში შენახვის შესაძლებლობის არარსებობა და მიწოდების რაოდენობის სიხისტე ფასის ცვლილებასთან მიმართებაში), აღნიშნულ შემთხვევაში საბაზრო წონასწორობის დარღვევისას ფასები და რაოდენობა მერყეობს ახალი საბაზრო წონასწორობის მიღწევამდე. იმ შემთხვევაში, თუ გვექნებოდა განსხვავებული მოცემულობა – მოთხოვნის ფუნქციის დახრილობა მიწოდების ფუნქციის დახრილობას აღემატება, მაშინ ობობას ქსელის თეორემის მიხედვით, აღგილი აქვს პროცესს, როდესაც, ფასები და რაოდენობა სულ უფრო მეტად სცილდება საბაზრო წონასწორობას. საბაზრო წონასწორობა ამ შემთხვევაში არასტაბილურია.

ფასის ცვალებადობის ის ციკლურობა, რომელსაც ობობას თეორემა განმარტავს, ხშირად გვხვდება სოფლის მეურნეობის იმ ბაზრებზე, სადაც ფასების სახელმწიფო კონტროლი არ არსებობს. მოცემული შემთხვევის კლასიკური მა-

გალითია ე.წ. ღორის ციკლი. ასევე, განსაკუთრებულ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს გერმანიაში 1950-1970 წლებში არსებული სვიის ბაზრები, რომელიც აღწერილი აქვს იარხოვს (1980).

3.2.2 საბაზრო წონასწორობის არარსებობა: მიწოდებისა და მოთხოვნის შესახებ ინფორმაციის ასიმეტრიულობა

გასაყიდი პროდუქტების ხარისხის არაჰომოგენურობის შემთხვევაში, აღნიშნული თვისებების შესახებ ინფორმაციის გავრცელება ბაზრის არსებობისთვის უმთავრეს როლს ასრულებს. ხარისხის შესახებ ინფორმაციის ასინქრონულმა განაწილებამ შესაძლოა გარიგებების ჩაშლა გამოიწვიოს, მაშინ, როდესაც სრულფასოვანი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, აღნიშნული გარიგებები თანაბრად მიმზიდველი იქნებოდა, როგორც მიმწოდებლებისთვის, ასევე მომხმარებლებისთვისაც. ბაზრის არასრულფასოვნების ეს ფორმა უარყოფითად მოქმედებს იმ პროდუქტების მოთხოვნაზე, რომელთა სამომხმარებლო თვისებები მხოლოდ მათი მოხმარების შემდეგაა აღქმადი. ბაზრის თავისებურებებიდან გამომდინარე, ინფორმაციის ფლობის უპირატესობა შეიძლება იყოს მიმწოდებლის ან მომხმარებლის მხარეზე. დროითი ფაქტორის მიხედვით განასხვავებენ ინფორმაციის ასიმეტრიულობის ორ ტიპს:

- უარყოფითი შერჩევა – ინფორმაციის ასიმეტრიულობას ხელშეკრულების გაფორმებამდე მივყავართ არასასურველ შერჩევამდე (adverse selection).
- მორალური რისკი – ინფორმაციის ასიმეტრიულობას ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მივყავართ მორალურ რისკამდე (moral hazard).

ორივე შემთხვევაში, ბაზრის ის მხარე, რომელიც უფრო ნაკლებად არის ინფორმირებული, ხელშეკრულების გაფორმებამდე აცნობიერებს ხარისხთან დაკავშირებულ რისკებს და ცდილობს თავისი ქცევა ამ მოცემულობიდან გამომდინარე განსაზღვროს. აღნიშნულის გამო ექსტრემალურ შემთხვევებში შესაძლებელია, მიწოდებისა და მოთხოვნის თანხვედრა არ მოხდეს არანაირი მისაღები ფასის შემთხვევაში და, შესაბამისად, არ იარსებოს საბაზრო წონასწორობამ.

მოთხოვნის მხარეს არსებული ინფორმაციის ნაკლებობის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს მეორადი საქონლის ბაზრები. ჩვეულებრივ, ამ ბაზარზე არსებული გამყიდველები, უკვე გამოყენებული აქვთ რა გასაყიდი პროდუქტი, მისი თვისებების შესახებ მომხმარებელზე უკეთ ინფორმირებულნი არიან. ასეთ სიტუაციაში მომხმარებლებს შეუძლიათ პროდუქტის ფასის, როგორც ხარისხის ინდიკატორის ინტერპრეტაცია. პროდუქტის მაღალი ფასი საშუალოდ მაღალი ხარისხის მაჩვენებელი უნდა იყოს, ხოლო დაბალი ფასი – ცუდი ხარისხის სიგნალი. ამ ვარაუდის მიხედვით, ხდება მოთხოვნის ფუნქციის ფორმულირება, რომელშიც პროდუქტის p ფასის გარდა, ასევე პროდუქციის $\mu(p)$ ხარისხიც შემოდის, რომელიც კვლავ დადებით დამოკიდებულებაშია ფასთან:



ნახაზი 3.7: საბაზრო ჩავარდნა მოთხოვნის მხარეს არსებული ინფორმაციის ნაკლებობის დროს

საბაზრო ფასი მომხარებლისათვის ხარისხის განმსაზღვრელს წარმოადგენს, რადგან ეს უკანასკნელი არ არის დარწმუნებული პროდუქტის ხარისხში. მაღალი ფასი კარგ ხარისხზე მეტყველებს, ხოლო დაბალი ფასი მდარე ხარისხზე მიუთითებს. ამასთან, არსებობს პირდაპირი (უარყოფითი) კავშირი საბაზრო ფასსა და მოთხოვნას შორის. თუკი ხარისხის ეფექტი დომინირებს, შესაძლოა წარმოიშვას მოთხოვნის მრუდის ისეთი მიმართულება, რომელიც ხელს შეუშლის საბაზრო წონასწორობის ჩამოყალიბებას.

$$q = D[p, \mu(p)] \tag{3.8}$$

თუ მიწოდების ფუნქცია ნორმალურად, ე.ი. p ფასისკენ ზრდად მიმართულებას გვიჩვენებს, სპეციფიკური მოთხოვნის ფუნქციას (3.8) ექნება ნახაზზე 3.7-ი გამოსახული მიმართულება.

ჯორჯ არტურ აქერლოფი და მოქლონების ბაზარი

ჯორჯ არტურ აქერლოფი (დაბ. 1940წ. ნიუ ჰევენში, კონექტიკუტის შტატი) ეკონომიკას სწავლობდა იელის უნივერსიტეტში, დოქტორის ხარისხი დაიცვა მასაჩუსეტის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში, ბოსტონში. აქერლოფი 1966 წლიდან ასწავლის ბერკლში კალიფორნიის უნივერსიტეტში, სადაც დროებით შეწყვიტა მუშაობა ინდოეთის ნიუ დელის სტატისტიკის ინსტიტუტსა და ლონდონის ეკონომიკის სკოლაში მოღვაწეობის გამო. თავისი ნაშრომისთვის ასიმეტრიული ინფორმაციის გავლენის შესახებ, 2001 წელს მაიკლ სპენსერთან და ჯოზეფ სტიგლიცთან ერთად მიიღო ნობელის პრემია ეკონომიკური მეცნიერებების დარგში. მისი მთავარი ნაშრომებია: „ლიმონის ბაზარი: ხარისხის განუზღვრელობა და საბაზრო მექანიზმი“ (Quarterly Journal of Economics, 1970); „სამართლიანი ხელფასის ძიება და უმუშევრობა“ (ჟანეტ იელენთან თანაავტორობით, Quarterly Journal of Economics, 1990).

თავის ნაშრომში „ლიმონის ბაზარი“, რომლისთვისაც მან მოგვიანებით ნობელის პრემია მიიღო, აკერლოფმა აღწერა მეორადი მანქანების ბაზრის მოდელი. ამ ბაზარზე გამყიდველმა საკუთარი მანქანის ხარისხი ზუსტად იცის მაშინ, როდესაც პოტენციური მყიდველისათვის შეუძლებელია ცალკეული მანქანის ხარისხის განსაზღვრა. მათ, საუკეთესო შემთხვევაში, გარკვეული მოდელის და გამოშვების წლის მიხედვით იციან, თუ საშუალოდ რა ხარისხის შეიძლება იყოს მეორადი მანქანა. თუ ბაზარზე დაწესდება მეორადი მანქანის გასაყიდი ფასი, რომელიც ბაზარზე საშუალო ხარისხთან გაიგივდება,

მიმწოდებლები გაძლიერებული ძალით უფრო დაბალი ხარისხის მანქანებით შეუტევენ ბაზარს მაშინ, როდესაც უფრო მაღალი ხარისხის ძვირფასი მანქანების მიმწოდებლები იძულებულები გახდებიან უკან დაიხიონ. პოტენციურმა მყიდველებმაც კარგად იციან ამ ურთიერთკავშირის შესახებ და, შესაბამისად, ისინიც შიშობენ, ბაზარზე დამკვიდრებულ ფასად მაღალი ხარისხის მანქანის ნაცვლად ხელში ჯართი არ შერჩეთ. საბაზრო წონასწორობის მისაღწევად, მეორადი მანქანის ფასი წესით უნდა დაეცეს. თუმცა უფრო დაბალი ფასის შემთხვევაშიც იგივე მექანიზმი განმეორდებოდა, რომელიც მაღალი ხარისხის მანქანის ფასის დაწევას გამოიწვევდა. ვინაიდან ეს ყველაფერი სხვა დანარჩენ ფასებსაც ეხება, ძვირფასი მანქანების მიმწოდებლებისთვის მეორად ბაზარზე მანქანის გაყიდვა არანაირად არ არის მიმზიდველი. ასეთ ბაზარზე ძირითადად მხოლოდ უფრო დაბალი ხარისხის მანქანები იყიდება და ამიტომაც მოთხოვნა, შედარებით დაბალი ფასის შემთხვევაშიც კი, არც თუ განსაკუთრებით მაღალია. აღნიშნულიდან გამომდინარე, საეჭვო ხდება, საერთოდ რამდენად არის შესაძლებელი მეორადი მანქანების ბაზრის ფუნქციონირება. აკერლოფმა ბაზრის ხარვეზების ანალიზის მსგავსი შედეგები დასაქმების ბაზრის შემთხვევაშიც მიიღო. მეწარმეები შეგნებულად გასცემენ უფრო მაღალ ხელფასს, რათა თავიდან აიცილონ ის ფაქტი, რომ ბაზარზე დამკვიდრებული ხელფასის სანაცვლოდ, რომელიც მიმართულია საშუალო ხარისხის სამუშაო რესურსებზე, მაღალკვალიფიციურ თანამშრომლებს შესთავაზონ მაღალი ხელფასი და ამ გზით მათი სამუშაო პროცესში სრული დატვირთვით ჩართვა მოახდინონ. ეფექტური ხელფასი დასაქმებულებს მეტ მოტივაციას აძლევს, წარმოების პროცესში საკუთარი შესაძლებლობები მაქსიმალურად ეფექტიანად გამოიყენონ.



ნახაზი 3.8: საბაზრო ჩავარდნა მიწოდების მხარეს არსებული ინფორმაციის ასიმეტრიულობისას

საბაზრო ფასი ხარისხის განმსაზღვრელს წარმოადგენს, რადგან მიმწოდებელი არ არის დარწმუნებული ხარისხში. მაღალი ფასი დაბალ ხარისხზე მეტყველებს, ხოლო დაბალი ფასი მაღალ ხარისხზე მიუთითებს. ამასთან, არსებობს პირდაპირი (დადებითი) კავშირი საბაზრო ფასსა და მიწოდებას შორის. თუ კი, ხარისხის ეფექტი დომინირებს, შესაძლოა წარმოიშვას მიწოდების მრუდის მიმართულება, რომელიც ხელს შეუშლის საბაზრო წონასწორობის მიღწევას.

ფასის კლების შემთხვევაში მოიმატებდა უშუალოდ ფასზე დამოკიდებული მოთხოვნა. ვინაიდან, ფასის კლებისას, მომხმარებლის აზრით, ასევე მიწოდებული პროდუქტის ხარისხი კლებულობს, მოთხოვნაც მცირდება. ხარისხის ეფექტის დომინირებამ შესაძლოა, მოთხოვნა იმდენად შეამციროს, რომ მოთხოვნისა

და მოწოდების გადაკვეთის წერტილმა აღარც კი იარსებოს. ამ სიტუაციის მაგალითზე კარგად ჩანს, თუ რატომ არის ამდენ სირთულესთან დაკავშირებული მეორადი საქონლის ბაზრების შექმნა.

ანალოგიურად შესაძლებელია, ინფორმაციის ნაკლებობის გამო, ბაზრის წარუმატებლობამ თავი იჩინოს მიწოდების მხარესაც. ამ უკანასკნელის მაგალითების პოვნა შესაძლებელია დასაქმების ბაზრის სხვადასხვა სეგმენტში, სადაც დამსაქმებლები ინფორმაციას მიღწევების საშუალო ხარისხის შესახებ, მხოლოდ რეალური ხელფასის რაოდენობის მიხედვით იღებენ და განსაკუთრებით კი საკრედიტო და სადაზღვევო ბაზრებზე, სადაც ვაჭრობა ტიპური ნდობისა და რწმენის პროდუქტებით ხორციელდება. $\mu(p)$ საკრედიტო და სადაზღვევო ხელშეკრულებების საბაზრო ფასის მოლოდინი შესაძლებელია აღქმულ იქნას საშუალო ხარისხის ინდიკატორად, თუმცა, ამ შემთხვევაში საპირისპირო მნიშვნელობით. მიმწოდებლები გამოდიან იქიდან, რომ ფასის მატების შემთხვევაში საშუალო ხარისხი კლებულობს, ვინაიდან, როგორც წესი, მხოლოდ მაღალი რისკების მქონე მომხმარებელი იქნება მზად, ხელშეკრულება უფრო მაღალ ფასად გააფორმოს. როდესაც მოთხოვნის მრუდს ნორმალური მიმართულება აქვს და მიწოდების ფუნქციაში დეტერმინანტების სახით ფასთან ერთად ხარისხიც იჩენს თავს, ნახაზ 3.8-ზე გამოსახულ მდგომარეობას მივიღებთ. მაღალი ფასის შემთხვევაში, მიწოდება ხარისხის ეფექტის გამო იმდენად მცირდება, რომ მიწოდებისა და მოთხოვნის მრუდების გადაკვეთის წერტილს ადგილი აღარ აქვს.

3.2.3 ბაზრის არასრულყოფილება: დადებითი და უარყოფითი გარე ეფექტები

სრულყოფილად ფუნქციონირებადი ბაზარი არა მხოლოდ ყველანაირი პროდუქტის ჰომოგენურობით გამოირჩევა, არამედ ინდივიდუალური სარგებლიანობით, მოგებითა და ხარჯებით, რომლებზეც დაფუძნებულია მიწოდებისა და მოთხოვნის ფუნქციები და რეალურად ხორციელდება ყველა საჭირო სარგებლიანობის, მოგებისა თუ ხარჯის ჩამოყალიბება. რეალურ ბაზრებზე ეს ყოველთვის ასე როდი ხდება. იმ შემთხვევაში, თუ ვთქვათ, ბაზარზე ინდივიდუალური სარგებელი და ხარჯი არ ემთხვევა საზოგადოებრივ სარგებელსა და ხარჯს, საბაზრო გაცვლის შედეგებს კეთილდღეობის თვალსაზრისით, არც თუ ოპტიმისტური შეფასებები აქვთ, რაც ნაჩვენებია ნახაზზე 3.3. მსგავსი განსხვავების მიზეზი განპირობებულია გარკვეული დადებითი, თუ უარყოფითი გარე ფაქტორების არსებობით.

გარე ფაქტორებზე ძირითადად მაშინ საუბრობენ, როდესაც A-პირის სარგებლის, მოგებისა და ხარჯის ფუნქცია სულ მცირე ერთ ცვლადს მაინც შეიცავს, რომელიც არ იმყოფება A – პირის სრული კონტროლის ქვეშ, არამედ ასევე სხვა, B – პირის აქტივობაზეცაა დამოკიდებული. განასხვავებენ გარე ფაქტორების შემდეგ სახეებს:

- ტექნოლოგიური გარე ფაქტორები: ამ შემთხვევაში არსებობს ინდივიდუალურ სარგებელს, მოგებასა და დანახარჯს შორის პირდაპირი (ფიზიკური) კავშირი, რომელიც არ არის დამოკიდებული საბაზრო ფასის ცვლილებებზე. ისინი ქმნიან ერთმნიშვნელოვან არასრულფასოვან ბაზარს.

- ქსელური გარე ფაქტორები: ისინი თავს იჩენენ ქსელის ჩამოყალიბების ფაზაში მაშინ, როდესაც ქსელის სარგებლიანობა ყველა მომხმარებლისათვის იზრდება. გამომდინარე იქიდან, რომ ქსელში ერთვება ყველა შემდგომი მოსარგებლე. მაშასადამე, ქსელის ეფექტიდან გამომდინარე, ინდივიდუალური სარგებელი ქსელის ყველა მონაწილისათვის საჭირო კოლექტიურ სარგებელს არ ემთხვევა. თუმცა, ეს ეფექტი ქრება მაშინვე, როდესაც ქსელი თავის ტექნიკურად ოპტიმალური განვითარების საფეხურს აღწევს.

- ფულადი გარე ფაქტორები: ისინი წარმოიშვებიან, როგორც საბაზრო ურთიერთობების პირდაპირი შედეგები, როდესაც ინდივიდუალური მიწოდებისა და მოთხოვნის გადაწყვეტილების საფუძველზე ბაზრის ყველა მონაწილესთვის საბაზრო ფასები იცვლება. ისინი არ იწვევენ ბაზრის ალოკაციურ არასრულყოფილობას, თუმცა განაწილების პოლიტიკის თვალსაზრისით, შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეფექტების გამოწვევა.

- ფსიქოლოგიური გარე ფაქტორები: ცალკეული პირის სარგებლიანობის დონეზე სხვა პირის სარგებელიანობამ შესაძლებელია დადებითად ან უარყოფითად იმოქმედოს ისე, რომ მათ შორის არ არსებობდეს პირდაპირი ფიზიკური კავშირი ან საბაზრო ურთიერთობა. შესაძლებელია ვიფიქროთ ისეთ ფენომენებზე, როგორიცაა სიამაყე ან შური, რომლებიც საზოგადოებრივი კეთილდღეობის ფუნქციის არსებობის და, აქედან გამომდინარე, პროდუქტისა და შემოსავლის გადანაწილების უპირატესობების შემთხვევაში, მნიშვნელოვანია. (შდრ. 13.2).

ეკონომიკური პოლიტიკისათვის მნიშვნელოვანია ტექნოლოგიური და ქსელური გარე ფაქტორები. ნეგატიური (ტექნოლოგიური) გარე ეფექტები თავს იჩენენ ყველგან, სადაც ინდივიდუალურ საწარმოო და მოხმარების გადაწყვეტილებებს თან ახლავს ბუნებრივი გარემოსთვის ზიანის მიყენება, რომელიც არ აისახება საბაზრო ფასებში. მათი ალოკაციური შედეგები ასახულია ნახაზში 3.9. როდესაც პროდუქციის საზოგადოებრივი ზღვრული ხარჯები აღემატება ინდივიდუალურ ზღვრულ ხარჯებს, საბაზრო წონასწორობის არსებობისას გვაქვს საბაზრო მოთხოვნა, რომელიც უფრო მაღალია, ვიდრე ეს საზოგადოებისთვის გონივრული იქნებოდა და იყიდება იმ ფასად, რომელიც უფრო დაბალია, ვიდრე საზოგადოებისთვის ოპტიმალური იქნებოდა.

ნეგატიური გარე ეფექტები ასევე შესაძლოა წარმოიქმნას კერძო მოხმარების გადაწყვეტილებებით, რაც დაკავშირებულია გარემოსთვის საზიანო შეფუთვის მოთხოვნასთან, რის შედეგადაც ბაზარი მარაგდება აღნიშნული პროდუქტის უზარმაზარი რაოდენობით, რაც გარემოს დიდ ზიანს აყენებს. დადებითი გარე ეფექტები წარმოიშვება, მაგალითად, ისეთი პროდუქტის ან წარმოების მეთოდის გამოგონებით, რომელსაც მოიხმარს არა მარტო გამომგონებელი, არამედ, ბაზრის ყველა დანარჩენი მონაწილეც. გამოგონების ინდივიდუალურ ხარჯებს ამ შემთხვევაში უპირისპირდება საზოგადოებრივი სარგებელი, რომელიც ბევრად აღემატება ინდივიდუალურ სარგებელს. თუ მაღალი საზოგადოებრივი სარგებელი გამოგონების საბაზრო ფასში შესაბამისად არ არის ასახული, დადებითი გარე ეფექტების დროს, ჩვეულებრივ, არ ხდება ბაზრის საკმარისად უზრუნველყოფა.



ნახაზი 3.9: საბაზრო ჩავარდნა, რომელიც მიწოდების მხარეს არსებული უარყოფითი გარე ეფექტების შედეგია

როდესაც C_p' კერძო ზღვრული ხარჯები და აქედან გამომდინარე S მიწოდება უფრო დაბალია, ვიდრე საზოგადოებრივი C_s' ზღვრული ხარჯები, საბაზრო წონასწორობაში ხდება საზოგადოებისათვის საჭირო ოპტიმალურ რაოდენობასთან შედარებით მეტისმეტად დიდი რაოდენობის მეტისმეტად დაბალ ფასად გაყიდვა.

3.2.4 საბაზრო ძალაუფლება: ბუნებრივი მონოპოლია

კონკურენტული წონასწორობისათვის დამახასიათებელი საყოველთაოდ საასარგებლო უნარების გამოვლენა, არც ცალკეული მიმწოდებლების ან მომხმარებლების მიერ საბაზრო ძალაუფლების გამოყენების გზით, საბაზრო ფასზე საკუთარი სურვილისამებრ გავლენის მოხდენის შემთხვევაშია შესაძლებელი. საბაზრო ძალაუფლება შესაძლოა წარმოიქმნას მცდარი ან არარსებული სახელმწიფო კონკურენციის პოლიტიკის შედეგად. უფრო დაწვრილებით ეს ფაქტი მე-5 თავში იქნება განხილული. როგორც შემდგომში ვნახავთ, ბაზრის ცალკეულ მონაწილეთა საბაზრო ძალაუფლებას შესაძლოა, ასევე ტექნოლოგიური მიზეზები ჰქონდეს. საუბარია ბუნებრივ მონოპოლიაზე, რომელიც წარმოების ტექნოლოგიაში განუყოფლობის გამო იქმნება, რაც გულისხმობს საშუალო და ზღვრული ხარჯების მუდმივ კლებას. ხარჯების ასეთ მიმართულებას გვიჩვენებს ნახაზი 3.10. ისინი წარმოიქმნებიან, როცა წარმოების ხარჯების ასეთი მიმართულება მაღალ ფიქსირებულ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ამ პირობებში, მიმწოდებლებს, რომლებიც მეტ რაოდენობას აწარმოებენ, უფრო ნაკლები საშუალო და ზღვრული ხარჯები აქვთ, ვიდრე მიმწოდებლებს, რომლებიც ნაკლებ რაოდენობაზე მუშაობენ. მსხვილ მიმწოდებლებს ყოველთვის აქვთ მცირე მიმწოდებლების ბაზრიდან გაძევების და, შესაბამისად, მონოპოლიური მდგომარეობის დაკავების საშუალება.

გარდა თავისთავად მონოპოლიისა, რომელიც საბაზრო ფასწარმოქმნის უფლებას იძლევა, ნახაზზე ნაჩვენებია ორი სხვა საბაზრო ხარვეზიც. თუ ზღვრუ-

ლი ხარჯების მრუდს მიწოდების მრუდად მივიჩნევთ, რომელიც ფასის კლებისაკენ არის მიმართული, შესაძლო საბაზრო წონასწორობის სტაბილურობას ადგილი არ ექნება, ვინაიდან ჭარბი მიწოდების ან მოთხოვნისას ფასთან ადაპტაციის სტრატეგიები იწვევს არა საბაზრო წონასწორობასთან მიახლოებას, არამედ შორდება მას. ამავდროულად, ჰიპოთეტური საბაზრო წონასწორობა მიწოდებისა და ზღვრული ხარჯების მრუდების გადაკვეთის წერტილში კეთილდღეობის ასპექტის დროს მნიშვნელოვანი ნაკლის მატარებელია. ვინაიდან საშუალო ხარჯები ზღვრულ ხარჯებს აღემატება, აღნიშნული საბაზრო წონასწორობის დროს, მუდმივად ადგილი ექნება ერთეულ დანაკარგს, რაც არც ერთი მიმწოდებლისთვის არ იქნებოდა მისაღები. აქედან გამომდინარე, ბუნებრივი მონოპოლიები ყოველთვის იქნებიან მიდრეკილნი, ჩართონ ბაზრის ფასის ადაპტაციის მექანიზმები და დააწესონ ფასი, რომელიც სულ მცირე, საშუალო ხარჯებს დაფარავს.



ნახაზი 3.10: საბაზრო ჩავარდნა ბუნებრივი მონოპოლიის დროს

თუ წარმოების ტექნოლოგიის თავისებურების გამო, მუდმივად თავს იჩენს საშუალო დანახარჯების შემცირება, მსხვილ საწარმოს ყოველთვის შეუძლია პროდუქციის უფრო დაბალ ფასად მიწოდება, ვიდრე მცირე საწარმოს. მსხვილ საწარმოს შეუძლია გამოიყენოს ეს უპირატესობა კონკურენტების გაძევების და შემდგომ მონოპოლიური მოგების რეალიზების მიზნით. ფასწარმოქმნა ზღვრული ხარჯებისა და მოთხოვნის გადაკვეთის წერტილში, პირიქით, წაგებისკენ იქნებოდა მიმართული.

3.3 საფასო პოლიტიკის ინსტრუმენტები

3.3.1 ფიქსირებული სახელმწიფო ფასები

იმ შემთხვევაში, თუ საბაზრო ხარვეზების მიუხედავად, მაინც გაგრძელდება მიწოდებისა და მოთხოვნის კოორდინაცია, არსებობს სახელმწიფოს მიერ საბაზრო ფასის დადგენის ეკონომიკური პოლიტიკის სრულიად მარტივი სტრატეგია. სახელმწიფოს მხრიდან ფასის დადგენა ზემოთხსენებულ საბაზრო ხარვეზებზე შემდეგნაირად იმოქმედებდა:

- იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს ფიქსირებული ფასი ზუსტად გაუტოლდება წონასწორულ ფასს, სტაბილურობის პრობლემა ურთიერთსაწინააღმდეგოდ მიმართული მიწოდებისა და მოთხოვნის ან ადაპტაციის შენელებული რეაქციების შემთხვევაში, არ იარსებებს.
- გარე ეფექტების შემთხვევაში, სახელმწიფო ფიქსირებული ფასები ზუსტად იმ დონეზე დაფიქსირდებოდა, რა დონეზეც თანხვედრაშია საზოგადოებრივი სარგებლიანობა და ხარჯები.
- ინფორმაციის ასიმეტრიულობის შედეგად, საბაზრო წონასწორობის არარსებობის შემთხვევაში, ყოველთვის არსებობს სახელმწიფოს ფიქსირებული ფასების დადგენის შესაძლებლობა ისე, რომ მინიმუმამდე შემცირდეს დაშორება მიწოდებისა და მოთხოვნის მრუდეებს შორის და, შესაბამისად, მიწოდებისა და მოთხოვნის სიჭარბის ოდენობა.
- ბუნებრივი მონოპოლიის შემთხვევაში, ჰიპოთეტური წონასწორობის ფასი არ წარმოადგენს ფიქსირებული ფასის უშუალო საფუძველს, ვინაიდან მას შეეძლო გამოეწვია მიწოდების მუდმივი დეფიციტი. თუმცა, საშუალო ხარჯების რაოდენობის შესაბამისი, სახელმწიფოს მიერ დადგენილი გარანტირებული ფასით, შესაძლებელი იქნებოდა ასეთი დეფიციტების წარმოქმნის თავიდან აცილება (შდრ. 4.2.4).

ფიქსირებული ფასების შემოღება სახელმწიფო ინსტიტუციების მხრიდან მიწოდებისა და მოთხოვნის ფუნქციების მიმდინარეობის შესახებ საკმარისად ზუსტი ინფორმაციის ფლობას მოითხოვს. თუმცა, ამის იმედად ყოფნა არ ღირს. მიწოდებისა და მოთხოვნის კერძო გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიწოდებისა და მოთხოვნის მრუდების გადახრას იწვევენ, როგორც წესი, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ფასების შესაბამისად მოქნილი ადაპტაცია თან არ ახლავს. აქედან გამომდინარე, ჩნდება ეჭვი იმის თაობაზე, რომ ფიქსირებული ფასი ნამდვილად წარმოადგენს საბაზრო ფასის ალტერნატივას. ფასის სრულად ფიქსირების ნაცვლად თითქმის ყოველთვის მისაღებია საფასო პოლიტიკის უფრო მოქნილი ვარიანტი, რომელიც, მართალია, განსაზღვრავს ფასის ცვლილების ზედა ან ქვედა ზღვარს, მაგრამ ამ გარკვეულ ზღვრამდე, საბაზრო ძალაუფლების საფუძველზე, თავისუფალი ფასწარმოქმნის საშუალებას იძლევა. მოგვიანებით განვიხილავთ იმ პრობლემებს, რომლებიც ამგვარი მაქსიმალური და მინიმალური ფასის სტრატეგიებიდან წარმოიქმნებიან.

სახელმწიფოს მხრიდან ფასებში ჩარევის მეორე პრობლემას უმეტესწილად მისი ხანგრძლივობა წარმოადგენს. ფიქსირებული ფასები, რომელთა საჭიროებაც დროის გარკვეული მომენტისთვის გამართლებული იყო საბაზრო ხარვეზების არსებობით, ხშირად მაშინაც აგრძელებენ არსებობას, როდესაც ბაზრის არასრულყოფილობას ადგილი აღარ აქვს. ეს განსაკუთრებით ეხება ბაზრების სტაბილიზაციის მიზნით ფასების სტანდარტების დაწესებას. მიმწოდებლებისა და მომხმარებლების რაოდენობის ზრდის შემთხვევაში, რაც დაკავშირებულია ბაზრების საერთაშორისო ინტეგრაციისა და პროდუქტების ხანგრძლივი დროით შენახვის ინოვაციების გაუმჯობესებასთან, დროთა განმავლობაში საბაზრო წონასწორობისათვის სულ უფრო და უფრო უკეთესი პირობები იქმნება. სახელმწიფოს მიერ ფასების დადგენა კარგავს თავის გამართლებას. მისი არსებობის გაგრძელების შემთხვევაში, იგი ეკონომიკურ პოლიტიკას პრობლემებს უჩენს.

3.3.2 მაქსიმალური სახელმწიფო ფასები

სახელმწიფოს მხრიდან საფასო პოლიტიკაში ჩარევას, რომლის დროსაც ხორციელდება ბაზარზე რეალიზებადი ფასის ზედა ზღვარის დაწესება, მაქსიმალური ფასის პოლიტიკა ეწოდება. მისი მიზანია, ბაზარზე არსებული ხარვეზების გამოსწორება ან სოციალური პოლიტიკით მოტივირებული სურვილი, გარკვეული პროდუქტი მომხმარებლისათვის გახადოს ხელმისაწვდომი შეძლებისდაგვარად დაბალ ფასად, ვინაიდან იგი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის არის საჭირო. ხშირად ორივე მოტივაცია ერთმანეთშია არეული.

მაგალითად, უძრავი ქონების ბაზარზე ქირისთვის საჭირო ზედა ზღვრის დაწესება, შესაძლებელია, ერთი მხრივ, განპირობებული იყოს სოციალური პოლიტიკის ინტერესით, საცხოვრებელი ფართი ხელმისაწვდომი გახდეს მოსახლეობის ფართო ფენებისთვის, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის გამართლება, ობობას ქსელის – თეორემის სქემის მიხედვით, განპირობებულია ქირის ფასის ძლიერი მერყეობით გამოწვეული საფრთხით. იმ შემთხვევაში, როცა ადგილი აქვს გასაქირავებელი ბინების მიწოდებაზე მოთხოვნის ცვლილებებს დროის მოკლე მონაკვეთში, განსაზღვრული დიაპაზონის ფარგლებში.

მაქსიმალური ფასების დაწესება, რომელიც აღემატება თავისუფალი ფასწარმოქმნის პირობებში არსებულ საბაზრო ფასს, პრობლემას არ წარმოადგენს, ვინაიდან პროდუქტი დროთა განმავლობაში რეალიზირებულ იქნება იმ p^* ფასით, რომელიც მიწოდებისა და მოთხოვნის გათანაბრებას გამოიწვევს. იმ შემთხვევაში, თუ, როგორც ეს ნახაზზე 3.11 ჩანს, pH მაქსიმალური ფასი პირიქით, p^*-ზე ნაკლებია, მოცემული S მიწოდებისა და D მოთხოვნის მრუდების შემთხვევაში, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს ჭარბ მოთხოვნას $q_2 - q_1$ რაოდენობის ფარგლებში. კერძოდ, მოცემულ პროდუქტზე დაბალი ფასის შემთხვევაში, მოთხოვნა q_2-მდე გაიზრდება მაშინ, როდესაც მიმწოდებლები თავიანთი მიწოდების რაოდენობას q_1-მდე ამცირებენ.



ნახაზი 3.11: მაქსიმალური ფასის დაწესების შედეგები

თუ საბაზრო წონასწორობაში სახელმწიფოს მიერ დაწესებული pH მაქსიმალური ფასი p-ზე ნაკლებია, ადგილი აქვს ჭარბ მოთხოვნას. მისი გადაფარვა შესაძლებელია მიწოდების მიზანმიმართული სუბსიდირებით. ამ შემთხვევაში მიწოდების მრუდი S-დან S_1-კენ გადაინაცვლებდა.*

თუ შეუძლებელია მაქსიმალური ფასის შეცვლა, მომარაგებაში პრობლემების არსებობის საპასუხოდ არსებობს სხვადასხვა სტრატეგიები. ყველაზე გავრცელებულია q_1 მიწოდების ნორმირება (რაციონირება), რომლის დროსაც, სახელმწიფოს მხრიდან ხდება მთლიანი პროდუქციის განკარგვა და ტალონების სახით მომხმარებლისათვის განაწილება. ამდენად, საქონლის ბაზრებზე ინდივიდუალური გაცვლის საშუალებით, მიწოდებისა და მოთხოვნის გათანაბრებას ენაცვლება ადმინისტრაციული რეგულირება, რომელიც ხშირად, თვითნებურად შერჩეული კრიტერიუმებით ახდენს იაფი, მაგრამ შეზღუდული საქონლის ცალკეული მომხმარებლისათვის განაწილებას.

ჭარბი მოთხოვნის აღმოფხვრის სხვა საშუალება, რომელიც პრინციპში სახელმწიფოსთვის დამატებით ხარჯებს წარმოადგენს, არის მიწოდების სუბსიდირება. ყოველი მიმწოდებლის წარმოებული პროდუქტის n თითოეული ერთეულის t რაოდენობის ფარგლებში სუბსიდირება, მიწოდების მრუდს S-დან S_1-კენ გადააადგილებს. pH ფასად მომხმარებლისათვის არსებობს მიწოდების რაოდენობა q_2, მიმწოდებლებს შეუძლიათ აღნიშნული რაოდენობის $p_1 = \text{pH} + t$ ფასად გაყიდვა და, შესაბამისად, $q_2 \cdot p_1$ მოგების მიღება. სახელმწიფო სუბსიდირების საერთო ხარჯები შეადგენს $q_2 \cdot t$-ს.

ჭარბი მოთხოვნის აღმოსაფხვრელად დამატებითი სახელმწიფო ღონისძიებების არარსებობას, სახელმწიფო მაქსიმალური ფასების პოლიტიკა კონკრეტული პროდუქტის შავი ბაზრების წარმოქმნამდე მიჰყავს. აღნიშნულ ბაზრებზე მომხმარებელს შეუძლია, სახელმწიფო ფასის წესების გვერდის ავლით, გადაიხადოს pH-ზე მაღალი ფასი და დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილება. შავი ბაზრების წარმოქმნას, ხშირად, ვერც სახელმწიფოს მხრიდან მიწოდების ნორმირება უშლის ხელს. ვინაიდან მიმწოდებლებს შეუძლიათ, თავიანთი პროდუქტი შავ ბაზარზე უფრო ძვირად გაყიდონ, მათთვის შესაძლოა უფრო მომგებიანიც იყოს სახელმწიფოს მხრიდან ნორმირებული პროდუქციის რაოდენობის შემცირება. ამის გამო, ოფიციალურ ბაზარზე მომარაგების დეფიციტი კვლავ იზრდება.

3.3.3 მინიმალური სახელმწიფო ფასები

სახელმწიფო მინიმალური ფასების პოლიტიკის მიზანია, საქონელზე საბაზრო ფასის ქვედა ზღვარის დაწესება. იგი მიმწოდებლებისათვის გარანტირებული მაღალი გასაყიდი ფასის დაწესების გზით, მათთვის შემოსავლებისა და მოგების მაღალ დონეს უზრუნველყოფს. მინიმალური ფასის პოლიტიკას განსაკუთრებული მნიშვნელობა შრომის ბაზარზე აქვს, როდესაც სახელმწიფოს მიერ დადგენილი მინიმალური ხელფასები ბაზრის შესაძლო ხარვეზების გამოსწორებას და, შესაბამისად, მნიშვნელოვანი სოციალურ-პოლიტიკური მიზნების მიღწევას უნდა ემსახურებოდეს. ეკონომიკურ ციკლში დასაქმების ბაზრის განსაკუთრებული როლის გამო, მინიმალური ფასების შესაძლო შედეგები უფრო დაწვრილებით განხილული იქნება პარაგრაფში 8.2.

თუ მინიმალური ფასი წონასწორობის ფასზე ნაკლებია, p^*-ის შემთხვევაში, მიწოდებისა და მოთხოვნის გათანაბრებაზე არანაირი უარყოფითი გავლენა არ იჩენს თავს. თუ იგი, პირიქით p^*-ზე მეტია, როგორც ეს ნაჩვენებია ნახაზზე 3.12. და p^M-თან მდებარეობს, D-სა S-ის მუდმივობის შემთხვევაში, მოსალოდნელია ჭარბი მიწოდება $q_4 - q_3$-ის რაოდენობის ფარგლებში. მწარმოებლები მაღალ

ფასზე მიწოდების q_4-მდე გაფართოებით რეაგირებენ მაშინ, როდესაც მომხმარებლების მოთხოვნა ამ ფასად მხოლოდ q_3 რაოდენობით შემოიფარგლება. სახელმწიფოს მხრიდან დამატებითი ეკონომიკურ-პოლიტიკური ჩარევების გარეშე, მოცემულ სიტუაციაში, მეწარმეთა მოგებისა და შემოსავლის ზრდასთან დაკავშირებული მიზანი, სავარაუდოდ, განუხორციელებელი დარჩებოდა. მიმწოდებელთა გაყიდვების შედეგად მიღებული მოგება, რომელიც საბაზრო წონასწორობაში $q^* \cdot p^*$-ს შეადგენს, მინიმალური ფასების პოლიტიკის შედეგად, $q^3 \cdot p^M$-ით იცვლება. თუმცა, მწარმოებლებისათვის ამას ემატება ჭარბი პროდუქციის შენახვის ან განადგურებისათვის საჭირო ხარჯები.



ნახაზი 3.12: მინიმალური ფასების დაწესების შედეგები

თუ საბაზრო წონასწორობაში სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული p^M მინიმალური ფასები p^* ფასზე მაღალია, ადგილი აქვს ჭარბ მიწოდებას. მისი გადაფარვა შესაძლებელია მოთხოვნის მიზანმიმართული სუბსიდირებით. ამ შემთხვევაში მოთხოვნის მრუდი D-დან D_1-კენ გადაინაცვლებს.

p^M ფასის შემთხვევაში, ჭარბი მიწოდების აღმოფხვრა შესაძლებელია სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებებით, რომლებიც არ დაუშვებენ მიწოდების რაოდენობის გაზრდას, ბაზარზე გაყიდვადი რაოდენობის ნიშნულის ზევით. ამ მიზნით, p^M ფასად მოთხოვნილი q_3 რაოდენობა უნდა ნაწილდებოდეს წარმოების ქვოტებად (კონტინგენტებად), რომლებიც ცალკეული მიმწოდებლისთვის პროდუქციის ზედა ზღვარს განსაზღვრავენ. მიწოდების განაწილება (კონტინგენტირება), ისევე, როგორც, მოთხოვნის ნორმირება, უამრავ პრობლემასთან არის დაკავშირებული. პირველ რიგში, თავს იჩენენ ადმინისტრაციული სირთულეები, როდესაც საქმე ეხება გაყიდული რაოდენობის აღრიცხვას, ცალკეული მიმწოდებლისათვის პროდუქციის კონტინგენტის განსაზღვრას და მიწოდების რეალური რაოდენობის ეფექტურ კონტროლს. ამასთან, მიწოდების განაწილებისათვის დამახასიათებელია მიმწოდებლებს შორის კონკურენციის არარსებობა. ვინაიდან, მიწოდების ღონისძიებები, ხშირად, არ ითვალისწინებენ განსხვავებებს წარმოების ეფექტიანობაში და აქედან გამომდინარე, ფასის დაწევისათვის არანაირ მიმზიდველობას არ წარმოადგენენ. შესაძლოა, მათ ასევე უარყოფითი გავლენა იქონიონ ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვაზეც.

აქედან გამომდინარე, მინიმალური ფასის რეგულირება, ხშირად, არა მიწოდების განაწილებით, არამედ სახელმწიფოს მხრიდან საქონლის შესყიდვის გა-

რანტიებით ხორციელდება. სახელმწიფო მინიმალურ p^M ფასად შეისყიდის ჭარბ მიწოდებას და ახდენს მათ დასაწყობებას და საჭიროების შემთხვევაში, განადგურებასაც კი. სახელმწიფო ინტერვენციის ხარჯები შეადგენს $(q_4 - q_3) \cdot p^M$-ს.

სახელმწიფოს მხრიდან ჭარბი საქონლის შესყიდვის ალტერნატივას სახელმწიფოს მხრიდან მომხმარებელთა სუბსიდირება წარმოადგენს. თუ სახელმწიფო მომხმარებელს თითოეული შეძენილი პროდუქტისთვის უხდის t რაოდენო-ბის სუბსიდიას, მოთხოვნის მრუდი D მარჯვნივ D_1-კენ გადაადგილდება. ამდენად მომხმარებელს შეუძლია q_4 რაოდენობა p^M ფასად შეიძინოს. ვინაიდან ისინი იღებენ სახელმწიფო სუბსიდიებს $q_4 \cdot (p^M - p_2) = q_4 \cdot t$-ის რაოდენობით, მათი დანახარჯი სულ $q_4 \cdot p^M$-ს შეადგენს.

როგორც ინტერვენციის შედეგად პროდუქციის შესყიდვისას, ასევე მომხმარებელთა სუბსიდირების შემთხვევაშიც, წონასწორულ საბაზრო ფასზე მაღალი მინიმალური ფასის დროს, სახელმწიფოს ეკისრება პირდაპირი და ირიბი ხარჯები. ჭარბი მიწოდების თავიდან აცილების მიზნით რეალურად განხორციელებული ღონისძიებების არჩევა, საბოლოო ჯამში, პოლიტიკურ გადაწყვეტილებას წარმოადგენს. ეკონომიკური თეორიების სფეროში ინტერესების დაცვის ასოციაციების მოსაზრებები იძლევიან საფუძველს ვივარაუდოთ, რომ, როგორც წესი, მეწარმეთა შემოსავლებზე სახელმწიფოს პირდაპირ გავლენას პროდუქციის შესყიდვის გარანტიების ან მიწოდების სუბსიდირების გზით, მომხმარებელთა სუბსიდირებასთან შედარებით, უპირატესობა ენიჭება. ყველა შემთხვევაში, ხარჯებმა, რომლებიც სახელმწიფოს მინიმალური ფასების პოლიტიკის გატარებისას ეკისრება, შესაძლებელია ჭარბი მიწოდების კიდევ უფრო მეტად გაზრდის შემთხვევაში, ისეთი მასშტაბი მიიღოს, რომ საჭირო გახდეს ფულადი პოლიტიკის მიზნების გადახედვა.

3.4 მაგალითი: ევროკავშირის აგრარული საფასო პოლიტიკა

ბევრ ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის ბაზრები სახელმწიფოს საფასო პოლიტიკის სამიზნეს წარმოადგენს. უამრავ განვითარებად ქვეყანაში ძირითად საკვებ პროდუქტზე არსებობს მაქსიმალური ფასის დაწესების სტანდარტი, რომელიც საზოგადოების ფართო ფენების იაფი საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფას ისახავს მიზნად. სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიწოდების შემცირება, ხშირად, დეფიციტს და სახელწიფოს მხრიდან აგრარული პროდუქტების ნორმირებას იწვევს. რაც შეეხება განვითარებულ ქვეყნებს, აქ პირიქით, სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე წესდება მინიმალური ფასის სტანდარტი, რაც სამრეწველო სექტორში დასაქმებულებთან შედარებით, სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებულთა შემოსავლის შემცირებას უნდა უშლიდეს ხელს. ევროკავშირის აგრარული პოლიტიკა, რომელიც ასევე გერმანიის აგრარული პროდუქტების მიმწოდებლებსა და მომხმარებლებსაც მოიცავს, იძლევა აღნიშნული ღონისძიებების გავლენის თვალსაჩინო მაგალითს.

ჯერ კიდევ 1958 წელს ევროპის ეკონომიკური კავშირის დაარსებისას, ექვსმა დამფუძნებელმა ქვეყანამ (საფრანგეთი, იტალია, ბელგია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები და გერმანია) კავშირის ფარგლებში სამრეწველო პროდუქტით ვაჭრობისას საბაჟო მოსაკრებლის გაუქმებასთან ერთად, ცალსახად დასახეს ერთიანი აგრარული პოლიტიკის წარმოებაც. ევროპის ეკონომიკური კავშირის

ხელშეკრულების 39-ე მუხლის თანახმად, ერთიანი აგრარული პოლიტიკის მიზნები შემდეგნაირად განისაზღვრება:

- სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ზრდა,
- სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებული პირების ცხოვრების დონის სათანადო უზრუნველყოფა ერთ სულზე შემოსავლის რაოდენობის გაზრდის საშუალებით,
- ბაზრების სტაბილიზება,
- მომარაგების უზრუნველყოფა.

აღნიშნულ ჩამონათვალში თავს იჩენს, როგორც ევროპის აგრარული პოლიტიკის შემოსავლებთან დაკავშირებული მიზნები, ასევე ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებების საშუალებით არაერთ აგრარულ ბაზარზე არსებული ფასების ციკლური მერყეობის შესუსტება.

1958 წელს სტრეზის სოფლის მეუნეობის კონფერენციაზე დაისახა ერთიანი აგრარული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები. სხვა დანაჩენთან ერთად, კონფერენციის რეკომენდაციები ითვალისწინებდა ევროპის ეკონომიკური კავშირის ფარგლებში ყველა წევრი ქვეყნისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ერთიანი ფასების დაწესებას. ფერმერთა პროდუქციისა და შემოსავლების დასაცავად, სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ეკონომიკური კავშირის ეს ერთიანი ფასები იმავდროულად მსოფლიო ბაზარზე შესაბამის პროდუქციაზე არსებულ ფასებზე მაღალი უნდა ყოფილიყო. განვითარებადი ქვეყნებიდან აგრარული პროდუქციის იაფი იმპორტის ფასსა და ეკონომიკურ კავშირში დადგენილ ფასს შორის განსხვავების გათანაბრების მიზნით, საჭირო გახდა იმპორტზე შესაბამისად გაზრდილი საბაჟო განაკვეთის შემოღება. ამრიგად, ე.წ. საბაზრო წესრიგის შემოღებით, 60-იანი წლების ბოლომდე, განხორციელდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების უმეტესობის ეკონომიკური კავშირის აგრარულ ბაზარზე მოზიდვა. 1976 წლის ბოლოსთვის, აგრარული ბაზრის რეგულირებისათვის შემუშავებული 23 წესი მოიცავდა ეკონომიკური კავშირის წევრი ქვეყნების სოფლის მეურნეობის პროდუქტების 90%-ზე მეტს. 70%-ზე მეტი პროდუქტისათვის, რომლებსაც აგრარული ბაზრის რეგულირება შეხებოდა, არსებობდა სახელმწიფოს მხრიდან ფასის განსაზღვრულ დონეზე შენარჩუნების საბაზრო რეგულირების ფორმა.

სახელმწიფოს მხრიდან ფასის განსაზღვრულ დონეზე შენარჩუნების გზით საბაზრო წესრიგის ცენტრალურ ელემენტს წარმოადგენს ევროკავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრთა საბჭოს ყოველწლიური გადაწყვეტილება სოფლის მეურნეობის ცალკეულ პროდუქტზე საორიენტაციო ფასის დაწესების შესახებ. საორიენტაციო ფასიდან გამოიყვანება განვითარებადი ქვეყნებიდან შემოსული იმპორტის ზღვრული ფასი მაშინ, როდესაც საორიენტაციო ფასიდან ხდება ევროკავშირის ცალკეულ რეგიონებსა და ევროკავშირის მთავარ ნავსადგურს – როტერდამს შორის სატრანსპორტო ხარჯების დაქვითვა. აგრარული პროდუქტების მსოფლიო საბაზრო ფასებსა და ევროკავშირის ზღვრულ ფასებს შორის სხვაობიდან გამოითვლება ე.წ. საკომპენსაციო მოსაკრებელი. აღნიშნულმა მოსაკრებელმა, როგორც ევროკავშირის ქვეყნებში აგრარული პროდუქტის იმპორტის ცვლადი საბაჟო მოსაკრებლის განაკვეთმა, უნდა უზრუნველყოს ის, რომ არ მოხდეს ევროკავშირის ბაზარზე მსოფლიო ბაზრის პროდუქტების საორიენტაციო ფასზე დაბალ ფასად მიწოდება.

საორიენტაციო და ზღვრული ფასებისა და საკომპენსაციო მოსაკრებლების გარდა, სოფლის მეურნეობის მინისტრთა საბჭო ყოველწლიურად ასევე ადგენს

ე.წ. საინვესტიციო ან საგარანტიო ფასებს. როგორც ტიპური მინიმალური ფასების სტანდარტები, ისინი განსაზღვრავენ ევროკავშირის ბაზრებზე მისაღებ აგრარულ პროდუქტზე ფასის მინიმალურ ზღვარს. ამასთან, საორიენტაციო ფასსა და საინვესტიციო ფასს შორის განსხვავება პროდუქტის სახის მიხედვით განისაზღვრება. შაქრის შემთხვევაში იგი აღწევს 5%-ს, ხოლო ხილისა და ბოსტნეულის სხვადასხვა სახეობის შემთხვევაში 50%-ს. თუ მიწოდება საორიენტაციო ფასად არ ხორციელდება, საბაზრო რეგულირება ზოგიერთ პროდუქტთან მიმართებაში, როგორიცაა, მაგ., შაქარი, რძე, საქონლის ხორცი ან მარცვლეული, ითვალისწინებს სახელმწიფოს მხრიდან ინვესტირების აუცილებლობას, რომლის დროსაც, ჭარბი მიწოდების შემთხვევაში, ხორციელდება ევროკავშირის ბიუჯეტით პროდუქციის შესყიდვა. სხვა პროდუქტების შემთხვევაში, როგორიცაა, ღორის ხორცი, სუფრის ღვინო, ხილი და ბოსტნეული, გათვალისწინებულია ნებაყოფლობითი ინვესტიციები, რომლებიც ასევე, საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფოს მხრიდან იქნება შესყიდული.

ევროპის აგრარული პოლიტიკის შედეგები თვალსაჩინოდ ადასტურებენ მინიმალური ფასის შესახებ დისკუსიების შედეგად მიღებულ ჰიპოთეზებს. აგრარულ პროდუქტებზე ერთიანი, სტაბილური და მსოფლიო საბაზრო ფასზე მაღალი ფასების არსებობის გარანტია, ერთი მხრივ, ევროპის ეკონომიკური კავშირის აგრარულ ბაზრებზე ფასის ჩამოყალიბების პროცესს, ხოლო, მეორე მხრივ, ჭარბი მიწოდების განვითარებას უწყობდა ხელს. თუ ევროგაერთიანების ქვეყნების თვითმომარაგების ხარისხი 70-იან წლებში კარაქის შემთხვევაში 95%-ს, ხოლო ხორცის შემთხვევაში 98%-ს შეადგენდა, 80-იანი წლების ბოლომდე მან, აგრარული პროდუქტების უმეტესობის შემთხვევაში, ცალსახად გადააჭარბა 100%-ს (შდრ. ცხრილი 3.1).

ევროკავშირის თვითმომარაგების ხარისხი სოფლის მეურნეობის ზოგიერთი პროდუქტისათვის (წლიური საშუალო მაჩვენებელი %-ებში)	1974-1975 (EU-9)	1987-1988 (EU-12)	1999-2000 (EU-15)	2009-2010 (EU-27)
მარცვლეული (ბრინჯის გარდა)	95	111	116	107
შაქარი	87	127	128	100
ღვინო	95	107	109	100
უცხიმო რძის ფხვნილი	153	110	247	141
ხორცპროდუქტები (სრულად)	98	107	107	108
EAGFL*-ის დანახარჯები, განყოფილება „გარანტია“, მლრდ. ECU / €	4,5 (1975)	29,0 (1989)	40,5 (2000)	58,3 (2010)
ევროკავშირის ბიუჯეტის საერთო წილი %-ებში	69	60	49	47

* ევროპის სოფლის მეურნეობის განვითარების და უზრუნველყოფის ფონდი; 01.01 2007 წლიდან ევროპის სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფის ფონდი (EGFL)
**
წყაროები: გერმანიის ფინანსთა სამინისტრო, ევროკავშირის სტატისტიკის სამსახური

ცხრილი 3.1: ევროკავშირის სოფლის მეურნეობის პროდუქტებით თვითმომარაგება 1974-2010 წლებში

აღწერილია ურთიერთობა ევროკავშირის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებასა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოხმარებას შორის. 100%-ზე მეტი მიუთითებს ჭარბ პროდუქტზე.

იმ პროდუქტების ბაზრებზე, სადაც არსებობს ნებაყოფლობითი ინტერვენციის ვალდებულება, მაგალითისთვის, ხილისა და ბოსტნეულის სახეობების შემთხვევაში, მეწარმეები კვლავინდებურად იძულებული იყვნენ, გაენადგურებინათ ჭარბი პროდუქცია. შაქრის ბაზარზე უკვე 1968 წლიდან მოქმედებს მიწოდების განაწილების სისტემა, რომლის დროსაც, ყველა მწარმოებელ ქვეყანას განსაზღვრული საწარმოო ქვოტა ენიშნება. 1981 წლამდე სოფლის მეურნეობის ყველა მწარმოებელს მიეცა გარანტია იმის თაობაზე, რომ მოხდებოდა კონტინგენტის რაოდენობის დადგენილ საინვესტიციო ფასად შესყიდვა. 1981 წლიდან სახელმწიფოს მხრიდან საინვესტიციო შესყიდვის შემთხვევაში, გათვალისწინებულ უნდა იქნას განაწილებული რაოდენობის რაღაც ნაწილზე ფასდაკლება. ვინაიდან დადგენილი ქვოტები არანაირი ფორმით არ შეესაბამებოდა შაქარზე არსებულ რეალურ მოთხოვნას, მათ არ შეეძლოთ წინ აღდგომოდნენ ჭარბი პროდუქციის ზრდას. რძის ბაზარზე, სადაც ეკონომიკური კავშირის თვითმმართველობის ხარისხმა უკვე დიდი ხანია 100%-ს გადააჭარბა, 1984 წელს ფასდაკლების ნაცვლად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მიწოდების განაწილების თაობაზე. 1988 წლიდან მარცვლეულის ბაზარზეც არსებობს ქვოტები, რომელთა ჭარბი რაოდენობის შემთხვევაშიც, სახელმწიფოს მხრიდან გარანტირებულად ხორციელდება ფასების შემცირება.

გასაყიდი ფასების სუბსიდირება, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკური კავშირის წევრ ქვეყნებში სოფლის მეურნეობის ჭარბი პროდუქციის შემცირებას, საბოლოოდ ექსპორტის ხელშეწყობის განსაკუთრებული პოლიტიკის ფარგლებში ხორციელდება. საკომპენსაციო მოსაკრებლების სარკისებური ეფექტისთვის, ევროკავშირი სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტისთვის იძლევა ე.წ. ექსპორტის სუბსიდიას. სუბსიდირების რაოდენობა უტოლდება ინტენვერვენციის ფასსა და მსოფლიო საბაზრო ფასს შორის განსხვავებას კონკრეტული პროდუქტისთვის. მათი საშუალებით, სოფლის მეურნეობის მწარმოებლებს ეძლევათ შესაძლებლობა, თავიანთი პროდუქცია განვითარებად ქვეყნებში ევროზონაში არსებულ ფასზე იაფად გაყიდონ ისე, რომ არ მოუწიოთ პროდუქციის ერთეულზე საგარანტიო ფასის ოდენობით მისაღებ მოგებაზე უარის თქმა. შიდა საბაზრო ინტერვენციების ხარჯებთან ერთად, ექსპორტის სუბსიდირებისთვის გამოყოფილი ხარჯები ევროკავშირის აგრარული ბიუჯეტის ძირითად ნაწილს შეადგენს, რომელიც თავის მხრივ, ეკონომიკური კავშირის საერთო ბიუჯეტის ცალკე არსებულ, დომინანტ მიმართულებად ჩამოყალიბდა. მხოლოდ სოფლის მეურნეობის საგარანტიო ფონდის დანახარჯები, როგორც ეს ცხრილშია (3.1.) ნაჩვენები, 80-იან წლებში ევროკავშირის საერთო ბიუჯეტის 60%-ს შეადგენდა.

ევროკავშირის ბიუჯეტის მზარდი საფინანსო ვალდებულებები და მასობრივი საერთაშორისო წნეხი ევროკავშირის აგრარული პოლიტიკის საფუძვლიანი რეფორმის სტიმულს იძლევა, რაც უფრო დაწვრილებით განხილულია პარაგრაფში 16.5. აღნიშნულ რეფორმას საფუძველი ჩაეყარა 1992 წელს, ფერმერებისთვის მარცვლეულსა და საქონლის ხორცზე 30%-იანი სუბსიდირებისა და პირდაპირი საშემოსავლო დოტაციების შემოღების ერთობლივი ღონისძიებებით. 1995 წელს მიღებული გადაწყვეტილებით, საექსპორტო ანაზღაურება 2000 წლამდე 36%-ით შემცირდა. 1999 წელს საჭირო გახდა მნიშვნელოვანი სუბსიდიების შემდგომი შემცირება, მსოფლიო საბაზრო ფასთან მისი მიახლოების მიზნით. პარალელურად გაიზარდა პირდაპირი საშემოსავლო დოტაციები. 2003 წელს ევროკავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრთა საბჭო შეთანხმდა 2005 წლიდან აგრარული პოლიტიკის სფეროში ერთობლივი ყოვლისმომცველი რეფორმის გატარების თაობაზე, რომლის მოქმედების ვადა 2013 წლამდე განისაზღვრებოდა. რეფორმა, ერთი მხრივ, ითვალისწინებდა ევროკავშირის სოფლის მეურნეობის ხარჯების შეზღუდვას, მეორე მხრივ, გადაწყდა ევროკავშირის აგრარული პოლიტიკის „მეორე ზოლის“ გაფართოება სოფლის განვითარების ხელშეწყობის გზით, რომლის დაფინანსება უნდა მოხდეს „პირველი ზოლიდან“ – წარმოების ტრადიციული წახალისებიდან – გადანაწილების გზით. ამასობაში მარცვლეულის ფასები იმდენად მიუახლოვდა მსოფლიო საბაზრო ფასს, რომ განვითარებად ქვეყნებში მარცვლეულის ექსპორტირებისათვის ექსპორტის სუბსიდირება საჭირო აღარ იყო. აგრარულ სექტორში გატარებული რეფორმის შედეგები ევროკავშირის ბიუჯეტს აშკარად დაეტყო. ორივე ზოლში სოფლის მეურნეობისათვის მთლიანად გაღებული დანახარჯები – ცხადია, ასევე ევროკავშირის გაფართოების ხარჯზეც – ცალსახად გაიზარდა. თუმცა, მისი ხვედრითი წილი ევროკავშირის ბიუჯეტში მნიშვნელოვნად შემცირდა და ევროკავშირის გაფართოების მიუხედავად, 50%-ზე ნაკლები შეადგინა.

ძირითადი ცნებები

- მიწოდების ფუნქცია
  მოთხოვნის ფუნქცია
  სრულყოფილი ბაზარი
  სრულყოფილი კონკურენცია
  საბაზრო წონასწორობა
  მომხმარებლის დანაზოგი
  მწარმოებლის დანაზოგი
- ბაზრის არასრულყოფილება
  გიფენის საქონელი
  ობობას ქსელის თეორემა
  ინფორმაციის ასიმეტრიულობა
  გარე ეფექტები
  ბუნებრივი მონოპოლია
- მაქსიმალური ფასები
  მინიმალური ფასები
  ნორმირება (რაციონირება)
  განაწილება (კონტინგენტირება)
- ევროპის აგრარული ბაზრის წესრიგი
  საორიენტაციო ფასები
  ზღვრული ფასი
  საგარანტიო ფასი
  საკომპენსაციო მოსაკრებელი
  ექსპორტის სუბსიდირება

დავალებები

1. აგრარული ბაზრების ნაკლოვანებები

იმსჯელეთ თეზისის შესახებ – ხშირად, სახელმწიფოს მხრიდან აგრარულ ბაზარზე ჩარევის მიზეზს განაპირობებს აღნიშნულ ბაზრებზე არსებული ყველა შესაძლო ნაკლოვანება.

2. საფასო პოლიტიკა შრომის ბაზარზე

წარმოიდგინეთ სრულყოფილად ფუნქციონირებადი შრომის ბაზრის მიკროეკონომიკური მოდელი, რომელზეც მიწოდება და მოთხოვნა რეალურ ანაზღაურებაზე იქნება დამოკიდებული. გამოდით იქედან, რომ ფასის დონე მოცემული და მუდმივია ისე, რომ რეალური ანაზღაურების ცვლილებები მხოლოდ ნომინალური ანაზღაურების ცვლილების შედეგად არის შესაძლებელი.

3. უძრავი ქონების ბაზრის საფასო პოლიტიკა

განიხილეთ გასაქირავებელი ბინების ბაზრის მიკროეკონომიკური მოდელი. რა არის მიზეზი იმისა, რომ ფასის ცვლილებებზე მიწოდება და მოთხოვნა სრულიად განხვავებული ფორმით რეაგირებენ? რა შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი უძრავი ქონების ბაზარზე „ღორის ციკლის“ არსებობა? რა მოკლე და გრძელვადიანი შედეგები მოჰყვება სახელწიფოს მხრიდან წონასწორული ქირის გადასახადზე დაბალი მაქსიმალური ქირის გადასახადის შემოღებას.

4. სავალუტო ბაზარი და გაცვლითი კურსი

განიხილეთ სავალუტო ბაზრის მიკროეკონომიკური მოდელი, რომელზეც უცხოური ვალუტის მიწოდება და მოთხოვნა დამოკიდებული იქნებოდა უცხოური ვალუტის, შესაბამისად, გაცვლითი კურსის ფასზე. განმარტეთ, რატომ ხდება სახელმწიფოს მხრიდან გაცვლითი კურსის დადგენის შემთხვევაში, უცხოური ვალუტის ღირებულების ზრდა ან მისი გაუფასურება და რაში გამოიხატება იგი?

გამოყენებული ლიტერატურა

სრულყოფილად ფუნქციონირებადი ბაზრის მოდელი და შესაძლო საბაზრო ჩავარდნები, რომლებიც ეკონომიკურ-პოლიტიკური ჩარევის არგუმენტს წარმოადგენენ დაწვრილებით არის განხილული Fritsch-ის მიერ (2011). სახელმწიფოს საფასო პოლიტიკის ინსტრუმენტებს და მის შედეგებს აღწერს Kleps-ი (1996). ევროპის აგრარულ პოლიტიკაში სახელმწიფოს საფასო ჩარევის პრობლემები გაანალიზებულია Koester-ის მიერ (2010), ხოლო სახელმწიფოს მხრიდან უძრავი ქონების ბაზარზე საფასო ჩარევის შედეგები აღწერილია Eekhoff-ის ნაშრომებში (2002).

4 რეგულირება და დერეგულირება

4.1 საბაზრო ჩავარდნა, რეგულირება და დერეგულირება 95

4.2 რეგულირების პოლიტიკის ინსტრუმენტები..... 95

4.2.1 სახელმწიფოს მარეგულირებელი წესი და სახელმწიფო მიწოდება 95

4.2.2 საზოგადოებრივი საქონლით უზრუნველყოფა 96

4.2.3 გადასახადები და სუბსიდიები გარე ეფექტების . აღმოსაფხვრელად 97

4.2.4 ბუნებრივი მონოპოლიების ფასის რეგულირების ინსტრუმენტები 99

4.3 დერეგულირების პოლიტიკის ინსტრუმენტები..... 100

4.3.1 ბაზრის ნაკლოვანებების დაძლევა კერძო ხელშეკრულებების საშუალებით 101

4.3.2 ბაზრებზე კონკურენციის წახალისება 102

4.3.3 სამართლებრივი პასუხისმგებლობა, მოლაპარაკებები და სატრანსფერო გადასახდელები 103

4.4 მაგალითი: ტელეკომუნიკაციების რეგულირება და დერეგულირება გერმანიაში..... 106